სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

VIII ოქტომბერი 1912 წ.

პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი მსმენელ სტუდენტებთან.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს ხელის მოწერლებს და აგენტებს ჟურნალის ხვედრი თვის დროზე გამოგზავნას

შინაარსი: 1) ბუნებრივი აღზრდის გზა და მიზანი (ბრუნ. ლუდვიგ გურლიტტი) **ლ. ბოცვაძისა.** 2) ქართველი ტომები უძველეს დროდან ქსენოფონტის ხანამდე, (დასასრული) **ა. სვანიძისა.** 3) ფუდია ბრიტასოვი და ოჯახური აღზრდის მნიშვნელობა (დასასრული) **მ. კაკაბაძისა.** 4) ნიგიენა, **ილ. ალხაზიშვილისა.** 5) თავადადი აღექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე და მისი ბოეზია (დასასრული) **ილ. ფერაძისა** 6) მოკლე საუბარი ინსტრუმიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან ექ. **ევგ. ლოსაბერიძისა.** 7) ყარიბის დადადი, **დ. თურდოსპირელისა.** 8) მასწავლებელმა ვადი მოიშორა **მესხი ვ. მიქელაძისა.** 9) ჩამოჭკარ სიმთა!.. **აკ. სვანისა.** 10) მე ოცნებითა ვერ შეგქმენი—**ს. აბულაძისა.** 11) ფიქრთა გემი—**გელასი.** 12) განთავისუფლებული, ეტიუდი ბარეოდისა (თარგმანი) **დ. თალაკვაძისა.** 13) ბატიოსანი (მოხუცი მასწავლებლის ნამბობი) **ილ. გოგიასი.** 14) ბოტანიკა. დ-რი ვინკლერი. ფოთლების დაცვენა—**კახაბერისა.** 15) შინაური მიმოხილვა. 16) უცხოეთი—ამერიკული სკოლა **ვანათში ნამყოფისა.** 17) სამეცნიერო მიმოხილვა, ზღვის წყალი, როგორც სამკურნალო საშუალება. 18) რუსეთი—სახალხო სკოლის მასწავლებელთა საბენსიო კასსა (დასასრული). 19) ფიზიკური ვარჯიშობის სარგებლობა—**ბარდლასი.** 20) დია წერილი. 21) განცხადებანი.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მესამე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეეულ

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1912 წლის ხელის-მოწერთ **პრემიად** მიეცემა ქართული სიტყვა-კაზმულ საზ. კრებ. ბირველი ტომი "**გრდემლი**", კრებ. დაახ. 500 გვ. იქნება და დაურიგდება **იანვარშივე.**

რედაქცია დიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

VIII ოქტომბერი 1912 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
ჟურნალი დაეთმობათ წლიურად
2 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომრის ფასი
35 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ლუდვიგ გურლიტტი *)

ბუნებრივი აღზრდის გზა და მიზანი

I.

ყველასათვის საზოგადო გამოსადეგი პედაგოგია არ არსებობს.

აღზრდის შესახებ წიგნის დაწერა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა დანამდვილებით იცნობთ იმათ, ვინც უნდა აღზარდოთ და ცხადათ წარმოდგენილი გაქვთ თუ რისთვისა ზრდით მათ.

არსებული საპედაგოგიო სახელმძღვანელოები ვერც ერთს ამ პირობებს ვერ აკმაყოფილებს. ამ სახელმძღვანელო წიგნების ავტორებმა არა იციან რა არც ბავშვების ფიზიკურისა და გონებრივის ნიჭისა და არც მათის ყოველ მხრივის განვითარებისა; მათ დასახული არ აქვთ ყველასათვის საერთო, განსაზღვრული და ჭეშმარიტი მიზანი აღზრდი-

*) ლუდვიგ გურლიტტი ცნობილი პედაგოგია გერმანიაში. იგი ეკუთვნის იმ პედაგოგთა ჯგუფს, რომელსაც შეადგენენ ჭანსბერგი, ვოლგასტი, შარელმანი, ბ. ოტტო, პანვიცი და სხ. ამათ რიცხვში გურლიტტს საპატიო ადგილი უჭირავს. ესენი საზოგადოთ ისეთი ახალი დროის პედაგოგებია, რომელთაც მიზნად აქვსთ დასახული ძირიანად შესცვალონ სწავლების წესწყობილებანი, რომელნიც ამ ჟამად გამეფებულია გერმანიაში და რომელთაც, ეჭვს გარეშეა, დიდი გავლენა აქვს რუსეთზედაც. ეს უკანასკნელი მრავალი წლის განმავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა. ის, რაც მათ მიზნად მიაჩნიათ, განისაზღვრება ნაციონალურის, პოლიტიკურის, საზნეობრივო, ან რომლისამე პარტიულის მოსაზრებით. დღემდის აღმზრდელებს ეგონათ, რომ ისინი სრულიად საკმარისად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, რაკი ცდილობდნენ მოწაფეების გარდაქმნას აღმზრდელის ხატად და მსგავსად. აღმზრდელებს თავიანთი თავი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, თავიანთ წარმოდგენილებაში არსებული იდეალი აღზრდისა დასახული ჰქონდათ მიზნად და უკეთესს შემთხვევაში აღწევდენ იმ საწადელს, რომ მოწაფეები ემზგავსებოდნენ თავიანთ აღმზრდელებს და, მაშასადამე, აფერხებდნენ აღზრდის საქმეს, ან და ემორჩილებოდნენ ისეთს აღზრდას, რომლის მიზანი დაფუძნებული იყო არა აღსაზრდელის ინდივიდუალურ ბუნების მოთხოვნილებაზე, არამედ წინაპართა ნებაყოფლობაზე.

და აღმზრდელებიც თავიანთი ძალღონითა და მეცადინეობით თითქმის ყოველთვის აღწევდნენ სასურველს. უხსოვარის დროიდან მთელი კულტურა ამ სახით ჩნდებოდა: წინაპრებს გადაჰქონდათ მომავალ თაობაზე მთელი ჯამი ცხოვრების გამოცდილებისა და თავიანთი იდეალები ცხოვრებაზე. ამას შედეგად მოჰყვებოდა ნელი, მაგრამ შეუჩერებელი წინსვლა მასსისა. ამ სახით შეიქმნა და აღორძინდა წოდებრივი კულტურა კლასთა მმართველობისა, სასულიერო წოდებათა, აზნაურთა, სამხედრო პირთა და სხვა და სხვა პროფესიებისა: მოხელეებისა, ხელოვანთა, ტეხნიკოსთა, ხელოსნებისა, მიწის მუშაკთა, მეზღვაურთა და სხვ.

ხალხის მასსის და საზოგადოებრივი ჯგუფის ამ გვარს აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ძალთა გათანასწორებას და მისს სამართლიან განაწილებას სოციალურ ცხოვრების ყოველგვარ საქმეში, რომელიც კარგად იქმნება შესრულებული მხოლოდ შრომის გონივრულად განაწილების დროს. ამიტომაც პირველ ყოფილ დროდამ ჩვენამდის ცხადია, რომ განსაზღვრული პროფესიონალური და წოდებრივი განათლება ჯერ კიდევ გონივრულად და სასურველად არის მიჩნეული. ერთი შთამომავლობიდამ მეორეზე ტრადიციით გადასული ცდა იზრდება, ცოდნა მატულობს, შემდეგი გონებრივი განვითარება სწრაფად მიდის და ყველა

ლობაში წინად და ახლაც უმთავრესად სწავლა-აღზრდის წესებს გერმანიიდან სესხულობდა და დღესაც მის გავლენის ქვეშ იმყოფება. გერლიტტს ბევრი შესანიშნავი ნაწერი აქვს გამოქვეყნებული. კრიტიკა მის ნაწერებს ქებით მოიხსენიებს და ამბობს, რომ სპენსერის შემდეგ აღზრდის საკითხი ასე ფართოდ და ღრმად არავის შეუმუშავებია. წერილები აღზრდის შესახებ, რომელსაც ვაწვდით „განათლების“ მკითხველებს მარტო გერლიტტის შექმნილი არ არის. იგი შეიცავს გერმანიის ახალი მიმართულების ბედაგოგთა მთელი ჯგუფის საზოგადო აზრებს: ეს აზრები ბევრის მხრით საგულისხმიერო ყველასთვის, ვისაც კი ახალთაობის აღზრდა უდიდეს საგნად მიაჩნია. გერლიტტი ამ ჯამად ბავშვების საუკეთესო მოკეთედ ითვლება. იგია ბავშვების ინტერესების მფარველი და მათ შემავიწროებელთა მტერი. გერლიტტის აზრები უჩვენებს ყველას, ვისაც ბავშვები უყვარს და გრძნობს თავის მოვალეობას ახალთაობისადმი, რომ დღევანდელი ჭირისუფალნი სწავლა-აღზრდისა — მშობლები და მასწავლებლები სრულიად მოიმზადებულნი არ არიან ამ საქმისათვის.

რედ.

ეს ერთად სასარგებლოა თითოეულ კერძო პიროვნებისთვის. ეს—ნამდვილი საღი ტრადიციაა; მასზეა დაფუძნებული ავტორიტეტი, რომელსაც არც ერთი გონიერი ადამიანი არ შეარყევს. თვით ცხოვრებამ და საზოგადოებამ შეჰქმნეს ეს ავტორიტეტი, ამიტომაც იგი საღია და ბუნებრივი მოვლენა, რომელიც შეადგენს საზოგადოების ყველა წევრის თანასწორ საუფლო სამკვიდრებელს და რასაც თვითოეული მათგანი მიიღებს არა ძალდატანებით ან როგორც უცხო რასმე, არამედ როგორც წევრი საკუთარის სხეულისა. ამქართა წევრები თვითონ არასოდეს არ წავიდოდნენ ამქრის წინააღმდეგ. სწორედ ამქართა საზოგადოების არსებობით მისი წევრები თავიანთ თავს უშიშრად, უზრუნველად და შეკავშირებულად გრძნობენ. ამქარი თითოეულს წევრს ნებას არ აძლევდა გაეშალა მთელი თავისი ძალღონე. ამქრებზე თავს დასხმა გარედან ხდებოდა და ჩვენ დროშიაც საკმაო საბუთია ეჭვი შევიტანოთ ამქართა საზოგადოების მოსპობის სარგებლობაში.

ასე შორიშორს უდგას ერთმანეთს არსებული აღზრდის მეთოდების თეორია და პრაქტიკა. იმას, ვისაც ეს არ სჯერა, ამას თვალსაჩინოდ დავუმტკიცებთ. ჩვენს სახალხო სკოლებს მიზნად აქვს დასახული აღზარდონ ბავშვები ეკლესიურ-სარწმუნოებრივის და პატრიოტულის თვალსაზრისით. იმ საკითხზე, თუ რა ნაყოფი მოუტანა ამან, პასუხი გასცეს გერმანელმა სოციალისტებმა სამი მილიონის ხმით, რომელთაც აზრი გამოთქვეს წინააღმდეგ ეკლესიისა და მონარქიულ მმართველობისა. ამ სახით გერმანიაში ფრიად მრავალ რიცხოვან პარტიას ულირსად მიაჩნია აღზრდის არსებული მეთოდები და ახასიათებს ისე, როგორც ნამდვილად არის—სარწმუნოებრივი და პარტიულ-პოლიტიკური გაწრთვნა. ყველაზე უფრო საგულისხმიერო ის ფაქტია, რომ გერმანიაში ასეთი ურიცხვი ანტიკლერიკალური და ანტიპატრიოტული პარტია არსებობს. მარტო ერთი მისი არსებობა სასტიკი განაჩენია გაბატონებულის სახელმწიფოებრივის აღზრდის მეთოდების წინააღმდეგ. თვით ამითვე მტკიცდება შემოფარგლულის, წინად განძრახულის და ტენდენციოზური აღზრდის მერყეობა და უვარგისობა. ეჭვს გარეშეა, რომ შესაძლებელია მორწმუნე კათოლიკეთა, მართლ-მორწმუნე პროტესტანტთა, ფანატიკოს კონსერვატორთა და რადიკალ სოციალ-დემოკრატების აღზრდა. მაგრამ ამგვარს შედეგს სიამოვნებით ეგებებიან მხოლოდ პარტიის მომხრეები. ყოველგვარ პარტიის გარეშე მყოფნი კი ასეთს აღზრდას შემცდარად და უვარგისად სცნობენ: მხარს უჭერენ ხშირად მოწინააღმდეგე მხარეს.

ჩვენ ვხედავთ, რომ თვით პასტორების შვილები უკიდურეს თავისუფალ მოაზრენი ხდებიან, კლერიკალურად დამონებული ხალხი სისხლის ღვრით იძენს რწმენის განუსაზღვრელ თავისუფლებისათვის სამართალს. თუ ჩვენ საქმეს დაშორებულნი, როგორც გარეშე მოწმეები, ყურადღებას მივაქცევთ პატარა ჩინელების, ან ბუდისტების ყრმათა სარწმუნოებრივს გაწრთვნას, ეს უკანასკნელი ადამიანის პიროვნებისადმი უზნეო ძალდატანებად მოგვეჩვენება. პირიქით, საჭიროა მხოლოდ ცოტა ხნით აღვიჭურვოთ ბუდისტის მოსაზრებით და ამ თვალსაზრისით შევხედოთ ჩვენი ბავშვების რელიგიოზურ სწავლების საქმეს სკოლებში და ოჯახებში, რომ შევიზიზღოთ ასეთი სწავლების წესები. მშობელთა, შემთხვევით აღმზრდელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა, სიმინისტროს, ან სასწავლებლის საბჭოთა წევრების რწმენას, ან მათს პოლიტიკურს და სოციალურს მდგომარეობას არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეს ბავშვების აღზრდაზე. ეს არის დასკვნა ყველა ჩვენი აწინდელი კულტურულ განვითარებისა. ჩვენ არ ვიცით რა ბედი ეწვევა ჩვენს ბავშვებს ოცის თუ ოცდა ათის წლის შემდეგ, როგორ ან რა სახით განვითარდება მთელი ჩვენი ცხოვრება. ამიტომაც არავითარი უფლება გვაქვს ბორკილები დავადვათ, ან რითიმე შევზღუდოთ ბავშვის განვითარება.

ჩვენმა აღზრდის ახალმა სისტემამ უნდა უჩვენოს აწინდელს აღმზრდელს, რომლისთვისაც ხელმისაწვდომია ახალი და არ სჯერდება ძველს მექანიკურს წესებს, ის საშუალებანი, რომლითაც იგი ყველაზე უფრო კარგად მოამზადებს მოწაფეს ცხოვრებისათვის, რომ მას თავისი ძალღონით ანგარიში გაუწიოს.

ყველა მომავალ შთამომავლობის დანიშნულებაა წინ გაუსწროს წინაპრებს, ამიტომ ახალი თაობა არ საჭიროებს განსაზღვრულ მიზნის ჩვენებას, პირიქით იგი მან უნდა უკუ აგდოს, როგორც შემაფერხებელი გარემოება. ახალთაობა თავისუფალ განვითარებაში საჭიროებს მხოლოდ ზოგიერთ დახმარებას და გამორკვევას. ჩვენ მოზრდილები ყველანი კრიტიკულად ვუყურებთ აღმზრდელებს. ხშირად ვკიცხავთ და ვგმობთ ჩვენი ძველი პედაგოგების ყოველგვარ ცდას და მოქმედებას, რადგან მათ ვერც ჩვენი გაიგეს რა და ვერც ჩვენი მომავლისა. ამიტომ ბევრი მათგანი ჩვენ მიგვაჩნია არა კეთილის მყოფელებად, არამედ შემავიწროებლად; მადლობით არ ვიხსენიებთ მათ, არამედ ვკიცხავთ, და თუმცა გვრწამს მათი კეთილი განძრახვანი, მაგრამ გვეცინება მათს უვიცობაზე. ყოველ შემთხვევაში ვგრძნობთ, რომ მათ წინ გავუსწარით და ვნანობთ, რომ ბედმა არ გვარგუნა ისეთი აღმზრდელი, რომელიც ჩვენ მოზრდილებს ახლა სამაგალითოდ გვესახებოდეს თვალწინ. ჩვენი აღმზრდელები წარსულს ემსახურებოდნენ; ისინი ქედს იხრიდნენ მკვდრის წინაშე, მათ უნდოდათ ჩვენც აღტაცებაში მოვსულიყავით ჩვენის წინაპრებით და გამქრალი კულტურით. ისინი გაოცებაში მოდიოდნენ, როცა ჭაბუკის გონება იღვიძებდა და გაბედავდა წარმოეთქვა ისეთი აზრი, რომ, შეიძლება, შემდეგშიაც შეიქმნას ისეთი დიდებული და საუკუნო რამე რაც ძველად ყოფილა, ან ორკეცი კადნიერება იქნებოდა, თუ ვინმე გაბედავდა ეთქვა, რომ უნდა თავისი ძალღონე წარსულს შეუწონოს. ყველა ეს ითვლებოდა და ახლაც ითვლება კადნიერებად. ყველა ახალი—ცოდვაა. მომავლისკენ გადადგმული ნაბიჯი არის სიბნელისკენ გადადგმული. პედაგოგები მხარს უჭერენ დიდი ხნით მიღებულს საუკუნო ჭეშმარიტებას. რასაკვირველია, საეჭვოა არსებობდეს უცილობელი ცდა, უფრო საეჭვოა, რასაკვირველია, საუკუნო ჭეშმარიტების არსებობა. თითოეული ეპოქა თავისის შეხედულობის დაგვარად აფასებს იმას, რაც მის დრომდის ყოფილა და ყველა პიროვნება თხოულობს უფლებას სჭედოს ახალი ღირებულებანი. მოვლენათა მხოლოდ ის ღირებულება აქვთ, რასაც ჩვენ მათ ვანიჭებთ. ჩემთვის ყოვლად უძვირფასესს არავითარი ფასი ექნება, თუ მე ფასს არ მივანიჭებ. მე სრულიად გულგრილად ვუცქერი მარგალიტს. ბრწყინვალე შუშის ნამტვრევსაც იგივე ფასი აქვს ჩემს თვალში, როგორც მარგალიტის ძვირფასს ქვას მეფის გვირგვინში. ამ სახით ყოველ

დროს ადამიანი ყოფილა და არის ყველა მოვლენათა საზომი.

ამ რიგად მუდმივი სისტემა აღზრდისა არ არსებობს. თითოეული ეპოქა ანგარიშს უწევს თავის მოთხოვნილებათა და ყრმათა აღზრდის საჭიროებას. ამ სახით აღზრდაც, ცხოვრების თითოეული მოვლენის მსგავსად, განვითარების კანონს ემორჩილება.

II.

რას აძლევს ბუნება ბავშვს?

აღზრდის სისტემა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა გამოკვლეული იქნება ბავშვის თანდაყოლილი ძალები, რა საშუალებით შეიძლება მათზე მოქმედება და რას უნდა მიაღწიონ ამ ზემოქმედებით.

ჩვენ დღესდღეობით არა გვაქვს ასეთი ცოდნა ბავშვის სულისა. მართალია შეგროვებულია მრავალი კერძო დაკვირვება, მაგრამ ჯერ კიდევ შორსა ვართ მეცნიერებაზე დამყარებულს და ყოველ კერძო შემთხვევაში გამოსაყენებელ ბავშვის სულის ფსიხოლოგიას მივმართოთ. შეუძლებელიც არის მივაღწიოთ ასეთს ღრმასა და ყოვლის შემცველს ცოდნას. სწორედ იმ შემთხვევებში, როცა აღზრდისაგან განკურნებას მოელიან, ე. ი. ანომალიურს შემთხვევებში, საზოგადო ფსიხოლოგიით ვერას გავხდებით.

პირველ ხუთის წლის ცხოვრების შესახებ, ჩვენის საკუთარის მოგონებიდან, თითქმის არა ვიცით რა. მაშინ როცა ყველა დაკვირვება იმას გვიჩვენებს, რომ სწორედ ამ პირველ ხუთს წელიწადს შემდეგის განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. რამდენი დაკვირვება, ცდა, სულიერი პროგრესი ხდება და რა სახით—ყველა ეს გამოურკვეველია. ამ ხუთი წლის განმავლობაში—კი ყველა უსაჭიროესი ძალა, გონებრივი და სულიერი ცხოვრების ნიჭი უკვე ნასახად არსებობს და აღზრდასაც მეტი არა შეუძლიან რა, თუ არა ხელის შეწყობა ამ ნასახის განვითარებაში. რისამე ახლის დამატება, შეცვლა იმისი, რასაც ჩვენ ხასიათს ვუწოდებთ, ინტელექტისათვის სხვა ფორმის მიცემა—ყველა ეს ჩვენთა ძალთა გარეშეა. როცა სრულად გამოირკვევა, რამდენად დიდია ხუთი წლის ბავშვის ძალები და რამდენად უძლურნი ვართ ამ ძალების გარდაქმნაში, მხოლოდ მაშინ შეიძენენ პედაგოგები იმ სიმშვიდეს, რომელიც საჭიროა ნაყოფიერ მუშაობისათვის და ძველი აღზრდის სისტემათა კრიტიკულად განხილვასაც შეუდგებიან. ძველი სისტემა დამყარებულია იმ შეცდომაზე, რომ აღმზრდელის ნებამ, დასახული იდეალის მიხედვით, უნდა შექმნას ახალი თაობა, ჩაუნერგოს მას ერთი თვისება და მოსპოს მეორე, საკუთარის არჩევით გადასცეს მიდრეკილებანი, შეხედულებანი, გზა გაუხსნას გემოვნებას მიდრეკილებას და ანტიპატიას. არც ერთი მებაღე ან ნახირის პატრონი არ წავა მცენარეთა და ცხოველთა ბუნების წინააღმდეგ; ისინი ემორჩილებიან და პატივსა სცემენ ბუნებას—მხოლოდ ბავშვების აღზრდაში ეს პატივისცემა ჰქრება.

ბავშვის შესახებ იმ აზრისანი არიან, რომ აღზრდას, რაც გინდა, ყველაფერი შეუძლიანო. პედაგოგიას არ შეუძლიან ამას ანგარიში გაუწიოს. ეს, როგორც ბევრი სხვა, პირდაპირი შედეგია ეკლესიური ტრადიციისა. უკანასკნელი დროის პედაგოგია თავისუფალია ეკლესიის ბატონობისაგან. ჩვენი პედაგოგები სახელმწიფო სკოლებში, რომლებსაც დიდი გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენა აქვთ შინაურ აღზრდაზედაც, ჯერ კიდევ თავის მოვალეობის ასრულებით მორჩილი ყმები არიან ეკლესიისა და ამიტომ ყველა ისინი დუალისტებიც არიან და იდეალისტებიც. ისინი აგრეთვე თანამდებობით მიმდევარნი არიან ცოდვილ სხეულისა და ღვთიური სულის სწავლებისა. ღვთიური სული მშვენიერია, უბიწო, არ საჭიროებს გასწორებას, ამიტომაც მთელი ბრძოლა, რომელსაც ჩვენი პედაგოგები ეწევიან, არის ბრძოლა ცოდვილი სხეულის წინააღმდეგ, თითქოს უნდათ სულის ჩამოყვანა ქვეყნიურ საზიზღრობამდის.

რწმენის გავლენა, რომელიც ძლიერის ფანატიზმით ვრცელდებოდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, შორს აღწევს, სცილდება ეკლესიურ მორწმუნეთა წრის ფარგალს, მიდის უკანასკნელ გლეხის ქოხამდის და თავის ფარგალში შეჰყავს ისეთი წრე ადამიანებისა, რომელთაც დიდი ხანია უკვე უარ ჰყვეს ეკლესიური რწმენა. ყველა ჩვენი აღზრდა ჯერ კიდევ ძველი სწავლების, კაცთა შეცოდების მემკვიდრეობის გავლენას განიცდის. ყველა ქმნილება უცოდველია, მხოლოდ ჩვენ, საბრალო ადამიანები ვჩნდებით ქვეყნად ცოდვილნი და ამ ცოდვების გამოსყიდვა მხოლოდ ღვთის მადლით ძალგვიძს. და ეს რწმენა დაედო საფუძვლად მთელს ჩვენს აღზრდას, რომელიც იგივეა, რაც საუკუნო ბრძოლა მემკვიდრეობითის ცოდვის წინააღმდეგ.

აღზრდა, ცოტათ მაინც, წარმატებაში იქნებოდა, პედაგოგიას რომ თავი დაეხწია ამ წინააღმდეგობისაგან. ბავშვს რომ ცოდნა და გამოცდილება ჰქონოდა, თავისუფლად შეეძლო გადაეყენებინა ეკლესიური რწმენის მომხრე აღმზრდელები ისე, როგორც მოზრდილებს შეუძლიათ გადააყენონ ისეთი ნაფიცი ვექილები და მსაჯულები, რომლებიც წინასწარ განძრახვით არიან გამსჭვალულნი. ვინც ბავშვში წინდაწინვე ხედავს ცოდვილ ადამიანს, მას არ შეუძლიან სამართლიანად მოეპყრას ბავშვს და ამიტომ არც მისი აღზრდა შეუძლიან. აღზრდის სისტემა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ბავშვში იმას ვხედავთ, რაც ნამდვილად არის ე. ი. ბუნების ნაწილს, ამიტომაც ხელი უნდა ავიღოთ ყოველგვარ დაფასებაზე, რადგანაც ბუნება არც კეთილია და არც ბოროტი. იგი განურჩეველია ზნეობაში, როგორც ბავშვი. ზნეობრივი დაფასება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა კეთილისა და ბოროტის შეგნება გვექნება. სოკრატი მართალი იყო, როცა სთქვა—შეუგნებელი ადამიანი უცოდველიაო. მხოლოდ უსამართლო ან უწესო საქციელის შეგნება გვაძლევს განსჯის უფლებას.

ბავშვი ცხოვრების სრულის უმეცრებით ჩნდება ჩვენი კულტურულ ცხოვრების ჭრელს მორევში, არ შეიძლება მისი გაზომვა ჩვენის მომწიფებულის და სიმწიფეს გადასულის ზნეობრივის მაშტარით. საჭიროა დანამდვილებით გაიცნონ ბავშვი და ის ძალები და ინსტიქტები, რომლებიც ბუნებას მიუნიჭებია მისთვის, ვიდრე შევუდგებოდეთ მისს ზნეობრივად დაფასებას. შეუგნებლად და ამიტომ უდანაშაულოდ იჩენს თავს ეს ინსტიქტები, რომელიც, შემდეგ გადაგვარებული, ცოდვად მიგვაჩნია; მაგრამ თავის ბუნებით კი ასეთი არ არის. ყველა ამას ეგოიზმში აქვს საფუძველი, ეს გრძნობა კი ცხოვრების აუცილებელი პირობაა. ყოველი ცხოველი არსების უძლიერესი ინსტიქტია იცხოვროს თავისებურად. ცხოვრების მიზნის საკითხზე ბუნება ათასის ხმით

იძლევა უეჭველს პასუხს: ცხოვრების მიზანი თვითონ ცხოვრებაა! რა მიზანს უნდა ვეძიებდეთ კიდევ? ამასთან უნდა ვეძიებდეთ ცხოვრებას თან დაყოლილის ძალებით ე. ი. ბუნებასთან შეთანხმებულს. ვინც ამ გვარს სასურველს პირობებშია, იგი თავს არ დაიმტვრევს ცხოვრების აზრისა და უაზრობის შესახებ. ყველა ეს თავის მტვრევა არის მხოლოდ უხერხული ცხოვრების შედეგი. რიგიანი მეზღვაური, რომელიც ებრძვის ზღვის ტალღებს, მონადირე, რომელიც მისდევს მხეცს მოსაკლავად, ხუროთ მოძღვარი, რომელიც ხიდსა აგებს და ბავშვიც გართული თამაშობაში, დაზღვეულნი არიან ამგვარის თავის მტვრევისაგან. ძლიერმა, რომელიც ხერხიანად ხმარობს თავის ძალებს, მშვენივრად იცის რისთვის და რად ცხოვრობს ქვეყნად. ბავშვებისთვის და ყველა ცხოველისა და მცენარისთვისაც ცხადია, რომ ყველაზე უსაჭიროესი ცხოვრებაში თვითონ ცხოვრებაა. მართალია ხშირად იმეორებენ პოეტის სიტყვებს: „ცხოვრება არა უზენაესი მადლიაო“. მაგრამ ეს მართალია მხოლოდ მაშინ, როცა სწორედ გაგებულია. უწესოდ აღზრდით ფას მოკლებული, თავისს შინაარს მოკლებული, მოტყუებული, დასახიჩრებული ცხოვრება ვისაც აქვ--სმისთვის მართლა არ ღირს სიცოცხლე: მაგრამ საღი, ნორმალური, ყოველის ცხოვრების სიკეთით მდიდარი არსებობა ფასიანია და ფრიად უზენაესი მადლიც. ჩვენს სიცოცხლეს ფასი დააკლეს იმით, რომ მას დაუპირდაპირეს უზენაესი სულიერი ცხოვრება. ჩვენი ქვეყნიური ცხოვრება, გვეუბნებიან ისინი, არის მხოლოდ პირველი საფეხური უზენაეს ზეციურ არსებობისა. ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ არავითარი მეცნიერული თავდებობა ამაში არ არსებობს. პირიქით, მეცნიერების პროგრესის ყოველს ნაპიჯზე ცხადია, რომ ყოველი არსება ცხოვრებას განაგრძობს მხოლოდ გამრავლების სახით. იურისპუდენციაში ასეთი ძველი დებულებაა: Nou bes in idem. ბუნებაც ამ დებულებას ემორჩილება. მას ყველა თავის მიზნისათვის აქვს მხოლოდ ერთი, მაგრამ სარწმუნო და ფრიად უსაჭიროესი საშუალება. მისი უმთავრესი მიზანი სიცოცხლის შენახვაა და ისიც ამას ცხადად გვამცნევს--თითოეული ახალი ქმნილება ქვეყნად ჩნდება გამრავლების ყველა ორგანოებით. ერთი არსების დაბადება არის უკვე მრავალი ახალი არსების წარმოშობის შეძლება. ამ სახით, სიცოცხლეს თავის შენახვის გარდა, აქვს კიდევ უმაღლესი დანიშნულება: მოდგმის განგრძობა. ყველა, რაც ხელს უწყობს ცხოვრებისადმი მისწრაფებას, რასაც ადამიანი სჩადის ცხოვრების ნიჭის დასაფარავად და მოდგმის განსაგრძობად, ბუნების მეტყველების მეცნიერების თვალსაზრისით, ცოდვა არ არის. მაშინ როცა საზოგადოებრივი მორალი ყველაზე უფრო დაღს ასვამს და ცოდვად მიაჩნია სწორედ ეს მისწრაფება თავის დაფარვისა და გამრავლებისა.

რასაკვირველია ეს თვალსაზრისი მუდმივი არ არის; არის ქვეყნები და ეპოქები, როცა უმაღლეს სათნოებად მიაჩნდათ, რაც ჩვენ ახლა ცოდვად მიგვაჩნია. ეს ცხოვრებისადმი მისწრაფება და მოდგმის განგრძობა ჩვენც სათნოებად მიგვაჩნია, როცა იგი ნაკურთხია სახელმწიფოს კანონებით, ეკლესიით და მოხეტიალე მორალით. ეკლესიის მიერ ნაკურთხს ქორწინებას სქესობრივი ცხოვრება ღვთის მცნების თანახმად მიაჩნია და ნაყოფიერება ღვთიური მადლის

დამამტკიცებლად. მრავალ ცოლიანობა, რაც ჩვენ უზნეობად მიგვაჩნია, სხვა დროსა და სხვა ხალხისათვის, პირიქით, უმაღლესი ზნეობრივი და სოციალური სათნოების დამამტკიცებელია.—

ბავშვმა არ იცის არც ერთი ამისთანა და ათასი მსგავსი სოციალური ცნებები და ამიტომაც ვერ შეეგუება მას. ბავშვმა რომ შეუგნებლად, უვიცობით დაარღვიოს საკუთრების უფლება, ვერ გაარჩიოს „შენი“ და „ჩემი“, ან მეტის მეტად გამოიჩინოს თავის მოყვარეობა, ყველა ეს ბუნებრივი შედეგი თანდაყოლილის თავის დაცვის ინსტიქტისა, იწვევს ზნეობის სასტიკ მსაჯულთაგან ძლიერს განკიცხვას. ვინც ბუნებრივად—მეცნიერულად აზროვნებას არის დაჩვეული, არასოდეს ამ ბუნებრივ-ცხოვრების ნიშნებს არ უწოდებს ცუდს საქციელს—ბიწიერებას, იმიტომ რომ ეს ნიშნები ბიწიერება კი არა, ფაქტებია, იგი ყველა ბავშვს აქვს, საჭიროა, მისგან წარმოსდგება ყველა, რაც შემდეგ ძლიერი შეიქმნება. მართლაც რომ მისი ამოფხვრა შესაძლებელი ყოფილიყო, მაშინ მთელი კაცობრიობა მოისპობოდა. უეგოიზმოთ სიცოცხლეც არ იქნებოდა. ჩვენ არ შეგვიძლია სიცოცხლე მოვისპოთ, რომ ამით სხვები დავიფაროთ. უწესო სწავლებაა, რომ კაცმა განივითაროს თავისი ძალა და ნიჭი, მხოლოდ მისთვის, რომ თავისი მოდგმის, თავისი ჯგუფის, საზოგადოების ძალა გააძლიეროს, რომ მან დაუტოვოს თავის შთამომავლობას მთელი სიმდიდრე თავის ძალებისა და ნიჭთა. მხოლოდ შეძლებულს შეუძლიან მოწყალება გასცეს, მხოლოდ ძლიერს შეუძლიან თავისი ძალა სხვასაც მოახმაროს. თავის-თავის უარყოფით, თავის საკუთარი ცხოვრების უარყოფით ჩვენ სხვებს ვერავითარს სარგებლობას მოვუტანთ. ჩვენ არც უფლება გვაქვს ჩვენი ბავშვების თავის თავის უარყოფითის გზით აღვზარდოთ. საზოგადოთ რომ ვსთქვათ, არავითარი უფლება გვაქვს არ გვიყვარდეს ბუნება და ვქადაგებდეთ კულტურას, რომელსაც უნდა სხვა რამ იყოს, ვიდრე განსაზღვრული ფორმა სიცოცხლისა ბუნებასთან შეთანხმეპული.

აღზრდა შეიძლებოდა ნამდვილი ყოფილიყო, აღმზრდელს რომ კარგად ცოდნიდა საზოგადოთ ბუნება და კერძოთ ბავშვის ბუნება, მაშინ, იგი იპოვნიდა იმ კანონებს და წესებს, რომლის შემწეობითაც ბავშვის მიძინებულ ძალას თავისუფალი განვითარება მიეცემოდა და იმავე დროს მისი მოყვასის უფლებაც არ იქნებოდა დარღვეული. კარგად მომართულს და წესიერად განვითარებულს ეგოიზმს შეუძლიან შეჰქმნას ისეთი აღზრდა, რომელსაც ახლა სოციალურ აღზრდას უწოდებენ ე. ი. კერძო პირებში მაღალ სოციალური ნიჭის განვითარებას.

არა მარტო ადამიანი, არამედ ბევრი ცხოველიც ჩნდება ქვეყნად სოციალური გრძნობის ნასახით. მაგ. ბავშვის დამოკიდებულება დედასთან; მრავალ წლობით მისი მოთხოვნილება დედობრივის ზრუნვისა პირველ დღიდანვე შეაგნებინებს ბავშვებს, რომ გარდა მისი საკუთარის ნებისა, არის კიდევ სხვა, რომელიც მან თავისდა სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს, თუ უნდა დაიცვას ის, რაც მისი მთავარი მიზანია ე. ი. სიცოცხლე და მხიარულება. ეს სოციალური მისწრაფება, აღზრდილი დედასთან პირველ დამოკიდებულებაში, და შემდეგ უფრო და უფრო განვითარებული ძმებთან, დებთან და ამხანაგებთან დაახლოვებაში, თავისთავად ემორჩილება ბუნების კანონებს

და ზრუნავს იმაზე, რომ სხვა და სხვა ეგოისტური ცენტრები შეერთდეს საზოგადოების ჯგუფად. გარეგანი შიში ძალას ატანს შეაერთონ ერთეული ძალები და ერთეულის ნებიდან შექმნან საზოგადო ნება. ამ სახით გაჩნდა ცხოველებში და ადამიანებში ნათესაური კავშირი, ნათესაობა, ადგილობრივი თემები და, ბოლოს ხალხი და სახელმწიფო. სახელმწიფო წარმოადგენს მთელის კანონით შეერთებულს კერძო ადამიანების კრებას. სახელმწიფო არავის არ ატანს ძალას, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არ უნდა ატანდენ ძალას ვისმე უარჰყოს საკუთარი ცხოვრება და ცხოვრების ენერგია, პირიქით სახელმწიფოსთვის ხელსაყრელია ჰყავდეს ბევრი თავისუფალი პირი და ჰქონდეს ბევრი თავისუფალი ცხოვრების ენერგია.

წესიერი და ნამდვილი აღზრდა უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ შიგ სახელმწიფოში ე. ი. ერთნაირი მიზნით აღჭურვილ საზოგადოებაში თითოეულს წევრს და პიროვნებას ნება ჰქონდეს უფრო მეტის თავისუფალის განვითარებისა. ადამიანი არ უნდა გახდეს არც სხვის იარაღად და არც სხვისი ნების უბრალო ამსრულებლად, ის უნდა ცხოვრობდეს საკუთარის ცხოვრებით და აღზრდამაც უნდა შესძინოს მას საჭირო ძალა და შეძლება, რომ განვითარდეს ეს ცხოვრება ბუნების კანონების თანახმად. მე, როგორც არა ერთხელ გამომიცდია, მიმითითებენ იმ შიშზე, რომელიც მდგომარეობს ესრედ წოდებულს ინდივიდუალიზმში. ვუწოდებთ ამას მარტივად „აღზრდა და განვითარება პიროვნებისა“. ეს ცნება ისე საშიში არ არის, როგორც პირველი, რადგანაც ყველა დაგვეთანხმება, რომ უუდიდესი სიკეთე ადამიანისა არის—იყვეს პიროვნება. ჩვენი ბრალი არ არის, რომ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც თავისი თავი პიროვნებად მოაქვთ, მაგრამ ნამდვილად კი მოსიარულე აბსტრაქციაა, სხვისი სურვილის ამსრულებელი, სხვისი იდეალების მატარებელი, ისეთი ადამიანები, რომელთაც სრულიად აკმაყოფილებს მკვდარი ტრადიციების სამსახური და რომელთაც თავი მოაქვთ იმით, რომ დახშეს თვისი საკუთარი ბუნება, რათა უკეთ შეასრულონ სხვისი სურვილები.

ეს არის ტიპი დღევანდელის კარგად აღზრდილის გერმანელისა. იგი ცხოვრობს გადაგვარებულის, უსიცოცხლო, შემოქმედებას მოკლებულის ძველი კულტურის ტრადიციებით. ეს ტრადიციები ცხოვრების ისეთის ფორმის რაღაც კომპრომისს წარმოადგენენ, რომელიც ერთი მეორესა სპობს. ასე არ ვითარდება პიროვნება, პიროვნებაც არ წარმოადგენს სხვათა გამოცდილების, რწმენისა და სწავლის გროვას.

ხშირად პედაგოგის ხელოვნებას მებაღის ხელოვნებას ადარებენ და ეს შედარება სრულიად, მართალია და სარწმუნო. მაგრამ, სამწუხაროდ პედაგოგებმა ვერ შეისწავლეს მებაღისაგან რაც უმთავრესია—სახელდობრ ბუნების პატივისცემა და აგრეთვე ისიც, რომ ყოველ ცდას, ბუნების წინააღმდეგს, მოჰყვება მხოლოდ მცენარის დამახინჯება და გადაშენება. ყველა ძალად მოყვანილი ნაყოფი, რითაც ზოგჯერ ბოტანიკოსები და მებაღეები აკვირვებენ გაუმაძღარ საზოგადოებას, სიცოცხლის ძალითა და ცხოვრების პირობების ატანით ვერ შეედრება იმ მცენარეს, რომელიც ძალდაუტანებლად, დამოუკიდებლად და თავისუფლად იზრდება. ისეთ მუხას, რომელიც ბუნებამ შეჰქმნა, თამამად შეუძლიან სიცოცხლე

აწინდელ კულტურულ დეკორატიულ მცენარეებთან, აგრეთვე კაციც, აღზრდილი ისე, რომ მასზე არ მოუხდენიათ ყოველგვარი პედაგოგიური ექსპერიმენტები, მაღალ პედაგოგიური კულტურის ნაყოფთან, არ ჰკარგავს თავისს ფასს. აღზრდის მეცნიერება აღმზრდელისათვის იგივე უნდა იყვეს, რაც მებაღისათვის არის პრაქტიკული სახელმძღვანელო ბოტანიკისა, ან სახელმძღვანელო ცხოველების მოშენების შესახებ სოფლის მეურნისათვის.

მაგრამ თავდაპირველად საჭიროა შეთანხმება აღზრდის პრინციპებში, ე. ი. პასუხი შემდეგს კითხვებზე: რას გვაძლევს ჩვენ ბუნება ბავშვში? რას უნდა მივაღწევდეთ ბავშვის აღზრდით? რას უნდა გვაძლევდეს აღზრდა?

ყველა ამ საკითხზე პასუხი შეიძლება მემკვიდრეობითის კანონის გათვალისწინების მიხედვით. მართალია აწინდელი ცნობილი პედაგოგებიც ხშირად უთითებენ ამ თეორიაზე და ამით აფრთხილებენ სხვებს; იმათ ეშინიათ, რომ ამ გატაცებით ზარალი არ მოუვიდეს საპასუხისმგებლო პედაგოგიურს სერიოზულს შრომას. მაგრამ ის, ვინც დაჩვეულია ბუნების მეცნიერების სახით დაკვირვებას, გვერდს ვერ აუვლის მემკვიდრეობის საკითხს. იგი ხედავს იმაში იმ ძირითადს იდეას, იმ საფუძველს, რომელზედაც დამყარებული უნდა იქმნას მთელი აღზრდა. რა სერგებლობას მოიტანს ყველა იდეალურ-მშვენიერი თეორიები, თუ მას რეალური, დებულებითი ნიადაგი არ აქვს; რა სარგებლობას მოგვცემს მაღალი მიზნები, თუ მათს წინააღმდეგ ბუნება წამოაყენებს თავისს veto-ს? უნდა დავრწმუნდეთ უტყუარს ჭეშმარიტებაში, რომ ბუნებამ დასდვა საზღვარი აღზრდისა.

არავითარი სარგებლობაა, ან უკეთ ვსთქვათ, ნამდვილი უსარგებლო ტანჯვაა, როცა მთელს ხალხს, ჯერ ფიზიკურად მოუმწიფებელს ვაწვდით განყებულს, ქალალდზე შექმნილს პედაგოგურს სახელმძღვანელოებს, მოთხოვნილებას, რომლის შესრულება ამ ხალხს, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, არ შეუძლიან.

დიაღ, მეცნიერება აღზრდისა შესაძლებელია, მაგრამ ცხადად უნდა წარმოიდგინოთ უსაჭიროესი ცნობები, საზღვრები და ძლიერ ბევრსაც ნუ გამოველით მისგან. განსაკუთრებით არ უნდა ველოდეთ მისგან საკმარისს პასუხს ყოველს კერძო შემთხვევაში—ცხოვრება მეტად მდიდარია ფორმებითა და შესაძლებლობით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო თეორიულად ყოველს კერძო მოვლენაზე პასუხის გაცემა. მაგრამ რის შექმნაც შესაძლებელია—ეს საზოგადო გამოსაყენებელი საფუძვლებია, რომლის უარყოფა ერთბაშად სპობს აღზრდის მნიშვნელობას. ისიც ბევრია, თუ ამ საზოგადო საფუძვლების შესახებ მოხდება შეთანხმება.

ახლა დაგვრჩა პასუხი შემდეგს კითხვებზე: ვინ უნდა აღზარდოს? რა წესით, საშუალებით და რა მიზნით? მაგრამ ამ საკითხზე პასუხი შეუძლებელია თუ არ განვიხილავთ მემკვიდრეობით მიღებულს აღზრდის მეთოდებს; რადგანაც თუ ისინი კი აკმაყოფილებენ ყოველ კანონიერს მოთხოვნილებას, მაშინ არც საჭირო იქნება ამ საკითხების აღძვრა და განხილვა.

ლ. ბოცვაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი ტომები

უძველეს დროდან ქსენოფონტის ხანამდე

(დასასრული)

გ) ტიბარენ-მესხების ბინადრობა.

ჯავახიშვილის აზრით „მე-XI—VII საუკუნეებში ქრისტ. წ. დასახლებული ტომები გატიდებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ“ [1]). შემდეგ მე-54 გვერდზე მას ეს აზრი კიდევ უფრო მარტივად აქვს გამოთქმული. აქ ნათქვამია, რომ „ქართველები და სომხები შემდეგ შემოსულან კავკასიაში“. მე მგონია ამ აზრის ასე კატეგორიულად გამოთქმისათვის ჩვენ არაფერი საფუძველი გვაქვს. შრადერი, რომლის მიხედვითაც იგი შესაძლებელია გამოთქმულ იყოს, სრულებით არ ამბობს ამას გადაჭრით. იგი იმ შესაძლებლობასაც ადიარებს, რომ ეს ერები, ასურული წყაროების მიხედვით, ბევრად უფრო **შორს უწევდენ სამხრეთით,** ვიდრე ბერძნების ცნობებით (Sich beträchrlich weiter nach süden hin erstrekten) [2]). ამ აზრისაა სწორედ დდეგანდელი სახელოვანი ისტორიკოსი ედ. მაიერი, იგი სწერს: „ეჭვს გარეშეა, რომ ეს ტომები (იგულისხმება ქართველები ა. ს.) ხან გამოშვებით შორს უწევდენ სომხეთის და ადმოსავლეთ მცირე აზიის საზღვრებში“ [3]).

ამ აზრის იყო აგრეთვე დიდებული მეცნიერი კიპერტიც [4]).

---

[1]) იხ. მისი ქართველ ერის ისტორია I გვ. 28.

[2]) EB. Schrader Keilinschr. u Geschichts vorsch. 157.

[3]) იხ. Geseh. Altertuus მე-II გამ. გვ. 621.

[4]) იგ. მისი Lehrb. d. alten Geographie 1878 გვ. 86.

ამ აზრისავე უნდა იყოს, ჩემის აზრით, ეგეოლა, ვისაც კი მე-XIII—XII საუკ. ისტორია ქრ. წ. გათვალისწინებული აქვს. რაც შეეხება ჯავახიშვილის მეორე დებულებას („ქართველები და სომხები შემდეგ მოსულან კავკასიაში“) იგი უხერხულად გამოთქმულად მიმაჩნია, რადგან ქართველების და სომხების კავკასიაში შემოსვლა რომ არაფერი გასასწორებელია, ეს თავის თავად ცხადია. ჯავახიშვილმა შე მგონია თვითონაც კარგად იცის, რომ სომხები გეოდოტის დროსაც-კი ვერ უწევდენ არაქსის სათავემდე და ტიგრ-ეფრათის სათავეებზე ბინადრობდნენ. ქართველები კი ამ დროს, ეოველ ეჭვს გარეშეა, რომ კავკასიაში ბინადრობდნენ.

განვიხილოთ ახლა ტიბარენ მესხების ბინადრობის საზღვრები. აქ მე სიამოვნებით უთმობ სიტყვას ცნობილ ისტორიკოსებს გელტერს, შრადერს და მაერს, რომელთაც ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი გამოუთქვამთ: გელტერი ასე განგვიმარტავს ტიბარენების საზღვრებს: „ტაბალის ქვეყანაში ასასვლელად სალმანასარი ეფრატზე გადადის; მაგრამ რაკი ეფრატის იქით კუმუხი მდებარებდა, ამიტომ ტაბალი (ქვეყანა) უფრო ჩრდილოეთ-დასავლეთით უნდა ეოფილიყო. ამას სანგარის საყურადღებო ხელოვნური წარწერაც (Fastenbericht) გვიმტკიცებს ტაბალელი ამბრის შესახებ, სადაც ნათქვამია: ტაბალელ ამბრის, რომელიც მათ (ტაბალელებმა) თავის მამის ხულდის ტახტზე დასვეს, ქალი მიეთხოვე და თან (მზითვათ) კილიკია გავა-

ოდე, რომელიც მისი მამის სიბატონოს არ შეადგენდა, და მით სამეფოებელო გაუდიდე. თუ ამბრის სამეფოებელოს კიდეკიით გადიდება შეიძლებოდა, მაშინ ბირველი უკანასკნელის მოსაზღვრე უნდა ყოფილიყო; და მართლაც ასარჭადონი კიდეკიელების ტაბალის მეზობლებად იხსენიებს. თუ ტაბალი სამხრეთით კიდეკიამდე სწვდებოდა და ადმოსავლეთით კომაგენემდე, მაშინ ეჭვს გარეშეა, იგი დიდ კაბადოკიაში უნდა ვეძებოთ" [1]).

მაიერი ბევრს არაფერს უმატებს ამ განმარტებას. იგი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ, ადასტურებს მას და ამბობს „ტაბალები მეოდი შიგნი კაბადოკიის მცხოვრებნია, ადმოსავლეთით მათ ეფრატი საზღვრავს, სამხრეთით კი კილიკია [2]).

გელცერის აზრით ასურული ბიტ-ბურუტაც (რომელიც შემდეგი დროის კატაონიას უდრის გელც.) და მელიტენეც ტაბალის ქვეყნის ნაწილები უნდა ყოფილიყო. სპეუთად მას ორი წარწერა მოჰყავს, ერთში ჩვენი ნაცნობი ამბრი ბირდაბირ ბიტ-ბურუტას მეფედ იწოდება. მეორეში, სადაც სარგონისგან დაბურობილი ბროვინციებია ჩამოთვლილი, რიგი ესე მიჰყვება: ტაბალი, ბიტ-ბურუტა, კილიკია; მაგრამ რაკი (როგორც ზემოდ დავინახეთ) ტაბალის სამეფოებელო კილიკიამდე უწვდა, ამიტომ ცხადია ბიტ-ბურუტაც ამ სამეფოებელოში უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება მელიტენეს გელცერი ადნიშნავს, რომ სარგონის წარწერით ამ ბრივინციის უმთავრეს ქალაქად ტილ-გარიმი იხსენიება. სანქერიში კი, რომელმაც ეს ქალაქი შემდეგ დაიქცია, მას ტაბალის ქვეყნის ქალაქს უწოდებს. მაშასადამე თვით მილიდუც ტაბალის ქვეყნის ნაწილი

[1]) იხ. Zeitschrift f. die Ägipt. Spr. 1875 გვ. 15.

[2]) იხ. მისი Geschichte des Königr. Pontos გვ. 13.

უნდა ყოფილიყო. ეს სიბუთები იმდენად მარტივნი და სარწმუნონი არიან, რომ მათ წინააღმდეგ ძნელად თუ რისიმე თქმა შეიძლება.

მესხების შესახებ გელცერი მხოლოდ საერთოდ ადნიშნავს, რომ მათ შემდეგი დროის ბონტის სამეფოს ეჭირათ. უფრო გარკვევით მათი მოსახლეობის საზღვრებს შრადერიე აგვიწერს თავის ცნობილ გამოკვლევაში: [1]) „წარწერების მიხედვით მესხების ბინადრობის ადგილი ტაბალის გვერდზე, მის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით უნდა ვეძიოთ, სახელდობრ მცირე სომხეთის ნაწილში, მელიტენეს ჩრდილოეთით და ეფრატის ჩრდილოეთ ტოტის დასავლეთით».

ამ დასკვნას მისი აზრით კლასიკების ჩვენებანიც კარგა ესამებიან, რომელთა მიხედვით მესხები ტაბალის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ბინადრობდენ.

მე არა მგონია, რომ უკანასკნელი განმარტება (მესხების საზღვრების) საბოლოოდ სწორი იყოს, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ თვით წარწერები ძალიან ცოტა რასმე გვაუწყებენ ამის შესახებ.

დ) ტაბალ-მუსკების ძველი ძლიერება.

ჩემის აზრით მეტი არ იქნება ამ კითხვის შესახებ კერძოთ რამდენიმე ფაქტი დაუბირდაბირთ ერთმანეთს, თუმცა ზემოთ მოყვანილიც საკმაოდ შეიცავს მის ბასუხს. ტაბალენების და მესხების ისტორიული მნიშვნელობა რომ სულ სხვა იყო ასურეთის ხანაში, ვიდრე შემდეგი დროის ქართველებისა, ეს თავის თავად ცხადია. მათი დამოკიდებულება ასურეთთან ბევრ შემთხვევაში გერმანელების რომთან დამოკიდებულებას მოგვაგონებს. ტაბალ-მუსკები ისეთივე უხერხული და მოუსვე-

[1]) იხ. Keilinschr. u Geschf. გვ. 156.

ეროვნული

ნარი მეზობლები იყვნენ ასურელებისთვის, როგორც გერმანელები რომაელებისთვის. ვერც რომმა შესძლო საერთოდ გერმანელების თავის უღელში მომწყვდევა და ვერც ასურელებმა დასახელებულ ერების სამუდამოდ დაპყრობა. მიზეზებიც, ჩემის აზრით, ორსავე შემთხვევაში—ერთი და იგივე იყო. გერმანია საკმაოდ მოშორებული, ვრცელი, თუმცა დაქსაქსული, მაგრამ მაინც საკმაოდ ძლიერი იყო იმისთვის, რომ რომს მისი ხელში მომწყვდევა შესძლებოდა. ტაბალ-მუსკები და მათი მონათესავე გარემოც [1]) ასეთ სიბნელეს წარმოადგენდა, ჩემის აზრით, ასურეთისთვის. რომაელებისთვის ძნელი არ იყო, რასაკვირველია, რომელი ძლიერი გერმანული სამთავრო უნდა უოფილიყო მიწაზე დაემხო და მიეთვისებია, მაგრამ ასეთი ექსპერიმენტები იმ მხრით მოქმედებდენ, რომ დაქსაქსული ტომების შეერთებას ხელს უწყობდნენ. ასურელებსაც შესაძლოა ასეთი პოლიტიკა აღებინებდა ხელს ტაბალ-მუსკების დაპყრობაზე; მით უფრო რომ, როგორცა სჩანს, ტაბალ-მუსკები ამ ხანაში პოლიტიკურ გეგემონებს წარმოადგენდენ, რომელთაც შესაძლოა ბევრი მონათესავე ტომი უკვე სავსებით ჭეშმარიტებული, ზოგი კიდევ მხოლოდ პოლიტიკურად მჭიდროდ დაკავშირებული. ეოგელ შემთხვევაში დაქსაქსული მონათესავე ძალების შეერთების მხრივ, ასურული ხანის ტაბალ-მუსკები ბევრათ უფრო შორს იყვნენ წასულნი, ვიდრე რომაული ხანის გერმანელები.

ტაბალის ოც და ოთხი მეფის ამბავი ჭეშმარიტის არ იყოს, აშკარად გვიჩვენებს ამას. აღვილი მისახდომია აგრეთვე, „რომ მესოპოტამიისკენ მდტოდვარე მუსკებს, როგორც მაიერიც ჭეშიქრობს, მთელი მცირე აზიელი მთიელები შეხორცებული (პოლიტიკურათ მაინც) ჭეშმარიტათ.

საინტერესოა ამ მხრივ სარგონის დროის მესხების და ტიბარენების ისტორია. ძალთა კონცენტრაციას ამ დროს მესხების ხელში იქამდის მიუდწევია, რომ მეფე მიდას ხელში ფრიგიასაც ეჭიდავთ. მიდას გაგლენა მეზობლებზე იმდენად დიდია, რომ იგი რამდენსამე სამთავროს ამხედრებს ასურეთის წინააღმდეგ (მათ შორის ხეტელებს). ვინკლერის აზრით [1]) ის ფაქტი, რომ ამ დროის ხეტელები მიდას ემხრობიან სარგონის წინააღმდეგ, აშკარად გვიჩვენებს „რომ მესხები მათ თავლში ოდესღაც მთელი მცირე აზიის მბურობი ხეტელების მემკვიდრეებად იოვლებოდნენ.

დასახელებული მეცნიერის აზრით მიდას სამეფო ნამდვილ «ვეფიკაია დერეკვა“-ს წარმოადგენდა. მისი მოსაზრებით ევსებიოსის მიერ მოხსენებული ფრიგიელების 25 წლის გეგემონია ზღვაზე სწორედ მიდას დროს უნდა ეკუთვნოდეს [2]).

საუურადღებოა აგრეთვე, რომ „ქვეყნის მბურობი სარგონი, მიდას თანამედროვე, ამბრის აძლევს ქალს. აშკარაა აქ პოლიტიკურ ნაბიჯთან გვაქვს საქმე, რომელიც წმინდა რომაულ პრინციპზეა დამყარებული (divide et impera) და რომელსაც ალბათ აზრად ჭქონდა ტაბალი მუსკისგან დაეშორება ერთის მხრივ და მეორე მხრივ ძლიერი და მოუსვენარი მეზობელი, თუ ასურელის არა, საკუთარ მეფის ეღელის ქვეშ მაინც დაეცხრო [3]).

დასასრულ ამ კითხვის დასათავებლად სა-

---

[1]) თუმცა დამტკიცებული არაა, მაგრამ ჰიპოტეტიურათ მიღებულია, რომ ნაირელები ურარტულები და ხეტები ამათი მონათესავენი იყვნენ.

[1]) იხ. მისი Das alte Vorderasien გვ. 114. ჰელმოლტის მსოფლიო ისტორიაში.

[2]) იხ. მისი Altorientalische Forschungen წერილი Zur Kl. asiatisch. Gesch.

[3]) იხ. Winkler Das alte Vord. გვ. 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირად მიმაჩნია დაბადების ცნობებიც მოვიშველიო. ის ფაქტი მხოლოდ, ტუბალ მესეხი, ეს შორეული ჩრდილოეთის ერები საერთოდ იხსენიებიან დაბადებაში, აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ აქ ბაწია ტომებთან კი არა მძლავრ ერებთან გვაქვს საქმე, რომელნიც დაბადების მეათე თავის შემდგენის აზრით, თუ უფრო სწორეთ მის დროინდელი გადმოცემით უძველესნი ეოფიდან, რადგან წინასწმეტ შემთხვევაში ესენი ბირდაბირ იაფეტის მაგიერ, რომელსამე სხვა ერთან იქნებოდენ დაკავშირებულნი. (როგორც მაგალითად ტოგორმა გომერთან). გარდა ამისა, როგორც შრადერიც მიგვითითებს [1]) ტუბალ მესეხი დასახლებულ ადგილს ძველი დროის უმთავრესი და უმძლავრესი ერების გვერდზე იხსენიებიან (გომერ=ქიმერიელები, მაგოგ=სკვითები, ბადი=მიდიელები) როგორც ძმები ე. ი. როგორც თანასწორნი.

ამას შშვენივრად ეხმაბა წინასწარმეტყველის ის ადგილიც, სადაც ძველი ძლიერი და მეომარი ერების დაღუბვაა აწერილი [2]). აქ ჯერ ასურია (ასირიელები) მოხსენებული, შემდეგ ედომი და შემდეგ ტუბალ მესეხი, „რომელთა წინაშე ქვეყანა ძრწოდაო“ ამბობს წინასწარმეტყველი.

იეზეკიელის დროს, რასაკვირველია, ადარავინ ძრწოდა ტუბალ-მესეხის წინაშე, რადგან მაშინ მართლაც დაღუბულად ჩაითვლებოდა ეს ორი ოდესღაც ძლიერი ერი.

ამის მიზეზი სწორედ ის გომერი (ქიმერიელები) იყო, რომელიც მათ უფრო ძმათ იხსენიება დაბადებაში. ეს ქიმერიელები ძველად შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ყირიმში) ბინადრობდენ. აქედან ესენი დასახლოებით მე-VIII საუკუნის დამდეგს ქრ. წინ. შემოესივნენ მცირე აზიას და სრულიად შესცვალეს აქაური ეტნოგრაფიაც და ბოლიტიკური სახეც. ბირველივე მათი ტალღები ქართველ ტომებს უნდა მოხვედროდა. თავის ძალით ესენი, რასაკვირველია, ვერ გაუმაგრებოდნენ ამ საშინელ მტერს, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ ამათ ისევე როგორც შემდეგ, ლიდიელებმა (არდისმა) ასურეთს მიმართეს დახმარებისათვის, მაგრამ, როგორც ასარჭადონის შეკითხვებიდამ სჩანს ორაკულისადმი, თვით ძლიერი ასურეთიც ძრწოდა საშინელ მტრის წინაშე [1]). ვინკლერის აზრით შესაძლოა თვით ასარჭადონიც მათთან ბრძოლაში დაიღუბა, რადგან სანქერიშის ჩვენებიდამ სჩანს, რომ ის არც ბუნებრივის სიკვდილით მომკვდარა და „არც თავის სახლში დამარხულა“ [2]).

ქიმერიელების შემოსევის შემდეგ ქართველი ტომები თითქმის ადარ იხსენიებიან მცირე აზიაში, ოდესღაც ძლევამოსილი მუსკები თითქო ერთბაშად ჭქრებიან ისტორიის ფურცლებიდამ, ესევე მოსდით ტაბალის ბრწყინვალე მთავრებსაც [3]).

გელცერის აზრით მხოლოდ კაპადოკიელები გადარჩნენ ამ წარდგენას, თუმცა ტიბარენების სახელი ამ ძლიერი ერის ნაშთებს შერჩა შავი ზღვის ბირას. სად გაჭქრა დანარჩენი ერი, ამაზედ დანამდვილებით არაფერი ითქმის. ერთს საუურადღებო ჭიბოტეზას ამის შესახებ ქვემოდ მოვიყვან. ქიმერიელების ბატონობა მცირე აზიაში დიდი ხანი არ გაგრძელებულა. მას ბაბილონელების აგრეთვე ხანმოკლე ბატონობა მოჭყვა, რომლის შემდეგ ჩვენ აქ ჯერ მედიელებს და შემდეგ სპარსელებს ვხედავთ. სწორედ სპარსელების ხელში იდგა ტაბალის ძველი სამეფოობელო და მისი მცხოვ-

[1]) იხ. Keilinschr u. Geschf. გვ. 162.

[2]) იხ. იეზეკიელის წიგნი თავი 38, 26.

[1]) იხ. Winkler Das alte Vorderasin გვ. 132.

[2]) იქვე 67.

[3]) იხ. Geljer Kapad. u seine Bewohner გვ. 19. Zeitschr. f. Äg. Spr. 1875.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლები იმ სახელს (კაპადოკია-კაპადოკიელები), რომლითაც მას შემდეგი ისტორია იცნობდა. საიდან გაჩნდენ ეს კაპადოკიელები არც ესაა ჯერ ჯერობით გამორკვეული. საერთოდ მათ, როგორც გელცერი და მასპეროა, ისე სხვებიც ერანელ კოლონისტებად სთვლიდნენ, მაგრამ ამის საბუთი, როგორც მაიერი გვარწმუნებს [1]) მხოლოდ ისაა, რომ ეს სახელი (კაპადოკი) სპარსეთის ხანაში ჩნდება. თვით მაიერმა შემდეგი ჰიპოტეზა შეადგინა მათ შესახებ, რომელიც აქ მოკლედ მოგვაგს.

იმისდა მიხედვით, რომ კატაონია ძველად ტაბალის სამეფოობელოს ნაწილს შეადგენდა და აქ, ციცერონის დროსაც იხსენიებოდენ ტიბარენები, მაიერს გელცერთან ერთად სწამს, რომ კატაონელები ძველი ტიბარენების ჩამომავლები იყვნენ [2]). შემდეგ მაიერი ჰფიქრობს, რომ სტრაბონის ჩვენება კაპადოკიის და კატაონიის სხვაობაზე ეტნოგრაფიული კი არა, პოლიტიკური მხრივ უნდა გავიგოთ, რადგან თვით სტრაბონი მოწმობს, რომ მიუხედავად ამ ქვეყანათა სხვაობისა, კატაონელები მის დროს არაფრით განირჩოდნენ კაპადოკიელებისაგან. გარდა ამისა მაიერს მეტად მნიშვნელოვან საბუთად მათი ერთგვაროვნებისა ის ფაქტი მიაჩნია, რომ კაპადოკიელების ნაციონალურ სალოცავებთაგან ერთი თვით კაპადოკიაში იყო, მეორე კი (თითქო უფრო ძველი) კატაონიაში [3]). ყველა ამის მიხედვით მაიერი შემდეგ დასკვნას აკეთებს „თუ კი კატაონელები ტიბარენები იყვნენ, მაშინ ჩვენ იძულებულნი ვართ ვითქროთ, რომ კაპადოკიელებიც ან იგივე ტიბარენები ან მათი უახლოესი მონათესავეები იყვნენ“ [4]). თუმცა მაიერი დღეს ადარ უნდა იყოს ამ აზრის [1]). მაგრამ ეს დასკვნები ბევრ არაფერს იზარალებენ ამით.

ე) კასკები.

დანარჩენ ქართველ ტომებთაგან ასურულ წყაროებში მხოლოდ კოლხები (კასკები) იხსენებიან და ისიც ძალიან იშვიათად. მათი ბინადრობის შესახებ ეს წყაროები ძალიან ბნეულ ცნობებს იძლევიან. ტიგლატ-პილესარ მეორის წარწერაში ესენი მიდიელს და ტაბალის შორის იხსენებიან. სარგონის წარწერაში კი მათ ურარტუს და კაპადოკიას შუა ვხედავთ [2]). მიუხედავად ამისა ბრადერი მაინც ჰფიქრობს, რომ მათი ბინადრობა მესხების ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო, რადგან ესენი მათ გვერდზე იხსენიებიან [3]) (ტიგლატ-პილესარ I წარწერაში ა. ს) ალბად კოლხების ამ შორეული ბინადრობით აიხსნება ის მოგზენა, რომ ასურული წყაროები თითქმის არაფერს გვეუბნებიან მათზე. შავი ზღვის მიდამოებამდე კი ტიგლატ-პილესარ I მეტს არც ერთ ასურეთის მეფეს არ მიუღწევია.

საინტერესოა ამ უკარსკნელის განმარტებული ცნობა მათ შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ (4000) „კარგმა და ურუმელმა [4]) ხალის ქვეყნის ჯარისკაცებმა“ მისი მოკავშირე სუბარტუ დაიპყრეს. ხეტელების ქვეყანა (კარხემიში) საკმაოდ შორს იყო საბრძოლოთით კასკებიდან, რომ მათ შორის რაიმე კავშირზე შეიძლებოდეს დაპარაკი სუმარტუს წინააღმდეგ, ამიტომ ბრადერთან ერთად უნდა ვი-

---

[1]) იხ. Gesch. des Kön. r. Pontas გვ. 14.

[2]) იხ. იქვე გვ. 15.

[3]) აქ ე. წოდ. კომანებზეა ლაპარაკი.

[4]) იქვე.

[1]) იხ. მისი Geschichte Altertums მე-II გამ. § 473.

[2]) იხ. Schrader Keil u. Gesch f. 227.

[3]) იქვე 156.

[4]) ამ სიტყვის შემდეგ შტრეკი და-ს ამატებს თარგმანში რაც სრულებით სცვლის წინადადების აზრს და მისგან გამომდინარე დასკვნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობ, რომ დასახელებულ შემოხვევაში კოლხები ხეტელებისგან დაქირავებულ ჯარს წარმოადგენდნენ [1]).

IV. ქართველი ტომები ბერძნული წყაროების მიხედვით. კოლხები

რამდენად დარიბია ასურული წყაროები კოლხების შესახები ცნობებით, იმდენად მდიდარია სამაგიეროდ ბერძნული წყაროები (შედარებით რასაკვირველია) ამ ცნობებით. ამიტომ ჩვენც კოლხებიდამ დავიწყებთ ამ ცნობების განხილვას.

თავის ძველს სახელს კოლხიდა და კოლხები იმ გარემოებას უნდა უმადლოდეს, რომ იგი ძველი ბერძნების შემოქმედებამ მათ უძველეს თქმულებას ჩაუქსოვა. დღეს დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ თქმულებამ დროთა განშვლობაში რამდენიმე რედაქცია განიცადა. ბევრი ამტკიცებს, რომ არა თუ ამ თქმულების უძველესი ფორმა, არამედ ჭომეროსის დროის ვარიანტიც კი არ სახავდა დაშქრობის მიზნად კოლხიდას, რადგან უკანასკნელი ამ დაშქრობას ცნობილ ამბავად იხსენიებს, მაგრამ კოლხიდას სრულიად არ ასახელებს. აქედამ ზემოდ ნახსენები პირები დასკვნიან, რომ თვით ჭომელსოროსაც არ სცნობია კოლხიდა.

არიან რასაკვირველია ისეთებიც, რომელნიც ზემოდ მოყვანილ აზრებს სრულიად არ იზიარებენ და, მაშასადამე, წინააღმდეგს ამტკიცებენ. გადამწყვეტი საბუთების მოყვანა არც ერთს და არც მეორე მხარეს არ შეუძლიან, რადგან შეიძლება ითქვას ესეთი საბუთები არ არსებობენ.

ამიტომ აქ რწმენაზე და ჰიპოტეზებზეა დაპარაკი. მეცნიერი ვიდამოვიცი, რომელიც საბერძნეთის ძველი ლიტერატურის საუკეთესო მცოდნეთ ითვლება, იმ აზრისაა, რომ ავა, რომელიც თავიდამვე იყო დაშქრობის მიზნად დასახული, ჭომეროსის თუ მისი დროის ბერძნების წარმოდგენით, აღმოსავლეთში და არა დასავლეთში იგი ნაგულისხმევი [1]). ამავე აზრის არიან ენგელმანი [2]) და ნოიმანი [3]).

თუ ჭომეროსის წინა ბერძნები კოლხიდაში ათავსებდენ ავას (ქალაქი) მაშინ ბერძნებს უძველესი დროიდამ უნდა სცნობოდათ ჩვენი ქვეყანა. წარმოუდგენელი აქ არაფერია. რადგან ბერძნები, როგორც მეზღვაურები, ფინიკიელების მემკვიდრენი და პირველად მათი მაჩანჩალებიც იყვნენ.

უკანასკნელებზე კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი შავი ზღვის ნაპირებს უძველესი დროიდამვე იცნობდენ. მათი კოლონია ბროხექტოსი (ბითინიაში) ძველთაგანვე იხსენიება [4]).

გარდა ამისა, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, შრადერმა დაამტკიცა, რომ დაბადების ქიმერიელები (გომერი) ყირიმში იყვნენ ჯერ და არა მცირე აზიაში. მაშასადამე ესენი მხოლოდ ფინიკიელების ცნობით თუ მოჰყვებოდენ დასახელებულ ადგილს. საკვირველი მაშასადამე არაფერი იქნებოდა, რომ ფინიკელების კვალზე მიმეოდ ბერძნებსაც ადრე სცნობოდათ შავი ზღვის პირები (აღმოსავლეთით).

რაკი ეს ასეა ჭომეროსსაც უნდა სცნობოდა რასაკვირველია კოლხიდა. მალტა-ბრიუნს [5]) ოდისეის ერთი ადგილი XII 70 სწორედ ამის დამამტკიცებლად მიაჩნია. კოლხიდაზე ჭომეროსი მართალია არაფერს გვეუბნება, მაგ-

---

[1]) იხ. Keil. u Geschf. 227.

[1]) იხ. Eneyclop. von Ersch u. Gruber წერილი Kolchis.

[2]) იხ. Roscher Lexikon d. Griechischen Mythologie წერილი Argonareten.

[3]) იხ. მისი Die Hellenen in Skythenlande გვ. 336.

[4]) იქვე. 340.

[5]) იხ. მისი Geschichte der Erdkunde.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ რიტერის აზრით [1]) მხოლოდ იმიტომ, რომ იმის წინა მგოსნების (ე. წ. ორფეიკების) დაწერილებით ჭქონდათ იგი აწერილი. ეურიდების მისაქცევი კიდევ შემდეგია: ჭომეროსი ოდისეის მეორე ნაწილში (364 გვ.) გარკვევით იხსენიების ხალიბებს. ესენი კი როგორც ასურული წყაროებით (ქალდები) ისე ქსენოფონტის მოწმობით კოლხების ახლო მეზობლები იყვნენ, მაშასადამე ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ მტნობ მგოსანს კოლხების სახელი სრულებით არ ჭქონოდა გაგონილი. რატომ ვერ ჭპოულობთ ჭომეროსის ნაწარმოებებში ამ ტნობის კვალს. ვისაც უძებნია მას უპოვია კიდეკაც იგი. უკვე დიუბუა დემონტპერომ, რომელიც ჭომეროსის გარდა კავკასიასაც შესანიშნავად იცნობდა, განაცხადა გადაწერით, რომ ოდისეი და მისი თანამგზავრები ხმელთა შუა ზღვაში კი არა შავ ზღვაში დაეხეტებოდნენ [2]) საუბედუროდ აქ ადგილი არაა მისი მოსაზრებული შეხამება ჭომეროსის ადწერის და ჩვენებური ორიგინალისა მისივე სურათებით გაუთვალისწინო მკითხველს. დავუმატებ მხოლოდ რომ ენგელმანიც, რომელიც გაბატონებულ აზრს უნდა გამოხატავდეს ზემოდ დასახელებულ წერილში, დიუბაგასავე აზრს ემხრობა.

დასასრულ, ამ კითხვის დასათავებლად, საჭიროდ მიმაჩნია ადგნიშნო, რომ ფოლკერი, რომელსაც ცალკე შრომა აქვს დაწერილი ჭომეროსის გეოგრაფიის შესახებ [3]) ამტკიცებს, რომ ჭომეროსი არა თუ იცნობდა და ხშირადაც იხსენიებდა კოლხებს. მისი აზრით ის ეთიოპიელები, რომელთაც მართლა ხშირად იხსენიებს ჭომეროსი—კოლხებია. მისი სიტყვებით ამ დებულების დასამტკიცებლად ნეგატიური ხასიათისანი არიან. ე. ი. ფოლკერი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ნამდვილი ეთიოპიელები შეუძლებელია, რომ სცნობოდა მგოსანს. გარდა ამისა მისი აზრით ჭომეროსი დასავლეთის და ადმოსავლეთის ეთიოპიელებს არჩევდა. სწორედ ეს ადმოსავლეთის ეთიოპიელები უნდა იყვნენ მისი აზრით ის შავკანიანი კოლხები, რომელთაც შემდეგ გეროდოტი იხსენიებდა [1]). საკურადღებოა, რომ ზოგი სავეკლესიო მამაც, როგორც მაგალითად იერონიმი, „შიგნი ეთიოპიას“ უწოდებდენ კოლხიდას [2]).

ფაზისს (რიონს), არგონავტების დაშქრობასთან ერთად, პითველად ჭომეროსის უახლოესი მომეოდი ჭეზიოდი იხსენიებს [3]), თვით სახელს „კოლხის“ პირველად ე. წ. ეგმელიისგან [4]) ვხედავთ მოხსენებულს (800 წელს ქრ. წინ. ენგ.).

გეროდოტამდე კიდევ მოიძებნებიან ძველი ავტორები (ჭეკატე, სტილაქსი, ულბი ორფეუსი) რომელთაც თითო ოროლა ცნობა მოეპოვებათ ქართველი ტომების, ან საქართველოს შესახებ, მაგრამ ამ განცალკევებული და გაბნეული ცნობების ცალკე განხილვა არ ღირს, ამიტომ მიუბრუნდები ისტორიის მამათ-მთავარს და სადაც შესაფერი იქნება მასზე წინა ავტორებსაც დავიმოწმებ.

ჯავახიშვილი გეროდოტს ბუნდოვნობას უსა-

---

[1]) იხ. მისი Geschichte der Erdkunde თავი კოლხების შესახებ.

[2]) იხ. Neumann. Die Hellenen—გვ, 364.

[3]) იხ. მისი Über die Homerische Geogr. u. Erdkunde.

[1]) იხ. Die musen des Herodotus II 114.

[2]) იხ. Bitter Erkunde 1 გამოცემა II ნაწ. ან. Vorhalle der Europáisch. Völckergesch. თავები კოლხების შესახებ.

[3]) იხ. Völeker über. die Hom. Geogr. u. W. გვ. 94.

[4]) Ranke. Weltgeschichte I თავი ძველი ბერძნების შესახებ.

ეროვნული

უველურებს. ჩემის აზრით კი, რაც გეროდოტს უთქვამს, ის მარტივია, რაც არა და იმის საუველური არ გაეწყობა. ავიდოთ მაგალითად ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი ადგილი (გერ. მე-IV წიგნი თავი 37): „სპარსნი ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე—მათ ზემოდ ჩრდილოეთით მიდიელები, – მიდიელების შემდეგ სასპირნი, და სასპირების შემდეგ კოლხნი ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელშიაც თავზისი ჩადის. ზღვიდამ ზღვამდე, მაშასადამე ეს ოთხი ერი“. კოლხიდა აქ, როგორც უველა მიხედება, დასავლეთ საქართველოს უდრის სერთოდ. გეროდოტზე ადრე სტილაქს აქვს აქ მცხოვრები წვრილი ერები დასახელებული. ეჭვს გარეშეა ჩვენში ნამოთვს გეროდოტსაც ეცნობებოდა ეს სახელები და თუ მიუხედავად ამისა ის კოლხებს ხმარობს მათ აღსანიშნავად, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ ეს სახელი ძველადვე გამხდარა საერთო უველა აქ მცხოვრებ ტომებისთვის. ეს დასკვნა მე უველასათვის ცხადი მეგონა, მაგრამ ჩემდა გასაოცებლად მაიერის წერილში კოლხების შესახებ [1]) იგი საფუძველს მოკლებულადაა აღნიშნული. არ ვიცი სწორედ რადა საფუძველია კიდევ საჭირო. უკვე ეალბი ორფეუსი დაპარაკობდა კოლხურ ერებზე [2]) (Colchorum nationes) შემდეგ ბლინიც იხსენიებს კოლხურ ტომებს (Gentes Colchorum). ჰეკატეც მოწმობს [3]), რომ კორაქსები და მესხები კოლხური ტომებია. გარდა ამისა სტილაქსიდამ დაწუებული არიანამდე კოლხიდის საზღვრები დაახლოვებით ერთგვარათაა დასახელებული და დაახლოვებითვე დასავლეთ საქართველოს შეიცავს, და არა მის რომელსამე გუნძულს მხოლოდ. თუ მხედველობაში მიიღება აგრეთვე, რომ უველა კლასიკებმა იცოდნენ – ამ საზღვრებში სხვა და სხვა ბაწია ტომები ცხოვრობდენ, მაშინ უსაფუძვლო, ბირიქით, ბატივცემულ ავტორის აზრი გამოგვივა.

სტილაქსის სიტუვიო [1]) კოლხიდა ჩრდილოეთით დიოსკურიამდე უწევდა, სამხრეთით ჭოროხამდე. დასავლეთით და აღმოსავლეთით ბუნებრივი საზღვრებია ადბად ნაგულისხმევი (შავი ზღვა და ლიხის მთა), დაახლოვებით ასევე განსაზღვრავს მას არიანიც: ჩრდილოეთით დიოსკურია—სამხრეთით მდინარე ფაზისი [2]) სტრაბონი ჩრდილოეთის საზღვარს ტოტა უფრო ზემოთ გვიჩვენებს (ბიჭვინთა) სერთოდ კი მისი განსაზღვრა არიანისას მოგვაგონებს [3]).

გეროდოტი არ გვისახელებს ადგილებს სიიდამ სადამდი სწვდებოდენ კოლხები, მაგრამ მისი ჩვენება, რომ ისინი შავ ზღვასა და სასპირებს შუა იყვნენ მოთავსებულნი, საკმაოდ გარკვეულად და ცხადად მიგვითითებს ძველს დასავლეთ საქართველოზე. მით უფრო რომ სასპირები, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ან იგივე ძველი იბერებია, ან მათი მოადგილეები (რაც ძნელი მისაღებია).

რომ კოლხიდათ გეროდოტი მთელი ლიხის მთის გადადმა საქართველოს გულისხმობდა, ეს იქიდამაც სჩანს, ჩემის აზრით, რომ კოლხები, როგორც მოსარკეები სრულიად არ ისხენებიან გეროდოტის მიერ მოყვანილს სპარსულ ფინანსიურ ადმინისტრატიულ სიაში. ადვილი წარმოსადგენია, რომ სპარსეთის ბუ-

---

[1]) იხ. Encyclop. von Ersch u. Gruber Kolchis.

[2]) იხ. Orphei Argonautica himni გესნერის გამოცემა სტროფა 745—54.

[3]) Stephanos 466.

[1]) იხ. C. Mannert Die Geographie der Griechen u. Bömer ტომი VI ნაწ. 2 გვ. 397.

[2]) იხ. Wohe Altes und neues Vorderasien გვ. 471.

[3]) იქვე.

ნებრივ საზღვარს მაშინაც ლიხის მთა წარმოადგენდა. სხვათა შორის გეროდოტის ერთი საუკეთესო კომენტატორთაგანი ჯემს რენნელი, რომელმაც მეტად საფუძვლიანი გამოკვლევა დაწერა თავის დროს სპეციალურად გეროდოტის გეოგრაფიის შესახებ, თავის რუქაზე ლიხის მთას გვაჩვენებს (გეროდოტის მიხედვით) კოლხიდის აღმოსავლეთ საზღვრათ [1]).

კოლხებს გეროდოტი ძველ ეგვიპტელებად სთვლიდა, რომელნიც მისი აზრით რამზეს მე-II დაშქრობის დროს დარჩენილან აქ. მე სხვა ადგილს განვიხილე ეს თეორია თუ ჰიპოტეზა, ასე რომ აქ ადარ მოვუვები მის გარჩევას. მიუხედავად იმისა, რომ იგი აშკარად უსაფუძვლოა, მას დღემდისაც არ გამოლევია მომხრენი. უკანასკნელ დროს კიპერტმაც კი აღიარა ასეთი ჩამომავლობის შესაძლებლობა. ძველად ხომ იგი (თეორია) საერთოდ მიღებული ყოფილა, რამდენიმე ძველი ავტორის მოწმობა დღემდისაც შენახულა, სადაც ისინი გეროდოტის აზრს იმეორებენ (დიოდორი, ვალერი, ფლაკი, დიონისი, პერიეგეტი, ამიან მარცელინი, ავიენუსი და ევსტათი). გარდა ამისა ამ თეორიას მიმბაძველებიც ბევრი გამოუჩნდა, რომელთა რიცხვს მიხაელისი, შოხარტი, გესნერი, ჭოლსტენიუსი, რიტერი და სხვ.) ეკუთვნიან. ზოგი ამტკიცებს რომ კოლხები სირიელებია, (მიხაელისი Mos. Rocht IV 185) ზოგი მათ ბიბლიურ კასლუხებად სთვლიდა (ბოხარტი (Geogr. Sacra 285). ზოგი კიდევ ფინიკიელებად (გესნერი (Gesner ab Orphei Argon 108) ზოგი ურიებად (ჭოლსტენიუსი Epistola ad dev 510) და ზოგი ძველ ინდუსებად (რიტერი Vorhalle d. Fur. Volck. gsch.36—48). გეროდოტის კოლხების შესახები თეორია, რიტერის აზრით, თვით ეგვიპტური ჩამომავლობის არის [1]), რადგან ადვილი წარმოსადგენია, რომ ეგვიპტელები ამ ძველად განთქმული ერის წარმოშობას თავის ნაციონალური გმირის სახელს უკავშირებდენ. გეროდოტი კი ძალიან მოწიწებით უყურებდა ეგვიპტელებს, რომ ამაში აეწვი შეეტანა.

გეროდოტის თეორიაზე უფრო საინტერესო მისი ჰიპოზიტიური მოწმობა კოლხური ქსოვილის შესახებ. ეს ქსოვილი მისი სიტყვით განთქმული ეოფილა საბერძნეთში და ეგვიპტურზე მაღლა ფასებულა. შემდეგი დროის ავტორებიც იხსენიებენ მას, როგორც მაკალიოად ქსენოფონტი. სტრაბონი [2]), კალიმახი და ევსტათი [3]). სტრაბონის მოწმობით იგი ბალმად გაჭრილათ თურმე კოლხიდამ.

ეს ცნობა იმითია საინტერესო, რომ იგი გვიჩვენებს რამდენად განვითარებული მატერიალური კულტურა ჭქონიათ კოლხებს გეროდოტის დროს. მაშასადამე ის ჯერი მათი ბარბარობის შესახებ, რომელსაც, ქსენოფონტის მიხედვით, დღესაც ბევრი იმეორებს, უსაფუძვლო უნდა იყოს. რასაკვირველია, რიტერის არ იყოს [1]), სხვა საბუთებიც არსებობს ამ ჯერის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ მათ ჩამოთვლას აქ არ მოვუვებით.

საინტერესოა აგრეთვე გეროდოტის ცნობა კოლხების ნებაყოფლობითი ხარკის შესახებ [2]). მისი სიტყვით მათ ნებით უკისრიათ ყოველ 5 წელიწადში 100 ქალი და 100 ვაჟი ეძლიათ სპარსელებისთვის. ეს ცნობა გვიმტკი-

---

[1]) იხ. მისი The geographical system of Herodot.

[1]) Gesehichte der Erdkunde 62—3.

[2]) იხ. Ritter. Vorhalle 36—48.

[3]) იხ. Bochart. Geogr. Sacra 285.

[4]) Gesch. d. Erdk. 62.

[5]) III 94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებს, რომ სპარსული ტიპის თუ სიისლის გაკეთილშობილება ქართველების მიერ ამ დროიდამვე დაწყებულა.

ეს ცნობა იმასაც გვიმტკიცებს აგრეთვე, რომ გეროდოტის კოლხები საერთოდ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი ყოფილან, რადგან, წინასწარმეტყველ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ შავკანიან და თმახუჭუჭა კოლხებს ჭქონოდეთ მოწონება სპარსეთში, რომელთაც გეროდოტი წინა წიგნში გვისახელებს [1]) (სასპირეში). შემდეგი ერი, რომელიც გეროდოტის ადწერაში ჩვენ ყურადღებას იპყრობს—სასპირებია ჩვენი პატივცემული ისტორიკოსი სრულებით არ იხსენიებს მათ. საერთოდ უნდა ადვნიშნო, რომ მათ შესახებ ძალიან ცოტა რასმე ვტყობილობთ, როგორც ძველი, ისე ახალი ავტორებისგან. მათი სახელი, როგორც რიტერი გვარწმუნებს, გეროდოტის გარდა, მხოლოდ სტეფანეს და როდოსელი აპოლონიუსის ნაწარმოებებში გვხვდება [2]). სტეფანე მათ საბირებს უწოდებს, ყალბი ორფეუსი საბირებს. ამ მართლწერის შესახებ უნდა შევნიშნო, რომ გეროდოტის ბერძნულ გამოცემაში (ქრ. ბერისა) ზოგგან სასპირებია ნახმარი, ზოგგან საბირები.

ჩვეულებრივ გეროდოტის კომენტატორები გვერდს უხვევენ ხოლმე ამ სახელს და გულ ახდილად შენიშნავენ, რომ ამათ შესახებ მათ არაფერი სმენიათ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა აზრის მოსმენა ამ ერის შესახებ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. აქ მე მხედველობაში მეცნიერების კორიფეები მანერტი და რიტერი მყავს.

გეროდოტის ზევით მოყვანილი ადგილიდამ, სადაც ნათქვამია, რომ კოლხებს და მედიელებს შუა მარტო სასპირები ცხოვრობდნენ, მანერტს შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: „მაშასადამე შემდეგი დროის ჩრდილო სომხეთი სასპირების ხელში ყოფილა [1]).

დაახლოვებით ზემოდ ნახსენები რენელიც ამ აზრისაა ამ საგნის შესახებ. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი მთელი არაქსის ხეობას სასპირებს აკუთვნებს. ახალი დროის მკვლევარები და ისტორიკოსები ჭიუმმანი, მაიერი და სხვ. სასპირებს არაქსის სათავეებზე ათავსებენ, მისი შუა ნაწილი მათის აზრით ადარდიელებს ეჭირათ გეროდოტის დროს.

ვინ იყვნენ სასპირები, ამის შესახებ თითქმის არავინ არაფერს არ გვეუბნება. არც ის ვიცით სადამდის უწევდა ჩრდილოეთ დასავლეთით მათი საზღვარი. მანერტი ამბობს, რომ სასპირები შეიძლება კასპიის იქითა მხარეები ეოფილიყვნენ აქ მოსულიო, მაგრამ ეს აზრი ეოველ საეუძველს მოკლებულია. ამ უცნაური ერის შესახებ, მე მგონია, თვით გეროდოტის ტექსტში შეგვიძლიან სიმართლე თუ მისი მაგვარი რამ ამოვიკითხოთ.

შავი ზღვიდამ (რიონის ჩასართავიდამ) რომ სპარსეთის ზღვამდე ხაზი გავიყვანოთ, მისი მიმართულება სამხრეთ-აღმოსავლეთის იქნება და არა სამხრეთის მხოლოდ. ამ მიმართულებაზე მისდევდა ერთი მეორეს გეროდოტის მიერ დასახელებული ოთხი ერი (კოლხები, სასპირები, მედიელები და სპარსელები), მათ შორის გეროდოტის ხაზგასმული მტკიცებით სხვა ერი არ სახლებულა. მივიღოთ ეს მხედველობაში და ვიკითხოთ: შესაძლებელია, რომ გეროდოტს უზარმაზარი მედიის ჩრდილოეთის საზღვრად შედარებით ძალიან პატარა ისპირი-სპერი (რომელსაც ჩვეულებრივ სასპირების ქვეყანას ადარებენ) დაესახელებინა. მე

[1]) II 104.

[2]) ეს შეცდომაა, რადგან ყალბი ორფეუსის არგონავტიკაშიც ვხვდებით ამ სახელს (crebra sapirorum oppida).

[1]) იხ. მისი Geogr. der Griechen u Römer VI 2 გვ. 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონია ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს ბირდაბირ წარმოუდგენელია. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ სასპირების ქვეყანა ისპირზე გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყოს. რაკი გარდა ამისა იგი სამხრეთ-აღმოსავლეთით მისდევდა კოლხიდას, ამიტომ მას ძველი იბერიის ტერიტორიაც (ნაწილი მაინც) უნდა სჭეროდა. სადღა იყვნენ ამ ტერიტორიის შემდეგი მცხოვრებნი—ქართველები! ჩვენ არავერი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ესენი **გეროდოტის** დროსაც იქვე არ იყვნენ, სადაც ახლა არიან. კავკასიის ერების ისტორიის საკვირველ მხარეს სწორედ ის მოვლენა შეადგენს, რომ მათ თვალუწვდენი ხნის განმავლობაში ერთი და იგივე ტერიტორიის მპყრობად ვხედავთ. რათ უნდა შეადგენდენ იბერები და ისიც გეროდოტის დროის კამონიკლისს.

ამის შემდეგ მგონია ძნელი არ იქნეს დავეთანხმოთ რიტერს და სასპირები, საბირები ძველ იბერებად აღვიარეთ.

კიპერტის ვრცელ რუქებზე სასპირების ქვეყანას ჩვენებური ისპირი უდრის. ამ სალხის ბინადრობის ასე შემცირება, საგსებით ეწინააღმდეგება გეროდოტის ტექსტის აზრს. კიპერტი, თვითონაც მიმხვდარა ამას და მეტად მოსაზრებულადაც გაუსწორებია საქმე. თავის ძველ გეოგრაფიაში იგი შესაძლებლად აღიარებს, რომ ისპირი (სპერი) მხოლოდ ცენტრი ყოფილიყოს რომელისამე აქედამ წარმოშმდგარი ვრცელი სამთავროსი (იხ. Lerl. kl. Asien). თვით სახელის (სისპირი) შესახებ იგი ჩვეულებრივი დრმა აზროვნებით შენიშნავს, რომ შესაძლებელია იგი ქართული თავსართისა—და ძირი სპერი-ისპირისაგან შესდგებოდეს. ისპირისაგან წარმოშმდგარი სამთავრო თუ სახელმწიფო თავის თავად ცხადია ქართული იქნებოდა, რადგან ამ ბროვინციის მცხოვრებთა უმრავლესობა უძველესის დროიდამვე ქართველი მოდგმისა ყოფილა (აღაროდიელები). სასპირების გვერდზე, მათთან ერთად ერთ სატრაპიაში მცხოვრებლებად, გეროდოტი ამ აღაროდიელებს იხსენიებს. ესენი, როგორც დღეს საერთოდ მიჩნეულია, იგივე ასურული წარწერების ურარტიელები უნდა იყვნენ. ზემოთაც ვთქვი, რომ მათ თითქმის ყველა ქართველთ მონათესავე ერათ აღიარებს ჭიპოტეტიურად, ამიტომ მეტად არ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით მოვიხსენიო ესენი, უკანასკნელი გამოკვლევის მიხედვით მათ შესახებ [1]).

ამათი სამეფო ასურეთის ხანაში ტიგრ-ეფრატის სათავეებს და არქსის ორსავე მხარეს შეიცავდა. თვით მცხოვრებნი თავის სამეფოს ბიანას უწოდებდენ—თავის თავს-კი ქალდებს. ამ სამეფოს ცენტრი (ბიდიტაგური ა. ს.) ვანის ტბის ბირზე მდებარეობდა. მაშასადამე ტერმინები ვანი ბიანა და ურარტუ, ერთი და იგივე სამეფოს სახელებია [2]).

ამ სამეფოს წარმოშობის ხანა მხოლოდ დაახლოებით შეიძლება განმარტებულ იქმნას. ტიგლატ-ბიდესარ ბირველის დროს დასახელებული ქვეყანა სრულებით არ იყო ბოდიტიგურად გამოყოფილი და ჯერ ისევ ნაირის ქვეყანაში შედიოდა. თუმცა ურარტუ, როგორც ბროვინცია, რომელსაც კიპერტის აზრით დაბადების არარატი [3]) უდრის, შესაძლოა წინადაც არსებულიყო. ამ ქვეყანას ბირველად ასურნაზირ ბალის დროს 884—60 ვხედებით ცალკე მოხსენებულს. სალმანასარ მე-II წარ-

---

[1]) უმთავრესად აქ შტრეკის შესანიშნავი შრომაა ნაგულისხმევი, რომელსაც მთელი მათი შესახები ლიტერატურა გადაუმუშავებია კრიტიკულად იხ. Zeitschr. für Assyriologie 1898.

[2]) ჯავახიშვილს ვანის და ურარტუს სამეფო რატომღაც სხვა და სხვა ჰგონია იხ. მისი ისტორია ავ. 55.

[3]) დაბადებაში არარატი შეცდომით ყოფილა ქვეყნის მაგიერ მთათ თარგმნილი.

წერილამ კი უკვე ისიც აშკარად სჩანს, რომ ურარტუს ამ დროს ეფრატის სათავე უჭირავს, ნაირის ქვეყანას კი მხოლოდ და ეფრატის დასახლოებით, ამ დროს აკუთვნებენ მათი სამეფოს დაარსებას. მის შემდეგ იგი სწრაფად იზრდება ადმოსავლეთ-სამხრეთისკენ და მალე თვით ასურეთისთვისაც საშიში მეტოქე ხდება. სიდამ მოვიდნენ ქალდები, ამის შესახებ ერთი გადაჭრილი ბასუხი არ არსებობს. შრადერი [1]) და მასთან ერთად მაიერი [2]) ფიქრობენ, რომ ესენი ჩრდილოეთიდამ არიან მოსულნი. ბირველის აზრით მათი ძველი სამშობლო არაქსის ველი უნდა ეოფილიეო მის შუა გზაზე. ბელკი ხოტურდაგის და ვანის შუა ეძებს მათ სამშობლოს. ჩვენში ბევრთა-განს ბირადად ცნობილი მეცნიერი ლემანი კი თავის არქეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით ამტკიცებს, რომ ესენი დასავლეთიდან იყვნენ მოსულნი [3]).

რაც შეეხება ქალდების და ქართველების ნათესაობას, თითქმის ვისაც კი ხმა ამოუღია ამის შესახებ, სარწმუნოდ აღიარებს ამ ჭიშტეზას. მხოლოდ ჯავახიშვილს არ სწამს იგი. არ ვიცი რამდენად უფრო საფუძვლიანია მისი საბუთები თუნდა იმავე ლენორმანის საბუთებზე. ეოველ შემთხვევაში, როგორც ლემანიც (საერთოთ იგი ამ თეორიის მომხრეა) აღიარებს, ეს კითხვა არ უნდა იყოს საკმაოდ მომწიფებული იმისთვის, რომ მისი ასე თუ ისე გადაჭრა შეიძლებოდეს.

[1]) იხ. Sitzungsb. d. Berl. Acad. 1890.

[2]) იხ. Gesch. Altertums გამ. II გვ. 623.

[3]) იხ. Abhandlungen der Berlin. Academie der Wissensch. 1907.

გეროდოტოს დროს ალაროდიელების ისევ(?) არაქსის შუა გზაზე ვხედავთ. რასკვირველია, აეს ნაშთები და იუო ოდესღაც ძლევამოსილი ერისა. ზემოდ ჩვენ მოვიხსენიეთ რა საზარალო აღმოჩნდა მათთვის ასურეთთან შეჯახებანი. კიდევ უფრო საზარალო უნდა ეოფილიეო მათთვის ქიმერიელების შემოსევა, მაგრამ, როგორც სჩანს, ამ უბედურებასაც დაადწია თავი ურარტუს სამეფომ; მაგრამ იმდენად კი დასუსტებულმა, რომ მე-VII საუკუნის დამლევს ლიდია და მედია ედავებიან მის შესახებ ერთმანეთს. და ბოლოს იგი მაინც მედიელების დარჩათ, მაგრამ ამათ მოუღეს თუ არა მის არსებობას ბოლო, მაინც საკითხია [1]); რადგან ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს სწორედ სოხმების შემოსევა ძველი ურარტუს სამეფოში დასავლეთიდან [2]). შესაძლებელია ამ უკანასკნელმა მოუღო დასუსტებულ ურარტუს ბოლო. მით უფრო, რომ მათ შორის შეჯახებებს ქსენოფონტიც იხსენიებს (Cyr. 3, 2. დანარჩენი ქართველი ტომები, რომელთაც გეროდოტი იხსენიებს, უველა ერთ მე-XIX სტრაბიაში არიან მოქცეულნი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეველა ესენი: (ტიბარენები, მაკრონები და მოზინიკები) გეროდოტის დროს იქვე ბინადრობდენ, სადაც ესენი ქსენოფონტმა ასწერა. ამიტომ ამ უკანასკნელის ცნობების გარჩევის დროს შევეხები მათ უფრო ვრცლად.

ა. სვანიძე.

[1]) იხ. Verhandlungen des XIII Jnternationalen Orient. Congr. გვ. 138.

[2]) იხ. Jndogermenische Forschungen 1904 ჰიუშმანის გამოკვლევა Altarmenische Ortsnamen.

ფედია პროტასოვი და ოჯახური აღზრდის მნიშვნელობა

(დასასრული)

დედ-მამა და მათი მოქმედება სამაგალითო უნდა იყოს ბავშვისთვის და მათი ბავშვისადმი განწყობილება მაღალსა და წრფელ სიყვარულზე უნდა ემყარებოდეს. თუ მშობლებს ურთიერთ შორის უთანხმოება აქვთ, მამა ლოთობს და ან ორივე ქალალდისა და ლოტოს თამაში ღამეებს ათენებენ, ცხადია, ეს მოზარდ ბავშვზე ცუდს და უარყოფით გავლენას იქონიებს.

ტოლსტოისთან ერთად ყველა თანამედროვე ფსიხოლოგები და პედაგოგები ახლანდელი აღზრდის ერთ დიდ ნაკლულოვანებად ბავშვის განაზებულ, ფუფუნებასა ⁄ ნებივრობაში აღზრდას სთვლიან. ამისთვის ფრიად საჭიროა და მეტად სასარგებლოა ოჯახი პატარაობიდანვე უნერგავდეს ბავშვს შრომის სიყვარულს და თავიდანვე აჩვევდეს თვითმოქმედობას. ბავშვს უნდა ასწავლონ და მონაწილეობა მიაღებინონ საოჯახო საქმეებში. პატარაობიდანვე შრომას მიჩვეული ადამიანი ცხოვრებაში არ დაიკარგება და მიზანს ყოველთვის მიაღწევს.

მშობლები და აღმზრდელები, რასაკვირველია, თვალყურს უნდა ადევნებდენ ბავშვის ყოფაქცევას, მაგრამ ზედმეტ კანტროლს უნდა ერიდონ, თავისუფლად და დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას უნდა აძლევდენ და აჩვევდენ თავის მოვლას და უფროსების დაუხმარებლად საკუთარი საქმის გაძღოლას და მოგვარებას.

შვილსა და მშობლებს შორის წრფელი სიყვარული და მჭიდრო მეგობრული კავშირი უნდა სუფევდეს. მშობლებმა საქმე ისე უნდა დააყენონ, რომ მათ შვილი არაფერს არ უნდა უმალავდეს, ყოველგვარ სულის მოძრაობას უნდა უმხელდეს და მხიარულებისა და მწუხარების დროს თავის გულს ყოველთვის მაი უნდა უშლიდეს, დანაშაულსა და შეცდომებს უნდა უმხელდეს, რჩევას ეკითხებოდეს და ნუგეშსა სთხოვდეს. ასეთი განწყობილებით შეიძლება მხოლოდ მშობლებმა ბავშვების ნამდვილი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურონ. თორემ შიშით შექმნილი სიყვარული ყალბია და ბავშვს გულჩახვეულობას და სიცრუეს აჩვევს. ამიტომ დიდად სცდებიან ის მშობლები, რომელნიც სისასტიკითა და მრისხანებით ფიქრობენ ბავშვებზე ზედგავლენა მოახდინონ. წმინდა მშობლიური მოქცევით დედ-მამას უკეთ და უფრო ადვილად შეუძლიათ ბავშვი პატარაობიდანვე მოვალეობის შესრულებას მიაჩვიონ, თავის დროზე სისტემატიურად შრომა შეაყვარონ და სასიამოვნო ჩვეულებად გადაუქცეონ და დასვენებისა და თავისუფლების დროს უმაღლესი ბედნიერება და ნეტარება აგრძნობინონ.

ამნაირ პირობებში ბავშვს თან და თან შეუმუშავდება ძლიერი ნება და მთლიანი ხასიათი. ეს სულიერი თვისება კი, როგორც ვიცით, გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში. ძლიერი ნების პატრონი ადამიანი მჩქეფარე მთის ნაკადულივით თავისით გაიკაფავს ცხოვრების გზას. უნებო ადამიანი კი მკვდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია, ყოველი მისი მოქმედება სუსტი და უპლანოა. ის ერთ წერტილზე იყინება და გამამხნევებელ გრძნობის ნაცვლად უიმედობა ეუფლება, მუდამ ოხრავს, წუწუნებს და ბოროტებასთან ბრძოლაში უძლურებასა გრძნობს. ამის ცოცხალ მაგალითს, სხვათა შორის, ფედია პროტასოვიც იძლევა და ყოველდღიური დაკვირვებაც ამას გვიმტკიცებს.

ხოლო უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვებს გაუსწორებელ ვნებას აძლევს მშობლების გადაჭარბებული და ზომა მათდამი სიყვარულის გამოჩენა, ზედმეტი სანტიმეტალობა და ალერსი. ბავშვი, რომლის ყოველ, „ჟინიანობას“ მშობლები ანგარიშს უწევენ და აკმაყოფილებენ, ცუდად აღზრდილი ჭირვეული და ხშირად ნერვების სისუსტით ავადმყოფია. ასეთი სიყვარული ერთობ დაბალი ღირსებისაა. ეს ის სიყვარულია, რომელსაც პროსტაკოვას მეუღლე თავის მიტროფანუშკასადმი გრძნობდა. ამ შემთხვევაში საგულისხმიერო დარიგებას გვაძლევს ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი „თავგადასავალში“ სადაც ვტყობილობთ, თუ როგორ გონიერად ექცეოდა მას დედა მისი.

როგორც ვთქვით ბავშვი თავისუფლებასა და დამოკიდებლობას უნდა გრძნობდეს, მაგრამ სავსებით თავის ნებაზე მიშვება მავნებელია, რადგან მაშინ ზნეობრივად სუსტი დარჩება და ვერავითარ ვნება-სურვილებს ვერ წინააღუდგება, კრიტიკულ წამებში თავის დაჭერას ვერ შეძლებს. ამისთვის აღმზრდელმა დიდი ყურადღებით უნდა მიაპყრას ბავშვის ნების გაძლიერებას და ხასიათის განმტკიცებას. ნების ძალა კი შეიძინება მისი ვარჯიშობით და პრაქტიკით: რიგზე და დროზე შესრულება ბავშვების მიერ თავის საქმისა და მოვალეობის წარმატებული და ამაგრებს მის ნებას.

„მონასავით სპეტაკი და ნათელი სულის პატრონი, კეთილშობილი და ნაზი, სხვებზე არა ნაკლებ ჭკუანი და — აი ასეთი ადამიანი დაიღუპა“, ამბობს გონჩაროვი ობლომოვის შესახებ. ხოლო ობლომოვმა, ავტორის სიტყვით, ცხოვრების ნიჭი და უნარი ბავშვობაზე თავის აღმზრდელებთან დაკარგა. ისე ანებივრებდენ, რომ ტანზედ ჩაცმასაც არ აჩვევდენ და შემდეგ დამოუკიდებლად ცხოვრების მოწყობაც ვერ მოახერხა და დაიღუპა.

განა ჩვენში ამასვე არ სჩადიან ამავე დროს ივიწყებენ, რომ შრომა ანათლებს და ამშვენიერებს ადამიანს. ის იხსნის მას დაბალ ინსტიკტებისა და ბიწიერ ვნებათა-ღელვისა მეუფებისაგან. სწორედ ამისთვის მშობლები მოვალენი არიან ბავშვებს პატარაობიდანვე ჩაუნერგონ შრომის სიყვარული და მისი მოთხოვნილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩვენს ქუჩებში უსაქმოდ და უხეიროდ მოხეტიალე რაზმს გაამრავლებენ, რომელთა არსებობის მიზანს და დანიშნულებას პირუტყვული გრძნობათა ტკბობა და კმაყოფილება შეადგენს.

ცხოვრება საქეიფო მეჯლისი როდია. იგი მღელვარე ზღვაა, რომლის მქუხარე ტალღები შეუბრალებლად ნთქავს ყოველ სუსტს და უღონო არსებათ. ქვეყნად სიამოვნება და მწუხარება ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული მოქმედებენ და ცხოვრობენ და ჩვენ გაჭირვების ატანაც უნდა შეგვეძლოს. „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსაო“, სთქვა სულმნათმა შოთამ. ამიტომ მშობლებმა ბავშვს თავიდანვე თვით-მოქმედების და შემოქმედების უნარი უნდა განუვითარონ, მუდმივ მზრუნველობასა და ფარ-

ველობას არ მიაჩვიონ, რათა შემდეგ მოახერხონ აზვირთებულ ცხოვრების ზღვაზე თავისი ნავი ისე ჰმართონ და ისეთი მსვლელობა მისცენ მას, რომ დამშვიდებული სინდისით შესძლონ მეორე ნაპირზე გასვლა, სიცოცხლის საზღვრის დასრულება.

ჩვენთვის, ქართველებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკუთარი თაოსნობის, დაკვირვების და კრიტიკული ნიჭის განვითარებას. რამდენი უთვალავი სიმდიდრეა გაბნეული ჩვენს ბუნებით მდიდარ სამშობლოში. რა აუარებელი საგანძური მარხია ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. ჩვენ რომ თვითმოქმედება შეგვეძლოს და თაოსნობა არ გვაკლდეს, ყველა ამ სიმდიდრეს გამოვიყენებდით და ეროვნულ კეთილდღეობას ხელს შევუწყობდით.

უნდა გვახსოვდეს, რომ საღ სხეულში საღი სულია და ამისთვის ბავშვის ფიზიკური ჯანმრთელობა და სისაღე მათ უმთავრეს საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს. ფიზიკურად განვითარებული ადამიანი ყოველთვის ძლიერი სულის და მტკიცე ხასიათის პატრონია.

ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბავშვო თამაშს და სათამაშოებს. ხოლო აქ დაცული უნდა იქნეს ერთნაირი თავისუფლების პრინციპი, რომ ბავშვებმა საკუთარი თაოსნობა და თვითმოქმედება გამოიჩინონ და შემოქმედებითი ნიჭი განივითარონ.

ბავშვის აღმზრდელი წინდაწინ გარკვეული მიზნით უნდა ხელმძღვანელობდეს, უნდა იცოდეს რად და რისთვის ამზადებს მას. ის უნდა ცდილობდეს ბავშვი სათნოების, კაცთმოყვარეობის, მაღალი იდეიების და წმინდა იდეალების ჭურჭლად გადააქციოს, რომელსაც ქვეყნად სიყვარულისა და სამართლიანობის დასამყარებლად გული უნდა უცემდეს. თუ ადამიანს პატარაობიდანვე გარკვეული და მტკიცედ განსაზღვრული არა აქვს თავის ცხოვრების მიზანი და დანიშნულება, უხეიროდ და უსაქმოდ ატარებს მთელ დღეებსა და ღამეებს, ასეთ ადამიანს, თქმა არ უნდა, ფედია პროტასოვთან ერთად ოჯახიც მოძულდება და ცხოვრებაც მოჭარბდება.

ოჯახური აღზრდის უმთავრესი პასუხის მგებლობა ქალებს აქვთ დაკისრებული და მათი, ამ მომავალი დედების ჯეროვანად აღზრდით და მომზადებით თვით საზოგადოება უნდა იყოს დაინტერესებული. ამბობენ, რომ ქალების რიგიანად აღზრდა მთელი კაცობრიობის სასურველი აღზრდის თავდებიაო. ქალი არის ის საფუძველი, რომელზედაც შენდება მომავალი სახე ოჯახურ და საზოგადოებრივ შენობისა. ამიტომ ქალთა განათლება მთელი საზოგადოების განათლებას მოასწავებს, მისი ხასიათისა და გონების განმტკიცება და ამაღლება, მთელ საზოგადოებაში ამ ღირსებათა გავრცელების თავდებია. სწორედ ამისთვის ამბობს აკაკი: „ქალები! ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოგვიზარდონ ნამდვილი ქართველები ბ არა უსაქმური და მხოლოდ წარა-მარად მოქალაქე თავხედი კუდაბზიკები“... ხოლო „სახლი როგორც უნდა გაანათლო ელექტრონის სხივებით, თუ ოჯახში საკუთარი ცეცხლი არ ანთია და კერა გაცივებულია, სითბო არ იქნება. რაც უნდა განათლებულნი იყვნენ ჩვენი ქა-

ლები, თუ საკუთარ ნიადაგზე ფეხი არ უდგით, ჩვენთვის ყოველთვის უნაყოფო და გამოუსადეგარნი იქნებიან“!..

ჩვენში ხშირად გაისმის ხოლმე სამარცოლიანი გოდებისა და საყვედურის ხმა ჩვენს შეუგნებლობაზე და ჩვენებური საზოგადოების გადაგვარება-გადაშენებაზე. ამ სამწუხარო და სამარცხვინო მოვლენაში თვალსაჩინო ღვაწლი ჩვენებურ ქალებსაც მიუძღვით. ჩვენს ოჯახებში და საზოგადოებაში მშობლიურ ენაზედ ლაპარაკს უკადრისობენ და მისი უცოდინარობით ამაყობენ კიდეც. მშობლები დედა-ენაზე ძლივს მოტიტინე ბავშვებს უცხო ენებს ასწავლიან და საბრალონი ვერა გრძნობენ, როგორ უგნურ მზრუნველობას უწევენ და რა საშინელ ზიანს აყენებენ მათ ყოველმხრივ განვითარებას: გონებასაც უსუსტებენ და ჯანის სისაღესაც ულახავენ. უკვე დამტკიცებულია, რომ უცხო ენების სწავლება იმ დრომდე, ვიდრე ბავშვი ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული არ არის, ყოვლად შეუწყნარებელი და ფრიად მავნებელია. თანამედროვე მეცნიერებისა და ფსიხოლოგების აზრით ბავშვების სწავლება უწინარეს ყოვლისა მშობლიურ ენით უნდა დაიწყოს, რადგან დედა ენა ყველაზედ უფრო ბუნებრივია არა მარტო ზნეობრივი მოტივებით, არამედ მემკვიდრეობით, წინად განწყობილების ძალითაც. უშინსკი ამბობს, რომ მოზარდი ბავშვი მშობლიურ ენასთან ერთად ითვისებს მის წინაპრების მიერ ათასი წლობით ნააზრევსა და ნაგრძნობს; აუარებელ წინაპართაგან ნახულს, გაგონილს, ნაგრძნობს, ნააზრევსა და განცდილს ბავშვი მშობლიური ენის შემწეობით სულ უბრალოდ, საკვირველის სიადვილით ითვისებს ხოლმე და ის ცხოვრებაში შესდგამს ფეხს უზომო ცოდნით აღჭურვილი. ბავშვი თავის ენის სწავლის დროს დედა-ენის მშობლიურ მკერდზე სწოვს სულიერ ძალასა და სიცოცხლეს. ამისთვის სანამ ბავშვს საკმაოდ არ შეუსწავლია დედა-ენა, მანამ უცხო ენის სწავლება მავნებელი და საზარალოა. დროა ეს ანბანური ჭეშმარიტება შევიგნოთ და ბავშვი ავაცდინოთ გადაგვარების გზას, რადგან „გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია, მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია“.

მე ანტიპედაგოგიურად მიმაჩნია ის ჩვეულებაც, როდესაც თითისტოლა ბავშვებს თუთიყუშივით აზეპირებინებენ ღრმა აზროვან და მათთვის გაუგებარ ლექსებს. ეს აჩვევს მათ უაზროდ და შეუგნებლად სწავლას და კითხვას, ამავე დროს გონებას უხშობს და უჩლუნგებს.

შეუწყნარებელია აგრეთვე უსუსურ ბავშვების მუსიკალურ ინსტუმენტებზე სწავლება, რადგან, ვფიქრობ, ეს ბუნებისადმი ძალდატანებაა.

კი მართალია მუსიკასა და პოეზიას ადამიანის ტვინის ცენტრები მოძრაობაში მოჰყავს და ეგრედ წოდებულ ესტეტიურ აღზრდის მთავარ წყაროდ ითვლება, რომელიც ამაღლებს და აკეთილშობილებს ბავშვის სულს და ჰქმნის შინაგან ჰარმონიას, მაგრამ მათ სწავლებას თავისი დრო აქვს. გარდა ამისა ჩვენში უმეტეს შემთხვევაში ამგვარ მოსაზრებით როდი ხელმძღვანელობენ. აქ უფრო ამით ბავშვებს სიხალისესა და სიცოცხლეს უკლავენ და ცდილობენ შექმნან თუთიყუშები და ტიკინები, რომელთათვის ყველამ უნდა სთქვას: ვიშ, რა კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზრდილნი ბავშვები არიან, ყველაფერი იციანო!..

ჩემის ფიქრით პირველ ხანებში უფრო ნაყოფიერი იქნება პაწია ბავშვები უფროსების მიერ წაკითხულ პოეტურ ნაწარმოებით დატკბებოდენ და მუსიკასაც იმათ მოუსმენდენ.

არსებული უხეირო სკოლები და სწავლა-განათლების მახინჯი სისტემა, თქმა არ უნდა, ხელს უწყობს მოზარდ თაობის ფუქსავატობას და გადაგვარებას. მაგრამ თავი მიზეზი ოჯახში მარხია, სადაც ინასკვება და იკვერება მომავალი მოქალაქის ხასიათი და იყრება ზნეობრივი განვითარების საფუძველი.

ბავშვის კეთილად აღზრდის საუკეთესო საშუალებათ, ვიმეორებ, მაგალითი ითვლება. მაგრამ რამდენად რიგიან მაგალითს იძლევა თანამედროვე ოჯახი და საზოგადოება, ეს ყველას კარგად მოეხსენება. და ამის შემდეგ რაღა საკვირველია თუ მოზარდი თაობა, ეს—საზოგადოების—სისხლი სისხლთაგან და ხორცი ხორცთაგან, მისი ნატეხია და მასავით ფუქსავატი და უმოქმედოა.

მომავალი საზოგადოების სიკეთე და რიგიანობა, როგორც ვთქვით, უმთავრესად დედებზეა დამოკიდებული. იმათ შეუძლიათ ბავშვებს ძუძუსთან ერთად შეაწოვონ და შთაუნერგონ ჰუმანიური გრძნობები და თავის ქვეყნის სიყვარული, რითაც ხელს შეუწყობენ მთელი ხალხის და კაცობრიობის კეთილდღეობასა და წარმატებას.

ყველანი და კერძოო ქალები მოვალენი არიან საკუთარ ოჯახში, თავის წრეში და საზოგადოებაში იშრომონ და იმეცადინონ, სასარგებლო ნაყოფი გამოიღონ და პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ „მომავალი მისცენ ხალხს“.

ეჰ არის, დედავ, შენი მადალი
დანიშნულება და წმინდა ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს.
საზრდოთ ხმარობდე ქრისტესა მცნებას;
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.—
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.
დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ბეშმარიტება,
უკან რჩეს კვალი განათლებული.

მ. კაკაბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲘᲛᲘᲔᲜᲐ

(წერილი მეორე)

თავი II.

წ ყ ა ლ ი.

(H_2O)

„უწყლოდ სოფელი არ აშენდების,
ადამის ცოდვაც მით იწმინდების“.
(ხალხ.)

I.

როგორ გაჩნდა წყალი

როგორც ᲕᲐᲠᲘ, წყალიც აგრეთვე შესდგება ორ მარტივ სხეულისაგან—მყავბადისა და წყალბადისაგან. მხოლოდ-კი იმ განსხვავებით, რომ ᲕᲐᲠᲘᲨᲘ მყავბადი და აზოტი მექანიკურად, წყალ-დგინოსაებ არიან შერეულნი, **წყალი** კი წარმოადგენს **ქიმიურად** შეერთებულს, „შესისხლხორცებულს“ **მყავბადს** და **წყალბადსა** (H_2O).

რომ აურიოთ, მაგალითად, ორი თუნგი წყალბადი (ორი გარსი) და ერთი თუნგი მყავბადი (ერთი გარსი), მაშინ მივიდებთ ერთად არეულ გაზს, რომელსაც **მქუხარე გაზი** ეწოდება. ასე მექანიკურად შეზავებულს წყალბადს და მყავბადს, ოდნავაც არი, ცეცხლის ალი რო მოხვდეს, წამსვე იგზექებს, **იქუხებს** და სრულიად **წყლად** გადიქცევა.

ᲕᲘᲗ და, როცა ამდენი უკვე ვიცით, ახლა ისიც ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ბუნებაში ალბად ოდესღაც, მას ჟამსა შინა, წყალბადის და მყავბადის მიერ შექმნილი **მქუხარე გაზი** ცის კამარის ქვეშ დაცურაობდა. მოხდა „სასწაული“ და დედამიწის გულიდან ამოხეთქილ ვულკანის ცეცხლის ნაპერწკალი უცაბედად მოხვდა მქუხარე გაზს, რომელიც საშინელის ᲒᲠᲥᲘთა და ქუხილითა **წყლად იქცა** და დედამიწას თავზე დაესხა.

ხოლო რადგან დედამიწა რკინასეებ ძალზე გახურებული დაუხვდა, ამიტომაც მთლად წყალი ორთქლად იქცა და ისევ ცაში ავიდა და იქ დრუბლად დაცურაობდა, ვიდრე დედამიწა საკმაოდ განელებოდა.

აკი გეოლოგიაც ასე გვასწავლის: იყო დრო, როდესაც სრულიად წყალი, ორთქლად ქცეული, ცის კამარის ქვეშ დაცურაობდა ატმოსფეროში.—

ᲕᲘᲗ და, გაიარეს საუკუნოებმა და შემდეგში, როდესაც დედამიწის ზურგი თანდათანობით გრილდებოდა, მასთან ერთად ᲕᲐᲠᲘც (ატმოსფერო) გრილდებოდა, ცივდებოდა. აი ამ დროს წყალიც **თითქმის** მთლად დედამიწას დაეშვა და ქვეყნად მოეფინა. ამოავსო წყალმა დედამიწის ამოქვაბული, ჩავარდნილ-ჩაღრმავებული ადგილები და შეიქმნა ზღვა და ოკეანე, ტბა და მდინარეები. შემდეგში ამოხეთქა წყაროებმა და სხვ. და სხვ.

II.

წყალი ბუნებაში

როდის გაჩნდა წყალი? მქუხარე გაზმა, რამდენ მილიონ საუკუნეთა წინად, შექმნა და ᲒᲠᲥᲘთა და ქუხილითა დაბადა წყალი?! ეს ძეობის დღე არც თუ ძლიერ გვესაᲒᲘᲠᲝᲑᲐ

ვიცოდეთ *). ხოლო დღეს, ბუნებაში წყალი სამ გვარ მდგომარეობაშია მოფენილი: წყალი—**სითხე**, წყალი—გამაგრებული **ყინული** და წყალი **აღორთქლილი**. თხელი წყალით სავსეა ზღვა-ოკეანო, ტბა და მდინარე, თანაც დედამიწაში ჩაქუსს და ამოქუსს წყაროთი და ნაკადულად. აღორთქლილი წყალი ჰაერში ნისლად და ღრუბლად დატურტლობს, სიდანაც გვეგლინება წვიმა, თოვლი სეტყვა და ხორხოშელა.

ხოლო გაყინული, გამაგრებული წყალი მაღალი მთის მწვერვალებზე და მისს ღრანტეებში მთელ საუკუნოებით ულეველად ძევს. ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეყნის განპირა, **პოლიუსებზე** მთა და ბარი, მთელი ქვეყანა, ყინულად არის გადაქცეული. აგრეთვე ჩვენი ნაცნობი მთებიც იალბუზი, მყინვარი (ყაზიბეგი) და ბორბალო სვეტაკ ყინულის გვირგვინით ზამთარ-ზაფხულს მარად ბრწყინავენ. კავკასიონის ქედის საყინულები მთელს ქვეყანაზედ არიან განთქმული, საიდანაც იღებენ სათავეს რიონი, ცხენის წყალი, ენგური, თერგი და ბორბალოდან დვიძლი ძმები: ალაზანი და იორი.

—

მთელს ბუნებაში, დედამიწის ზურგზე და დედამიწის გულში, სიცოცხლის ჩარხს წყალი ატრიალებს. ბუნებაში შეიძლება ვისმე და რასმე შედარებითი მოსვენება ჰქონდეს, მაგრამ წყალს არც ერთი წამი, არც დღისით აქვს მოსვენება და არც ღამით—აღტაცებული, დაუცხრომლად მუშაობს **).

—

*) 1780—1781 წლებში ინგლისის მეცნიერმა ლორდმა კავენდიშმა პირველმა აღმოაჩინა წყალბადის თვისება:—როცა წყალბადი იწვის (მყავბადში) წყალი ჩნდება. მაგრამ წყალის ნამდვილ ქიმიურ ბუნების აღმოსაჩენად სულ სხვა გენიოსი იყო საჭირო.

როგორც ქრისტეს ეკლესიას, მეცნიერებასაც ჰყავს თავისი საღმერთებელი წმინდანები: გალილეი, ნიუტონი, კეპლერი და სხვა... და აი აქ საჭიროდ ვრაცხთ გავახსენოთ მკითხველს ქიმიის დამაარსებელი უდიდებულესი მეცნიერი ლავუაზე. ლავუაზემ მთელი ევროპის მეცნიერებს აუხილა თვალი, უკუ აგდებინა მათი „ფლოგისტონი"-ს თეორია, აუხსნა და დაუმტკიცა მათ ნამდვილად რისგანაც შესდგება ჰაერი და წყალი. მას მერე ბუნების მეცნიერება ახალს, ჭეშმარიტს გზას დაადგა და ამ ჟამად გამოუკვლელი თითქმის რო აღარა დაგვრჩა-რა.

უკვდავ მეცნიერის ლავუაზეს ქიმიური სისტემა დაედო საფუძვლად ბუნების ფილოსოფიას. დღეს ჩვენ არამთუ ის ვიცით რა ელემენტებისაგანაც შესდგება ბუნების და მთლად სამყაროს ყოველი სხეული, არამედ აუხსნილია ფიზიოლოგიური ყოველი პროცესი—სიკვდილ-სიცოცხლის ვითარება.

დღეს, რასაკვირველია, ყველა ქიმიკოსსაც შეუძლია წყალი მოამზადოს, მაგრამ თვით ქიმიის მამამთავარმა ლავუაზემ რამდენი სულიერი და ხორციელი ტანჯვა გამოიარა, ვიდრე არჩეულ პრინციპით მიზანს მიაღწევდა—ეს წარმოსადგენადაც-კი ძნელია!..

კაცობრიობის საბედნიეროდ გამჭრიახე გონების პატრონს ლავუაზეს მტკიცე ხასიათი და გაუტეხელი ენერგიაც ჰქონდა. თანაც ხელს უწყობდა საკმაო სიმდიდრე. არავითარ ხარჯს არ ერიდებოდა 50,000 ლივრი დაეხარჯა მარტოოდენ ლაბარატორიის მოწყობაში, ვიდრე ანალიზით აღმოაჩენდა (წყალი დაარღვია შემადგენელ ნაწილებად) წყალის შემადგენ ნაწილებს.—1783 წელს ახლა სინტეზის გზით ლავუაზემ, მენიეს თანამშრომლობით, მყავბადიდან და წყალბადიდან მიიღო თორმეტიოდე მისხალი წყალი და მით გახდა, საფრანგეთის სასახელოდ, მეუფე ქიმიისა და არა მამონა!.. აი ამისთანა სახელოვან შვილს 1794 წელს საფრანგეთის რევოლიუციონერთა ტრიბუნალმა ჰილიატონით გააგდებინა თავი!!..

**) ლაპარანის გამოანგარიშებით მთლად დედამიწის ზურგი შეიცავს 510 მილიონ ოთხ-კუთხ კილომეტრს, აქედან წყალს (ზღვა-ოკეანოს და სხვ.) უჭირავს 375 მილიონი ოთხ-კუთხი კილომეტრი, მხოლოდ დანარჩენი (135) ხმელეთს რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველის ძველადვე ხალხმა ადვილად შეიგნო დიდებული ძალა და მნიშვნელობა წყალისა. უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფონი განათლება—კულტურით და სიმდიდრით, ვაჭრობა—ადგილ-მიცემობით განთქმული, ყოველთვის ზღვის ნაპირებზე ჰყოფილან და აწ ჰყოფიან.—

მთელს ბუნებაში, სადაც კი წყალი უხვია, იქ სიცოცხლე სდუღს, იქ ხალხიც ბედნიერია. მაგრამ მარტოდენ, თავის თავად წყალს სრულებითაც არა აქვს ასეთი ძალიერება და უნარი. დასაბამი მიზეზი სიცოცხლისა ყველგან და ყველაფერში **მზე** უნდა ვიგულისხმოთ. წყალი მზის სხივებით გულ გამთბარი, მზის ენერგიით გაცხოველებული, ნამდვილად სასწაულთ მოქმედი ხდება! ამ შეძენილ ძალით მთელს ბუნებაში ჩვენს სიცოცხლეს, მზის ენერგიას და მისს შემოქმედობით ძალასა და მადლს.—

წყალს რო თავისთავად ჰქონდეს უნარი ცხოველმყოფელობისა, მაშინ ხო მთელი ჰოლიუსები ეინულად არ იქნებოდა გადაქცეული! ამ გვარათვე ოდესად ძალიერ მზეს, თუ წყალიც თან არ ახლავს, მარტო თვითონ არ ძალუძს უსოტიოდ სიცოცხლის ადორძინება. ამის მაგალითია უდაბური და მწირი ხრიკი ქვეყნები. დავსახელოთ თუნდ გამოჩენილი უდაბნო ათრიკაში **სახარა**. აქ ქვეყანას მზის სხივები თონესავე ძალზე ეხურებენ, მაგრამ წყალი რო არა აქვს, უბრალო რამ ბალახის ნასახიც არსად მოიპოვება. სამაგიეროდ, იმავე ხრიკ უდაბნო სახარაში, მიწის გულიდან სადაც კი წყალს ამოუხეთქია, იქ მთელი მიდამო (ოაზისი) ნამდვილ წალკოტად არის გადაქცეული.

III.

სასმელი წყალი და მისი ფიზიოლოგიური დანიშნულება

სიცოცხლე მაშინ დაიწყო, როცა დედამიწაზე წყალი გაჩნდა. სიცოცხლისთვის იმდენადვე საჭიროა **წყალი**, რამდენადაც ჰაერი, მიწა და მზის თბილი სხივები. სადაც წყალი არ არი, იქ არც სიცოცხლეა, იქ სიკვდილი მეფობს.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი სხეული მთლად გაჟღენთილია სისხლით—სადაც გინდა ნემსი ატაკო, სისხლი გამოვა. ჰო და, საიდან და რითი გეთდება სისხლი? თვით ეს ჩვენი სისხლი 70% წყალს შეიცავს—ესე იგი ას ნაწილ სისხლში სამოცდაათი ნაწილი წყალი ურევია. საზოგადოდ გამოანგარიშებულია, რომ ადამიანის და ყოველ ცხოველის და მცენარის სხეული ნახევარზე მეტი წონა წყალისაგან შესდგება (60—80%).—

ადამიანი თუ ცხოველ წყალს ჰირითა სვამს და როცა წყალი სხეულში თავის ფიზიოლოგიურ დანიშნულებას ათავებს:—ქმნის სისხლს, ლორწოს, ნერწყვს და ყოველსავე სითხე-სიოტიეს; გარდა ამისა ხარშავს საჭმელს, რეცხავს რაც გასარეცხია, ხსნის მარილებს საჭმლიდან სხეულში შეტანილს და სხვ. და სხვ. ბოლოსა და ბოლოს ნარეცხი წყალი გარედ გამოდის: კანიდან ოფლად, ცხვირ-პირიდან ორთქლად და ფურთხად, თვალ-ცხვირიდან ცრემლად და ცინგლად, წვინტლად; ხოლო ძალიერ მეტი ნაწილი კი გამოდის **შარდად**, რომელსაც გამოაქვს თან ჯანისთვის უვარგისი ელემენტები ორგანიული და არა ორგანიული *).

ამდენს დანაკლისს რა თქმა უნდა შევსებაც ესაჭიროება (ამას წყურვილი გვატყობინებს) და თუ წყალი დროზე არ მივაშველეთ, სხეული მაშინ დაავადდება, სისხლი გაშრება, სიცოცხლე მოისპობა.—

ასეთსავე ამბავშია მცენარეც: ძირებით ნია-

*) დღე-ღამეში შარდი 1500 cc. გამოდის სხეულიდან. აქედან 1440,0 წყალია, ხოლო დანარჩენს სხვა მინერალური და ორგანიული სხეულები შეადგენენ (J. Vogel).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგიდან წყალს სწოვს საზრდოსთან ერთად (მტენარისა ოთველივე საკვები ნიადაგის წყალში არის გახსნილი) და მთელი ტანი ეყდინოთება, საზრდოობს წყლის შემწეობით მოზადებულ ლორწოთი და სხვ..... ხოლო ბოლოს რამდენსაც მტენარე მოიჯარბებს, თოთლების თვეენით, ქეენით წყალს ორთქლად ისტუმრებს, ჰაერში ჰფანტავს.

დოქტორ ტანერის მაგალითიდანაც ვიცით, რომ უკმელად კაცი თუნდ სამი კვირა სძლებს, მაგრამ **უსმელად-კი** დიდი ქებაა ადამიანმა ერთს დღეზე მეტი გასძლოს. წყლის სიავკარგეზეა დამოკიდებული ჩვენი სისხლისა და ხორცის სიავ-კარგე, სიკეთე და ჯანმრთელობა. ეგ რად გინდათ, ძრახს რო ცუდი წყალი ასვათ, რძესაც ცუდს იძლევა. მაშასადამე ჩვენი უმთავრესი საკითხი და საადარდელი ის არის, რა ნაირი წყალი გამოვნახოთ სასმელად, რომ ჩვენს ჯანსაც არგოს, კეთილად ზარდოს და სხვაფერივადაც სახმარებლად ცხოვრებაში სასიკეთოდ გამოგვადგეს.

აბა დავასახელოთ ოთველგვარი წყალი:

1. ხალასი წყალი.

ბუნებრივი, ხალასი წყალი (H_2O), რომელიც შესდგება მხოლოდ წყალბადისა და მყავბადისაგან, ბუნებაშივე ძნელი საპოვნელია. ეს იმიტომ, რომ წყალში ბევრნაირი გაზი და თითქმის რო ყველა ნივთიერება ადვილად იხსნება. **ქიმიურად წმინდა წყალს,** ქიმიურის წესით, ყველა ლაბორატორიებში ადვილადაც ამზადებენ—არაყივით ხდიან ქვაბებში, მაგრამ ამისთანა წყალი **სასმელად უგემურია** *).

საზოგადოთ კარგი სასმელი წყალი უნდა იყოს:

ა) **ანკარა,** ბრიოლივით გამჭვირვალე.

ბ) **ფერი** არავითარი სრულებით არ უნდა ჰქონდეს. (წყალს ბუნებრივად მოლურჯო ფერი დასცემს, მაგრამ ეს მხოლოდ ზღვაში ეგრეა).

გ) **გემოთი** წყალი სასიამოვნო და მაგრილებელი უნდა იყოს და სხვა არაფერის გემო არ უნდა ჰქონდეს.

დ) **ჭია-ლუა** და მათი კვერცხები არ უნდა ერიოს სასმელ წყალს.

ე) თავისუფალი უნდა იყოს ყოველ გვარ ჭირის ბაქტერია—ბაციდებისაგან და მუცლის ჭიის ნასახისაგან (მეტადრე ბრტყელი ჭიისა).

ვ) რაცა წყალი გაცხელოთ (40—50%) სუნი არაფერისა არ უნდა აუვიდეს. თუ სუნი ადმოაჩნდა, ეგ იმის ნიშანია, რომ წყალს მავნებელი ნივთიერება ურევია. უფრო ხშირად-კი ეს სუნი **გოგირდ-წყალბადის** ბრალია (ალაუ კვერცხის სუნს მოგვგონებთ).

ზ) მინის ჭურჭელში, მაგალითად, თეთრ გრაფინაში **ნადგამმა წყალმა** ძირში არაფერი არ უნდა დაიდექოს და თუ რო თეთრმა შუშამ მწვანეთაც მოიკიდა, ამ გვარი წყალი სასმელად ყოველად უვარგისია. მწვანე ნაძირალი იმის მამასწავებელია, რომ წყალი რალაც ორგანიზმებს შეიცავს; რომელთა შორისაც **ჭირის** ბაციდებიც შეიძლება ერევნენ.

2. თოვლისა და წვიმის წყალი.

ლადამიწას რო თავი დავანებოთ და ციდან ჩამოსულ **მეტეორულ** წყალზე ვიბაასოთ, არც აქ შეგეყრებით ხეირს. წვიმის და თოვლის წყალი სიწმინდით ძალიერ უახლოვდება ქიმიურად დაწმენდილ წყალს, რადგან ზღვა შეგვიძლი წარმოვიდგინოთ, როგორც წყალით სავსე უშველებელი ქვაბი, მზე ცეცხლია და ცის კამარა-გუმბათი ცივი ზარფუში. აი ასე, ბუნების უდიდეს ლაბორატორიაში, მარად ჟამს იხდება წმინდა წყალი. მაგრამ ცით მოფლენილ წყალის სიწმინდეც მეტად საეჭვოა და

*) წინით რო ავიღოთ ერთს წილს წყალბადზე რვა წინა მყავბადი მოდის (H_2O). ქიმიურად წმინდა ბუნებრივ წყალში სხვა არაფერი არ უნდა ერიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი რატომ: ჯერ ერთი რომ ბუნებითვე აზოტი ურევია (ამმიაკის და თაზავეის სახით) მეორეც, როცა წვიმა ან თოვლი მოდის, რაც რამ ჭაერში მტვერი, ბაციდა-ბაქტერია და ვაი ვაგლახი დაცურაობს, თან ჩამოაქვს—ჭაერი ირეცხება, ამგვარად ჭაერი თუმცა ჩვენდა სასარგებლოდ სუფთავდება, მაგრამ წყალი კი სასმელად ავია...

წვიმის წყალის ხმარება გაჭირვებაში რასაკვირველია შეიძლება, მხოლოდ იმ პირობითი-კი რომ ჯერ დაცადეთ წვიმამ ერთი პირობა ჩამორეცხოს, ჩამოწმინდოს ჭაერი, ხოლო ქალაქ ადგილას აგრეთვე სახურავები (რკინის ბანები). როდესაც ოვეული უწმინდურებისაგან და მავნე ორგანიზმებისაგან ჭაერი განთავისუფლდება, მერე კი უშიშრად შეიძლება წვიმის წყალს ჭურჭელი შეუდგათ.

წვიმის წყალს ჩვენში ქალები ხშირად ხმარობენ თავის საბანად—რბილი წყალია და თმასაც საუცხოოთ არბილებს; სარეცხისათვისაც კარგია—საპონი ადვილად ქაფდება. სუფთად ადებული წვიმის წყალი საჭმლის მოსახარშადაც გამოდგება და ყავა-ჩაისაც ფერიანს და გემოიანს ამზადებს. 100% მდუღარეში ოოვეულივე მავნე და ჭირის ბაციდა—ბაქტერია ისპობა—წყალი უშიშარი ხდება. მაშასადამე ძლიერ ნადუღი და გაცივებული წვიმის წყალი დიდს გაჭირვებაში სასმელადაც ივარგებს, თუმცა გემოთი კი არაფერი მოსაწონია.

თოვლის წყალი უფრო წმინდაა ხოლმე ვიდრე წვიმისა, რადგან ზამთარში ჭაერი შედარებით უფრო სუფთაა, მეტადრე მთაში და მინდორ-ტყეში, სადაც უმწიკვლო ჭაერია და ადამიანის ფეხიც ნაკლებ ხვდება. აქაური თოვლიც კარგია და მისი წყალიც, მხოლოდ კი ზედა პირი თოვლისა (მტვრიანია) ჯერ უნდა გადაწმინდოთ და მერე ისე იხმაროთ. საზაგადოთ თოვლის წყალიც იქ იხმარება, სადაც წვიმის წყალი. მაგრამ არც თოვლის წყალია გემოთი ქებული. მეტადრე ქალაქ ადგილას თოვლის წყალს ახლოს არ უნდა მიეკაროთ. და თუ მართალს მათქმევინებთ ქალაქ ადგილას წვიმისაც და თოვლის წყალიც ორივ მეტად საშიშია ჭირის ბაქტერიების მხრივ. ამიტომაც უკეთესს იზამთ სრულებითაც მოერიდოთ.

ყინული და მისგან გაცივებული წყალი ზაფხულში ბევრნაირად იხმარება, მეტადრე ქალაქ ადგილებში. მაგრამ საკითხი ისაა—სად იყო ყინული მოჭრილი? თუ რო ყინული მოჭრილია იმ ტბაზე ანუ მდინარეზე, სადაც ქალაქის და სოფლის უწმინდურება ჩადის და ყინულზე ხალხი და საქონელი დაიარება, ამგვარი ყინული საჭმელ-სასმელისთვის არამც და არამც არ უნდა იხმაროთ. ზამთარში წაბილწული წყალი რო იყინება, ყველა უწმინდურებაც და თვით ბაციდა-მიკრობიც განა რო-შიგ რჩება.—

ბევრს ჩვეულებად აქვს წყალში ან ღვინოში გასაცივებლად ყინულს ჩაგდებს ხოლმე და სვამს. რადა თქმა უნდა ჭირს გადაეკიდება და საიქიოს გზას გაუდგება. ხოლო წმინდა მდინარეზე ან სადმე მთაში ტბაზე მოტეხილი, მოჭრილი ყინული ჭირის ბაციდების მხრივ ნაკლებათაა საშიში, მაგრამ იმის მაგალითიც ბევრი ვიცით, რომ ყინულის ჭამის შემდეგ კუჭი გასცივებია და მუცლის ფარის ანთებით ამ წუთისოფელს გამოსალმებია. გახურებულ გულ-მუცლის უეცრად გაცივება ასე ძლიერ მავნებელია. ეს უბედურება უფრო ხშირად ბავშვებს დაატუდებათ ხოლმე თავზე.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე და მისი პოეზია*)

(დასასრული)

ა) სიყვარული და სევდა.

დაუსრულებელს ეტიმრობაში მეოთეს პოეტს მღერა ოხვრად გადაექცა და ლხინი-გლოვად. ის მოელის სიყვარულისგან განკურნებას, მაგრამ საყვარელმა არსებამ განკურნების ნაცვლად გულში დანა დაუდირა... პოეტის აზრით ყველაფერი სოფლად სიყვარულს აძლევს ხარკსა. სიყვარული ხშირად ვნების მიზეზია, მაგრამ ლხენასაც ანიჭებს ადამიანსა...

„სიყვარულო! ძალსა შენსა
ვინ არს რომე არ მონებდეს?
ვინ არს რომე გულსა ტახტად,
ოხვრას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს,
შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეზრახვის,
რომ შენ გამო ვარდს შეჰყეფდეს?!

პოეტის აზრით, სიყვარული ისეთი რამაა, ურომლისოდ კაცი ემსგავსება უსულო გვამს და მისთვის სხვა ნიჭთა ქონება ხელსაყრელი ადარაა. „მგრძნობელობა“ სჯობს ყოველთა თვისებათა: შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს. თუ მისი გული გამთბარია სიყვარულით, ბუნებაც უცინის მას; ბუნება მოდუშულია, თუ მისი გული სევდით ადვსილია სატრფოს გამო. როცა პოეტი სატრფოს უყვარდა:

„ნიავნიცა მისით მომართ ჰბერდენ ნეტარებასა, ცისა მანათობელი სხვა სიამით სცემდა შარავანდედსა (სხივსა), დროდ მაისი ედგა უცვალებელი, მად ვარდთა და ზამბახთა მუნოსველსა“. როცა პოეტი შორსაა საყვარელი არსებიდან, ის ამბობს თავის თავზე:

სოფელი მჩანს სამარედ,
სადგურად მკვდრების,
ვრბი და მსდევენ დასები
სევდის და მწუხარების,
მასვე საგანს ვეძიებ,
გარნა ვერსადა მხვდების;
სულთქმა ჰქუხს, სწვიმენ ცრემლნი,
დღე შემექნების ბნელად“...

პოეტს ვერ ანუგეშებს ვერც ჩვენი ცხოვრების დასასრული... ეს ჭაზრი ცხადად სჩანს მისი ლექსიდამ: „ყმაწვილი ქალის საფლავზე წარწერილობა“... გარდაცვლილი ქალი შვენიერი იყო, მაგრამ რა?! ყოველივე ამ სოფლისა დაუდგრომელია. ეს ქალი დილით საამურად გაიშალა, ვარდივით მოსაწონელად, მაგრამ საღამოს კი მიწად დაეცა... დასჭნა... სიკვდილი სისხლით მწყურვალე და შეუბრალია; რაც უნდა ეკვედროს ადამიანი, არ დაინდობს. ის

„ყურდახშობილი დაფრინავს,
ხელად უძს ბასრი ხმალია;
მოტირალთ ცრემლმა ვერ ალმოს,
მან ჰყოს, რაც მისი ვალია!“

უიმედობით გულ გატეხილი პოეტი მიმართავს თავის დამავიწყებელს ქეიფს და ქეიფის საუკეთესო წყაროს—ღვინოს... ამ მხრით შესანიშნავია მისი ლექსი: ლოთებო! ნეტავი ჩვენა!“ ღვინო და ქეიფი, პოეტის აზრით, გაფანტავს ადამიანის სევდებს... სიცი-

*) იხ. „განთალება“ № VI. 1912 წ.

ვის სიმწვავე დვინის მეოხებით ეგრე რიგად საგრძნობელი ადარაა... სხვა გვარად ბევრნაირს სარგებლობას აძლევს, პოეტის აზრით, ადამიანს დვინო, და ამიტომ პოეტი გვირჩევს

„დავეხსნათ ცოდნის ძებნასა:
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა!“

ამ დექსშიც იგივე რადიკალური პესსიმიზმია გატარებული, რომელიც თავდავიწყებას უმოძღვრებს ადამიანს...

პოეტი ღვიძლი შვილი იყო თავის დროისა და დროს მოთხოვნილებას ხარკს აძლევდა... ჩვენ რამდენადმე ვიცით, თუ როგორს მდგომარეობაში იყო ქართველი ხალხის მოწინავე წოდება მეცხრამეტე საუკუნის პირველს ათეულს წლებში, როდესაც, პოეტისვე, სიტყვით,

„უდაბურება, მჩუმარება, არარაობა თვალთა
და გულსა კაცისასა სევდით ავსებდნენ“.

მრავალ წამებული ერი, უცხო, მოულოდნელ გარემოებათა შორის მცხოვრები, ვიდრე გამოირკვეოდეს, შეიგნებდეს თვისის მდგომარეობის მთავარს მიზეზს, და ხსნის გზას გამოსძებნიდეს სასოწარკვეთილებას ეძლევა. სიცოცხლის განგრძნობის ძლიერი წყურვილი ამასთანავე მოსვენებას არ აძლევს... ამ მდგომარეობაში მეოთი ერი უფრო ხშირად სევდის გასაქარვებლად და სიცოცხლის ძარღვის შესარჩენად ღხინსა და გართობას მიმართავს... ეძლევა თავდავიწყებას...

„ღვინო, სიმღერა და სიყვარული“

ეი მისი ცხოვრების მცნება იმ ჟამად... ისიც ვიცით, რომ პოეტი, ხალხის მესაიდუმლე, ცხოვრების სინამდვილის გამომხატველია... ალ. ჯავჯავაძემაც ხსენებული დექსით გვაჩვენა ის, თუ რით იყო მისი თანამედროვე ქართველობა გართული... ხანდახან თვითონ პოეტიც, ვით მიწის ცოდვილი შვილი, ხარკს აძლევდა თვის დროის მოთხოვნილებას, მაგრამ უფრო მაღალ ხარისხის მოტივების ჩაგონებით. ამით იგი ერთგვარს პროტესტს გამოსთქვამდა იმ მდგომარეობის წინააღმდეგ, რომელშიც საქართველო იმის დროს იმყოფებოდა... არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საშუალ საუკუნოებში გმირულ ცხოვრებასთან აუცილებლად შეერთებული იყო ღვინო; სიმღერა და მხიარულება... და ჩვენი ძველი პოეტებიც და მათ შორის ალექს. ჯავჯავაძე ხომ სამხედრო გმირები იყვნენ...

პოეტს ვერ უსაუველურებთ ლოთობის პროპაგანდას. იმ დროს (და დღესაც რამდენადმე) კატობრიობა და ქართველი ერიც ღვინოს—საუკეთესო სასმელად თვლიდა, და ძლიერ ტოტამ იცოდა, და დღესაც ტოტამ იცის თუ ვითარი მავნებელი შხამია—ღვინო, თუ როგორ უთხრის ის ძირს ნელა-ნელა, თანდათანობით, საუკუნეთა განმავლობაში ერის და კერძო პირთა კეთილდღეობას. შესაძლოა, არც მგოსანმა იცოდა ეს ჭეშმარიტება და ამის გამო მის ამ დექსს განძრახ ლოთობის პროპაგანდის ხასიათი არ აქვს...

ბ) სამოქალაქო მოტივები

სამოქალაქო მოტივები პოეტს მრავალს დექსებში აქვს გამოთქმული. მათში გატარებულია მისი სოფლმხედველობა.

ა) „ვაჲ ღრონი, ღრონი ნაქებნი მტკბარად“. ეს ღრონი წარიგლეტენ, გაქრენ სიზმრებრ ჩქარად... ბნელს ყოფაში ჩავარდნილი, ბედისგან დაჭრილი პოეტი „იმედოვნებას უწოდებს ფარად“, მაგრამ იმედიც გარბის მისგან, როგორც ბურობილისგან... შესანიშნავია ისიც, რომ პოეტი „არ სდევს ჟამთა ცვლას და იგივეა მარად და მარად“... ესე იგი მისი მისწრაფება, მისი ბირფვნული და ერფვნული სახე ერთი და იგივეა... თითქოს პოეტი გრძნობს, რომ ქართველი ერი, სხვა და სხვა გარემოების მიუხედავად, იგივე იქნება მარად და მარად...

ბ) „ელების კარი გაზაფხულისა“... გაზაფხული სიხარულის მაუწყებელია ტანჯულ-დაჩაგრულისთვის...

„ელების კარი გაზაფხულისა...
მოგვივალსთ ყამი სიხარულისა
თვისთანა მქონე შვება სრულისა“...

ბოეტი ქმუნვით და სევდით ბურობილებს ანუგეშებს შემდეგი სიტყვებით:

„ნუ ჰგონებთ თავთა ბედ-განკიდებით... (ბედ-
დაკარგულად)
ნიავმან ყვავილთ სუნთ მოზიდებით [სა)
გახაროთ მოსვლა ფერად მკულისა (გაზახული)
უწყოდეთ ესე ცნობა მყარითა (მტკიცითა),
რომ დრო მოგვალსთ კეთილ-დარითა...
იხილავთ ვარდთა სახე მტკბარითა...

ამ ლექსში გამოთქმულია ბოეტის იმედოვნება, რომელიც მოკლე დროით ესტუმრებოდა ხოლმე მას... მას აქვს იმედი გაზაფხულისა, არამედ იმ გაზაფხულისა, რომელსაც ბოეტთან ერთად მთელი ერი მოელის.

გ) „უწყალო სენმან“—ლექსი ზედ გამოგზრილია ბოეტის თანამედროვე ქართველებზე, რომელნიც გლოვამ მოიცვა მეცხრამეტე საუკუნის ბირველ წლებიდამვე... ვალაპარაკოთ თვითონ ბოეტი:

„უწყალო სენმა, ყოვლთა მაწყენმან,
გვიკოდა გულნი,
გვყო ჭირთა მთმენად, მგლოვარენად
ყოვლნი სულდგმულნი...
სუსტ გვქმნა ვათაგან, მთიებთაგან
დაშორებულნი...
ჩვეულნი ლხინსა მიგვცა ჭირსა
უბედობამან,
მოგვაკლო შვება, გვმატა ვაება
შავ-სვეობამან,
მოგვიცვა ალმან, შეუბრალმან,
გვალმო გრძნობამან,
გვიტევა ყოველმა განსაცხრომმა
კეთილ-დღობამან,
გვეკვეთა (მოგვესპო) სასო (იმედი) დაუფასო,
ვშთომილვართ კრულნი...

ძალის ყამს ვხედავთ მხოლოდ ტკბილს სიზმრებს და ვიმეოფებით მსიარულებაში, მაგრამ რა გავიდვიძებთ, კვლავ

„წყალნი გვიახლოვდებიან“.

დ) „ჰოი ვით გვემტყუნვა“... ბოეტი აქაც, როგორც წინა ლექსში, სალხის სახელით ალაპარაკობს და გამოხატავს... ბოეტის აზრით „სოფლის ბრუნვამ გვიდალატა... ამის გამო

„ვეჰმუნავთ ბედ-მწირნი,
გვხვევიან ჭირნი
ფოთოლთ უხშირნი!
და ვიდნენ მთენნი,
შარავანდთ მფენნი
აწ იგი მზენი...
ფარვიან ღრუბელს
ავდრის საგუბელს,
წყვდიადსა და ბნელს!

ე) ისმინეთ მსმენნო, ჭირთა მთმენნო. ეს ლექსი იმითია საყურადღებო, რომ მასში შვენიერად გამოხატულია იმ გარეშე ძალთა ოინები და ხრიკები, რომელთ მეოხებით საქართველოს ხშირად ტანჯვა-წვალება ეგლინებოდა. ამ ძალებს ბოეტი „ქაჯებს“ ეძახის. ეს სახელწოდება მიჩვენებელია ეოვლისა სიბნელისა, სიბოროტისა და მტარვალობისა... ქაჯებს ნიკ. ბარათაშვილი „შავს ეორანს“ და „ბოროტ სულს“ უწოდებს... „წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ“—ამბობს ბოეტი... ქაჯთა ხრიკების მეოხებით დაიჩაგრა სამშობლო... ბოროტი ძალები იმ თავითვე სდევნიდნენ ქართველს ხალხს. ისინი სთესდნენ შურსა და მტრობას, რომელთ მეოხებით მოდალატეთა და მაბეზღართა რიცხვი აუარებელი იყო: ერთი წითელი ფოლაქის და ორი გროშისთვის ღვიძლს მოძმეებს არ დაინდობდნენ. ამის გამო ქართველებმა დაჭკარგეს „სამკვიდრო“,—ესე იგი მათი სამკვიდრო განსაცდელში ჩავარდა, დასნეულდა, დაეცა...

ვ) „კავკასია“—ამ ლექსში პოეტი აღგვიწერს კავკასიის ბუნების მრავალ-ფეროვანს სიმშვენიერეს. ლექსის დასასრულს იგი ამბობს, რომ კავკასიის მთა იყო

„დასაბამით სოფლისა
ცნობილი შეუვალად;
გარნა რომელს ბოლოსღა
როსსთ მხედარად აღზრდილი
მიებჯინა უდრეკლად
მამაცი ციციშვილი...
გაიხსნა გზა და ეშვათ
ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს
მათ შორის განათლება“.

სევდის მიერ წამებულს პოეტს, რომელსაც სამკვიდრო დაეკარგა ქაჯთა მეოხებით და რომლის მთიებნი მიიმალნენ ბნელს და წყვდიადს ღრუბლებში, ხანდახან იმედოვნება ეგლინებოდა და მას მოკლე დროით ნუგეშის სხივს ჩფენდა... ერთი ამ სხივთაგანი—უთითებდა პოეტს განათლებაზე, რომლის შეთვისება ქართველთაგან და საქართველოში გავრცელება საადვილო შეიქმნა მეცხრამეტე საუკუნეში, იმ დროს, როდესაც შესწყდა ომის ხმა, და ქართველი ადარ თრთოდა მტერთა მოდოდინში. ხმალი შეიცვალა კალმად, ფართო წიგნად, სისხლი—მელნად,—სამხედრო ბანაკი—სკოლად... ეროვლად-მხსნელი განათლება მისის სხვადასხვაობით იწვევდა თვისკენ ნიჭიერს ქართველობას, რომლის აუცილებელი საჭიროება მას უკვე კარგად აქვს შეგნებული... განათლებაშია—ქართველთა ხსნა, მასშია—მათის ბედნიერების წყარო; ისაა მისი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი... ‍ეს ჭეშმარიტება გულდაჩაგრულს მგოსანს კარგად ჩქონია შეგნებული... მისი ასეთი სოფელ-მხედველობა საერთოა ქართველი მგოსნებისთვის... მათში გამოთქმულია მთელის ერის სოფელ-მხედველობა, მისი მოდოდინი, მისი სულის კვეთება... ნიკ. ბარათაშვილს იმავე ხანებში ის გარემოება ანუგეშებდა, რომ ქართველი ახალთაობა ელტვის სწავლა-განათლებას... სხვა და სხვა მხარეში მიდის და იქიდამ

„ზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად;
მხურვალე ცის ქვეშ მოსამკალთა ერთიათასად“

ბარათაშვილს ახარებდა ის გარემოება, რომ ქართველ ახალთაობას სხვა და სხვა ადგილებიდამ მოქონდათ სამშობლოში

„განათლება და ხმა საამო“...

ზ) „ვაი სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“—ამ ლექსში გამოთქმულია სამოქალაქო გრძნობა საერთო საკაცობრიო ნიადაგზე. ამ სოფლის მდგმურნი, პოეტის სიტყვით ადასვენი არიან ბოროტებით და სიცრუვით. კეთილმოყვარეობა ითრგუნება. გამეფებულია მდაბალთა ჩაგვრა, მტაცებლობა და ხვეჭა (სიმდიდრის შეგროვება)... სამი ბიწიერების: მდაბალთ ჩაგვრის, მტაცებლობის და ხვეჭის მეოხებით სამეფოები ერთმანეთს ეომებიან... ძალადობა ბატონობს სოფლად: ის დადის ნანგრევებზე და სიმართლის უკვალოს ფეხით ჩქელავს... ამ ბიწიერებათაგან არავინაა თავისუფალი: არც დიდი, არც პატარა... ამათვე მეოხებით გამეფებულია ქვეყნად შური, მტრობა, კვლა და ხოცვა ერთმანერთისა და ცარცვა-გლეჯა... პოეტი თავისს, ლექსს, რომლის დაწერასაც აკუთვნებენ 1807 წელსა, შემდეგი ფრიად—საყურადღებო სიტყვებით ამთავრებს:

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოეოდდეთ მათთან თანასწორებას!
არ მარადის იშვათ (არა ყოველთვის გაიხაროთ)
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“

ამ სიტყვებიდამ სჩანს, რომ მტანება ძმობისა და ერთობისა, სიყვარულისა და თანასწორობისა, რომლის განსახორციელებლად საფრანგეთში მოხდა შესანიშნავი არეულობა (რევოლიუცია) 1889 წელსა, გათვალისწინებული ჩქონდათ პოეტის თანამედროვე მოწი-

ნავე ქართველებს... ალ. ჭავჭავაძემ იცოდა ფრანგული ენა და ამ ენიდამ ქართულად რამ-დენიმე პიესა და ლექსი სთარგმნა... ეჭვს გარეშეა, — რომ ის გაცნობიერი იქნებოდა საფრანგეთის დიდებულ მეცნიერ—ენციკლო-პედისტებთან, რომელთ მოდგაწეობამ გაიძიე-რა ვონების ბატონობა და დიდათ ხელი შე-უწყო განმათავისუფლებელს მოძრაობას... ისიც კარგია, რომ პოეტი-- თავადი მონობას უსამართლოებად და სირცხვილად სთვლის და წინასწარმეტყველური შორს მჭვრეტე-ლობით ეუბნება მჩაგვრელებს, რომ ისინი მოელოდენ ჩაგრულებთან თანასწორობას... მაშინ ბოლო მოელება ჩაგვრას, მტაცებლობას და ხვეჭას... განმათავისუფლებელი მოძრაო-ბის იდეია, რომელიც გვიჩვენებს ისტორია, უმთავრესად ჩნდება მჩაგვრელთა განათლებულ შვილთა შეგნებაში და ამათგან ახსნილ-განმარტებული მთელის ხალხის გუთვნილებად ხდება...

(ბ) „გოგჩის ტბა“—ეს ლექსი მეტად მშვენიერია თვის შინაარსის და ფორმის მხრით... მასში გამოთქმულია ავისმხედური (პესსიმისტ.) გრძნობა სოფლის დაუდეგრობის შესახებ: პოეტს მეტად ანადგურებს „ნაქცევნი ამ ტბის კიდეთ ძაძით მმოსველნი, სად ჭეშ-ვებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი და სად დღეს ვხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალ-თა. უდაბურება, მხუმარება, არარობა თვალთა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ... ამის მნახველს პოეტს ასეთი მწარე ფიქრები ება-დება: „აჭა პალატთა და დიდებულთა ნგრეუ-ლი ნაშთი, აჭა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უტიფო, აჭა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი!“. ძველად აქაც ცხოვრება სდუღდა და გადმოსდუღდა, ვრცელს ვაკეზე დღეს ბნელად ქვაურილზე ჭქონიათ ოდესმე „ტაიჭთა სრბო-ლა, ჩოგნის ტაცება, შუბთა ტრიალი, ჯირითო-თა ტეორცა და ისართ სროლა“... „ერთხელ ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსულნი, ურ-თიერთანა კავშირობით ამადლებულან, მეუთვ-ნელნი მათნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი, ოდესმე მათში განცხომილან და განმშვენებუ-ლან“... პოეტი ამბობს, რომ ერთ დროს ძალი მადალს ტახტზე მჯდარა, აქაც ეოფი-ლა შურის და მტრობის მოედანი; აქაც ოდეს-მე სიყვარული მეფობდა... გოგჩის ტბის ნა-პირს ძველად შვენიერ ქალებს უსეირნიათ, და მათი სახე გადაუდია სარკესა წყლისასა... მათ სიმშვენიერე „მთვარესაც კი შეშურებია და იმის ნიშნად რამდენგზის ის მოდურბდვი-ლა... „მაგრამ რა?! დროსა მსგრელის ცელით ციურთა მკობი მშვენებლობა სხვათვერ მოს-თვლიდა.

ამ ლექსში იხატება ელეგიის სახით პოე-ტის მწარე შეხედულება ცხოვრებაზე.... აქ საზოგადო აზრია პოეტისა ცხოვრების დაუ-დგრომელობის შესახებ... გოგჩის ტბის ნა-პირს, ოდეს იხილა პოეტმა ერთ დროს სო-მეხთა განთქმული სამეფოს სატახტო ქალაქის ნანგრევები, მისი გული ნადვლით ადივსო. პოეტი თავის დადგრემილებას წარსულიდან აწმყოზედაც გადაიტანს... აქაც იყო ისეთი რამ, რაც მის გულში აპოხიერებდა სევდიანი გრძნობის ნიადაგსა... აოხრებული, გაგერანე-ბული ადგილის შეხედვამ მის გულში სევდა ერთი ათად გაძლიერა და მით გაყოფნთილი გრძნობა გადმოსქდა მშვენიერს ლექსში, რო-მელიც თვისის შინაარსის და ფორმის მხრით მის ერთ საუკეთესო და სამგალობელო ლექ-თაგანია... ეს მწვავე გრძნობა პოეტს მით უმეტეს გაუძლიერდებოდა, რომ ისიც „სამ-კვიდრო დაკარგული იყო“...

დასასრულ, არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები ჩვენის კრიტიკოსის ბ. გ. აბაშიძის კარგად შემუშავებული წერილიდამ ალ. ჭავჭავაძის შესახებ: „ალ. ჭავჭავაძე დი-დად ნიჭიერი მწერალია და ნიჭიერის არა ჩვეულებრივის ბუნების მექონია. ის რომ უბ-რალო მომაკვდავი ეოფილიყო, მისი სიცო-

ცხლე ცალიერ ჩინების ძებნაში გაივლიდა და იმ შეგენიერ ლექსებს ვეღარ დაგვიტოვებდა. ალ. ჭავჭავაძე რომ უფერულობას და უნიჭოებას ვერ ასცილებოდა, მისი ლექსები ისეთი ღრმა გრძნობიერი რიდი იქნებოდა. იმ ცვლილებას, რომელიც საქართველოს ისტორიაში მოხდა, არ შეეძლო თავისებური დადი არ დაემჩნია ამ გრძნობიერ არსებისათვის, მთელს მის ნაწარმოებს დადგრემილობისა და სევდის კვალი ამჩნევია, მეჭმუნვარების კოლორიტით (ელფერით) შემოსილია“... რამდენადაც შეეძლო თავის დროს, ალ. ჭავჭავაძემ გამოხატა საერთოვნო სევდა, თუმცა იმდენად ღრმად და საფუძველიანად კი არა, როგორც ეს სხვა მწერლებმა მოიმოქმედეს... ალ. ჭავჭავაძის მხრით ესეც საკმარისია... თვისი ქნარით ის ქართველის მიძინებულს გრძნობას აღვიძებდა და, რამდენადაც დრო და გარემოება ხელს უწყობდა, საერთო სევდას თვის ქნარის სიმებს ამღერებდა... ის იყო ერთად ერთი მგოსანი მეცხრამეტე საუკუნის ბირველს მეოთხედში, რომელმაც ქართული ბოეზიის ტეტხლი გაუქრობლად შეინახა მომავალ დროისა და თაობათათვის, — ის ერთადერთი მგოსანი იყო, რომელმაც ქართველს საზოგადოებაში სიმშვენიერის მიმართ მსახურების იდეა დაიცვა... და ქართული ლექსი ქართველს ერს შეარჩინა... მისი სასიმღერო ლექსები ქართველი ერის გრძნობებს ასაზრდოებდა და მისი ღრმა-აზროვანი ლექსები კი მის გონებას აზროვნობის და დაკვირვების ნიჭს უვითარებდა... ამის გამო მას თამამად შეგვიძლია მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის მამათ-მთავარი ვუწოდოთ.

ი. ფერაძე.

მოკლე საუბარი

ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან

VIII.

უკანასკნელ საუბარში ვსთქვი, რომ დიდ ტვინის ქერქში მოთავსებული ცენტრებიდან 12 წყვილი ნერვი გამოდის და მთელი სხეულის ყოველ ნაწილს ურიგდება მეთქი. ერთი ასეთი ნერვი, რომელსაც მხედველობის ნერვი ეწოდება დიდი ტვინის ძირში, მის კვარცლ-ბეკთან იწყება, წინ შუბლისაკენ მოდის, გზაჯვარედინს აკეთებს და ორ დიდ ტოტად თვალებში შემოდის ერთით მარჯვნით და მეორეთი მარცხნით. მხედველობის იარაღად, მის ორგანოთ ითვლება თვალი. მაშ ახლა ვნახოთ თუ რანაირი შენობა აქვს თვალსა და რანაირათ წარმოსდგება ხედვის გრძნობა?

თვალი მოთავსებულია თავის ძვლის ჩარღმავებულ ადგილებში, რომელსაც თვალის ბუდე ჰქვიან. მას ზევიდგან და ქვევიდგან ჰფარავს ქუთუთოები, რომლის ნაპირებზე წამწამებია. ქუთუთოების შიგნითა პირი დაფარულია ლორწოიანი კარსით. თვალის გარეთა უურისკენ მდებარე კიდეში, შიგნიდგან მოთავსებულია ცრემლის სადენი ჯირკვლები. აქედგან ამოსული ცრემლი ასველებს თვალს და გროვდება ძირა ქუთუთოს ცხვირთან მდებარე უურებში, ან თვალის კიდეში, სადაც ამისთვის განგებ გაფართოებული პარკია. ამ პარკიდან იგი წვრილი მილის საშუალებით ტოტ-ტოტობით ცხვირში ჩადის, ცხვირის

ლოდწოიან გარსს გარხმობისაგან იხსნის და ენოსვის საქმეს ხელს უწყობს.

თითონ თვალი, თვალის კაკალი, შეხედულებით ვაშლისებური მოუვანილებისაა. იგი რამოდენიმე გამსჭვირვალე სითხეებისა და გარსებისაგან შესდგება. ეს უკანასკნელნი ერთი მეორეზე კეცკეცად მჭიდროთაა გარდახმული. გარეგანი გარსი ამათში, როგორც უფრო მაგარი და მტკიცე, იფარავს თვალს გაფუჭებისაგან და დაზიანებისაგან. ამ გარსის წინა ნაწილი გამსჭვირვალეა, რქის ხივთიერებისაგან შესდგება, სინათლის კარგი მატარებელია და რქის გარსი ეწოდება. ზოგჯერ ავადმოფობის დროს, იგი ასეთ თვისებას ჭკარგავს: ან სულ გაუმჭვირვალი და ან ცოტადი გამჭირვალი ხდება. მაშინ ამბობენ თვალს ბისტი ეკვრისო. თვალს რომ ფერთხილად ეს გარედგან გადაკრული მტკიცე გარსი გადავრთოთ, ვნახავთ, რომ იმის ქვეშ მოთავსებულია, სათუთი და ქორფა გარსი, რომელიც სავსეა სისხლის სადენი მილებით და ადვილად იხევა. ამას **ჭურჭლის** გარსი ეწოდება. ამ გარსის წინა ნაწილში, რქის გარსის უკან არის მრგვალი ნახვრეტი, რომელსაც **ბაიას** ეძახიან. ჭურჭლის გარსის იმ ნაწილს, რომელიც ბაიას გარს ეკვრის თვალის **გუგას** ან ირისს უწოდებენ. ამ ირისის ფერი სხვა და სხვა ნაირია და ამისდა მიხედვით არჩევენ თვალის ფერს: შავს, ჭრელს, ნაცრისფერს და სხვას. თვალის გუგა, (ირისი), ხან მოიწევს და ხან გაფართოვდება, რის გამოც ბაია ხან ფართოა და ხან ვიწრო და თვალშიაც ხან მეტი და ხან ნაკლები სინათლე შედის.

თვალს რომ ჭურჭლის გარსი გადავაძროთ, ვნახავთ, რომ მის ქვეშაც კიდევ გარსია მოთავსებული. იგიც ქორფა და სათუთია. მას ბადე ან ცხრილი ეწოდება. სხვანაირად ამას ბიგშენტის გარსი ჭქვიან. ამ გარსზე გამოიხატება ხოლმე ყოველივე იმ საგნის სახე, რომელსაც ჩვენ ვუყურებთ. ეს კი უნდა გვიქვამთ, რომ საგნის გარეგეულ და ნათელ გამოხატულებას მთელ ცხრილზე კი არ ვღებულობთ, არამედ ერთ მის წერტილზე, რომელსაც ყვითელი ტალი ეწოდება.

ამნაირად თვალს სამი გარსი შეადგენს, რომლისაგან ერთი ინახავს მას გარეშე საშიშროებისაგან, მეორე უზიდავს სისხლს და ასაზრდოებს მას, და მესამე ღებულობს დანახული საგნების ყოველსავე გამოხატულობას. უკანასკნელი გარსი თვალის უკან ნერვის კოანაში გადადის, რასაც მხედველობის ნერვი ჭქვიან და რაც თვალს ტვინთან აერთებს.

მაგრამ დავბრუნდეთ ისევ უკან. ჩვენ ვთქვით, რომ თვალის რქის გარსის უკან ბაია ირის მოთავსებული. თვალი რომ გავსჭრათ, ვნახავთ, რომ ბაიას უკან მოთავსებულია მრგვალი—ცოტა გვერდებ გამობერილი, გამსჭვირვალე ბრილის მსგავსი სხეული, რომელსაც ბრილი ან ლინზა ეწოდება. ამის უკან თვალის მთელი სიდრეგე გამოვსებულია გამჭვირვალე, წებოიანი ნივთიერებით, რომელსაც მინის (შუშის) მსგავსს სხეულს უწოდებენ. ბრილის მსგავსი სხეულის წინ, მისსა და რქის გარსს შუა გამჭვირვალე წყლისებური სითხეა მოთავსებული... გარედგან თვალს, თვალის ბუდეს შიგნით ყოველი მხრიდგან სალტასავით ექვსი კუნთი აქვს გადაკრული და ამ კუნთების საშუალებით იგი მოძრაობს და აქეთ იქეთ იხედება. ასეთია მოკლედ ადამიანის თვალის შენობა და მოყვანილობა. ახლა ვნახოთ ისიც, თუ რა ნაირად მოქმედობს სინათლე, ან საგნების გამოხატულება ჩვენს თვალზე, რანაირად ვხედავთ. ამის ადვილად გასაგებათ მოდი დავხატოთ თვალი და მის წინ მოვათავსოთ რაიმე საგანი. მაგ. ა. ბ. სინათლის სხივები ამ საგნიდგან მიმავალნი, მოხვდებიან თვალში, გაიფლიან გამჭვირვალე რქის გარსს (ა), თვალის ბაიას (გ), მის უკან ბრილში ან ლინზაში (დ), და შვებისებურ

სხეულში (გ, ე) და მიაღწევენ თვალის უკანა ნაწილის შიგნითა პირის ცხრილის ან რეტინამდე, სადაც აღიბეჭდება ამ საგნის გამოსახულება; რაც შემდეგ მხედველობის ნერვის საშუალებით ტვინს ეცნობება (ზ)... ფიზიკა გვასწავლის, რომ სხივები, როდესაც ტოტალი მკვრივი ნიადაგიდგან უფრო მკვრივ ნიადაგში გადადიან, გადიხრებიან, ან გადატეხებიანო, ესე იგი თავის მიმდინარეობას იცვლიანო. სინათლის სხივები, ზემო დახატულ საგნიდამ ა. ბ. მომსკდარნი, გაიფლიან რა ჰაერს, ტოტალი მკვრივ ნიადაგს, გადავდენ თვალში, უფრო მკვრივ ნიადაგში, ეგრეთვე გადიხრებიან. ესე იგი თვალის გამსჭვირვალე ნაწილებში გავლის დროს ერთმანეთს უახლოვდებიან და სინათლის მგრძნობ გარსზე—ცხრილზე ა. შ. დახატარავებული სახით და თავშექცევით გამოიხატება.

ეოველ საგანს ჩვენ რომ ერთ და იმავე მანძილზე ვხედავდეთ და ვუკვირდებოდეთ, მაშინ მათ გამოხატულობას ეოველთვის თვალის ერთ და იმავე ადგილზე მივიღებდით. მაგრამ საგნებს ჩვენ ხან უახლოვდებით და ხან ვშორდებით, თუმცა მათ მაინც გარკვევით ვუმზერთ. რანაირად ხდება ესა? ეს ჩვენ შეგვიძლიან ვქნათ იმისთვის, რომ თვალს თვითონა აქვს ნიჭი შეეგუოს სხვა და სხვა მანძილს. ამაში მას ეხმარება ბროდი, ან დინზა, რომელიც საჭიროების დროს ხან გაბრტყელდება და ხან გამოიბერება. როდესაც ჩვენ მახლობელ საგნებს ვუცქერთ დინზა გამოიბურცება სწორედ იმდენათ, რომ საგნის გამოხატულება უსათუოდ ცხრილზე მივიღოთ და როდესაც შორს ვიცქირებით—იგი ბრტყელდება და ამ შემთხვევაშიაც საგნის გამოხატულება დანიშნულ ადგილს უწევს. დინზას ასეთი ცვალებადობა ხელს უწყობს ჩვენი თვალის სხვა და სხვა მანძილის შეგუებას. მაგრამ ამ ამ შეგუებასაც თავისი საზღვარი აქვს. ნორმალური თვალისათვის უგრძელესი მანძილი ჰორიზონტია და უახლოესი კი სამი გოჯი. ამას იქით და აქეთ ჩვენ ვერაფერს დავინახავთ. ისიც უნდა გოქვათ, რომ თვალის ასეთი შეგუება, რაც ადამიანი ხანში შედის, თან და თან იკარგება და დრმა მოხუცებულებაში სრულებით ისპობა. ამას იმითი ხსნიან, რომ ამ დროს დინზა თანდათან ჰკარგავს თავის ცვალებადობას, იგი მკვრივდება და უდრეკელი ხდება. ამიტომ არის, რომ მოხუცებულებს ხშირად სჭირდებათ სათვალეები. ახლა იგინი დინზის მაგივრობას ასრულებენ. ნორმალურ მხედველობის მქონე ადამიანებს გარდა, არიან კიდევ ბრუტიანები, ან ბეტები, რომლებიც შორს ვერაფერს ხედავენ და ისეთებიც, რომლებიც ძალიან შორს იხედებიან და საგნების გამოხატულებას ბუნდოვნათ დებულობენ. ამათაც ორივეს სათვალეები ესაჭიროებათ.

ეურადღების დირსია ისიც, რომ თუმცა ჩვენ ორი თვალით ვიხედებით, მაგრამ საგნის გამოხატულებას ერთს ვდებულობთ და არა ორს. ამას ჩვენ მხოლოდ დიდი დაკვირვებისა და გამოცდილების შემდეგ ვახერხებთ. აქ დიდ საამსახურს გვიწევს ის გრძნობა, რომელსაც შეხების გრძნობა ჰქვიან.

ამნაირად შენ ხედავ, ჩემო მეგობარო, რომ თვალი ჩვენი სულიერი ცხოვრებისათვის, ჩვენი სულის საზრდოებისა და გონების ვარჯიშობისათვის ერთი უსაჭიროესი ორგანოა. მაგრამ ხშირად ჩვენ კიდევ ვერ ვხედებით, თუ რა ძვირფასია ჩვენთვის თვალები. მათი დირსების დაფასება მხოლოდ მათ შეუძლიანთ, ვისაც მწარე ბედმა მათი დაკარგვა არგუნა, თვალის დაკარგვა, ან მხედველობის მოსპობა ერთი უდიდესი უბედურებაა ქვეყანაზე. ამისთვის ეოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს სიფრთხილით მოეპყრას ბუნების ამ დიდ ნიჭს და სათუთად მოუაროს იმას. დროზე ამუშაოს, დროზე დაასვენოს და ასუფთავოს იგი. შეხედეთ აბა ბუნება თვითონ რა მზრუნ-

ველობას იჩენს მაზე?! თვალი თვალის ბუდეშია მოთავსებული, რომ საშიშროებისგან უკეთ იქნეს დაფარული. იგი ამავე მიზნით ქუთუოოებით არის დაფარული. ჩვენ ვიცით, რომ ქუთუთოები საშიშროების დროს დაისურებიან და თვალს ხიფათი ასცდება. ქუთუთოებზე წამწამებია ამოსული. რომ ვაკლახათ მათში მტვერი არ ჩაცვივდეს; ზევიდგან წარბებია გარდათხმული, რომ შუბლზე მოსაწური ოფლი აქ შეჩერდეს, თვალში არ ჩავიდეს, იგი არ გაადიზიანოს და არ დაასნეულოს. თვალის ქუთუთოებს შიგნიდგან ლორწოიანი გარსი აქვს გადაკრული. იქვე სტრემლე ჯირკვლებია მოთავსებული, ეოველივე ეს მისთვის, რომ თვალის მოძრაობა უფრო თავისუფლად სწარმოებდეს, თვალი გაშრობისა და გახმობისგან უზრუნველ ეოფილი იქმნას და საჭირო ელვარება მას აროდეს აკლდებოდეს!..

ექიმი **ევ. გ. ლოსაბერიძე.**

(შემდეგი იქნება)

ყარიბის ლაღადი

თეთრი ღამის თეთრი სხივები ვითარცნანინა არემარეს ნელიად ეფინება.

ცის წიალიდან თვითეული ვარსკვლავის აციმციმებასთან ერთად ბარად იშლებიან სიფხიზლე მკვირცხლნი, გრძნეულნი, საოცნებო სიზმარნი.

მთების კონცხებიდან მოხტის ანკარა ნაკადული და მოიმღერის ზღაპრებს კდემა-მოსილ ჰაეროვან მიონებისას.

სული ჩემი რას ჰლამის? რად არ დაუტევებს ურვასა და იგიც კრძალვით არ ახმატკბილდება? იგიც ხომ ცოცხალი ნაკადია.

თეთრ ღამემ ჯადოსნური ქათქათით ჩააქსოვა ოცნების ტევრს ამურთა ბუჩქნართაგან მოკრეფილი ტრფობის ყვავილები.

სული ჩემი? რად არ აიწყვეტს იგი სევდის ძილ-ქუშსა და სასოებით ტრფობას არ შეემსჭვალება?

ისიც ხომ ლოცვაა მიჯნურისა.

მგონი ასე მღეროდა სასოწარკვეთილების ტყეში უსასოდ ვრდომილი მგოსანი, რომელიც სიყვარულის სხივიერებას უხვად მიმოჰფანტავდა, სამაგიეროს კი არრას ჰპოვებდა. დაუშრეტელი იყო მისთვის სახმილთ გზნებანი.

მის მარტოობაში განწირულება შადრევანივით სჩქეფდა, ცხოველ სიყვარულს გულით ატარებდა, მისი სული, კი გულქვაობის კოკონზე იდაგებოდა.

ამგვარადვე მღერის ჩემი სული:

I.

მწირი, ობოლი, ყარიბ ხმებით მკვნესარი
დავდივარ-ვტანტალებ,
ვითარცა ძეწნა ამომშრალსა ტბის კიდეს
ვთრთოლავ-ვკანკალებ... [მდგარი
ვერანად მჩინარ სალ-კლდეებსა, ტყე-ჭალა-
შევკვნესი ხშირად [კებს
ეჰ, არსიდგან ხმა... მხოლოდ დუმილი
უხმოდ რაკრაკებს
გულის გამგმირად.

ეროვნული

II.

სასოებავ, სასოებავ, რომ იცოდე სულ
ი მგოსნის
ვით იურვის მარტოობით, ვით არს ტან-
ჯვის ცეცხლმოდებით,
რომ უწყოდე ცხოვრების ზღვა მძაფრსა
ტალღებს ვითა მტყორცნის
და უმწეოს ვითა მქოლავს კაეშანის შავ
ლოდებით,—
შეისმენდი ღაღადებას,
ილმენდი მწირს ცრემლთა მფრქვეველს,
ტანჯულ სულის წმინდა ლოცვას
წარივლენდი ვით საკმეველს.

III.

შენ, რომელიც შემომეპარე სულის
წიაღში მთის ნიავივით, იდუმალად რომ
ჩამჩურჩულებდი ზღაპარს სამარადისო გა-
ზაფხულისას, როგორც უმთვარო, ვარ-
სკვლავებით მოჭედილი ცა.

შენ, რომელმაც მისტიური თვალების
ჟუკჟუკით ჩემს სულში ააზვირთე ნაკადი
სიყვარულისა,—სადა ხარ, სადა? კიდით
კიდემდის მარად გეძიებ, გარნა ვერსადა
გპოვე.

სულის სილაღევ! რად დამანახვე ჰინდ-
თა აჩრდილით აჭევლებული ტბა; რად
განმაცდევინე ზამბახის ველის ნაზი სურ-
ნელება, თუ კი ჩემს მებაღეობას ჩემს
მეხვაშიადობას არ ითნობდი?

საბედისწერო შეხვედრისას შენნი ძოწ-
ნი რად გააპო ღიმილმა, თუ კი იგი
უმალ კუშტად გარდიქმნებოდა.

რად მაჩუქე საუკუნეები, თუ კი მყა-
რად მეუფლებოდა ჭმუნვა და გულ-წყლუ-
ლობა.

შენ, რომელმაც ხმათა მუსიკობით
ამიხსენი მსოფლიო ამოცანა—საიდუმ-
ლოება—სად წახველ, თვით რად გარ-
დიქმენ ამოცანადა?

იქნება ჩვენება ხარ და სხვა არა რა?

იქნება მხოლოდ ნაყოფი ხარ ჩემის
გრძნობისა და ჩემს გარეშე არ არსებობ,
არც გიარსნია?

იქნება შეფრფინვით შევსტრფოდი ოც-
ნებით შეეშხულს ფიქრთა ზმანებას?

მაგრამ ის ხმები ვიღასი იყო რომ მო-
მესმოდა ჯადოსნურადა?

ვარსკვლავებისკენ ვინ მიწოდებდა საო-
ცნებოთა?

დ. თურდოსპირელი.

მასწავლებელმა ვალი მოიშორა

(აღმოსავლეთის თქმულება)

ჩემმა ამხანაგმა მასწავლებელმა დაიწ-
ყო: „აღმოსავლეთის ერთ პატარა ქა-
ლაქში სცხოვრობდა მასწავლებელი. ჩინე-
ბული მასწავლებელი იყო ადგილობრივ
მცხოვრებთა აზრით და შეხედულობით.
მას დიდ პატივსა სცემდნენ მშობლებიც
და მოსწავლენიც. მაგრამ მისი აღებული
გასამრჯელო მცირე იყო. ჩვენზე გაცი-
ლებით ნაკლებს იღებდაო. ღვთის წინაშე
აღმოსავლეთზე ცხოვრებაც იაფია და
მოთხოვნილებებიც ნაკლები, მაგრამ მაინც
არა ჰყოფნიდა. ჰო იმას მოგახსენებდი—
ის მასწავლებელი იღებდა თვეში, ჩვენი
ფულებით რო ვიანგარიშოთ, ოც მანეთს.
ამ ფულით ის ინახავდა ოჯახს, თავის თავს
ასე რომ არც გაჭირება-ნაკლულვანებას

განიცდიდა და ვალსაც არ იღებდა. ერთი სიტყვით ისე სცხოვრობდა, რომ არც ვალი ჰქონდა და არც შენახული ფული. მოულოდნელად ჩვენს მასწავლებელს უბედურობა ეწვია: მას ავად გაუხდა ცოლი. ექიმის მოწვევა მოუნდა. ორი მან. მისთვის უნდა მიეცა და სამი მანეთისა წამლები უნდა ეყიდნა; ასე რომ თვის ბოლოში გასავალი ხუთი მანეთით მეტი მოსდიოდა შემოსავალზე. როგორ მოვიქცე? ჰფიქრობდა მასწავლებელი. მასწავლებელმა ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერა მოიგონარა. ბოლოს გადასწყვიტა ფული ესესხნა. მოაგონდა მასწავლებელს, რომ ვაჭარი გასანა მდიდარი კაცი იყო, ძალიან უმადლიდა მას შვილების სწავლებას და დიდს პატივსაც სცემდა მასწავლებელს. მასწავლებელი წავიდა გასანასთან და ისესხა ერთი თვით ხუთი მანეთი იმ იმედით, რომ თვის ბოლოში როგორმე მოუხერხებდა ფულის დაბრუნებას. მაგრამ ბედმა უმუხთლა. ვერ შეაგროვა. მასწავლებელი ძალიან შეაწუხა ამ გარემოებამ და არ იცოდა რაექნა. ის დიდათ აფასებდა თავის ნათქვამს და არას დროს არ უღალატნია თავის დაპირება-გადაწყვეტილებისათვის, კვალად იფიქრა საწყალმა და მოაგონდა, რომ არის კიდევ ერთი ვაჭარი ახმედა, რომელიც არა ნაკლებ სცემდა მას პატივს. წავიდა ის ახმედასთან, ისესხა ერთი თვით ხუთი მან. და წაუღო გასანას. მესამე თვეში იმის მდგომარეობა ისევ ძველებური იყო, და, პირობისათვის რო არ ეღალატნა, წავიდა, ისესხა კვლავ გასანასგან ხუთი მანეთი და წაუღო ახმედას. ერთი სიტყვით ასე გაგრძელდა ერთი წელიწადი. მასწავლებელს ყოველ—თვეში მიჰქონდ-მოჰქონდა ხუთი მანეთი ერთი ვაჭრიდან მეორესთან. ამ გარემოებამ ძალიან გააბრაზა მასწავლებელი და მოთმინებიდან გამოსულს ვერ მოეგონა, როგორ გადარჩენოდა ამ მოვალეობას. გაბოროტებულმა აიღო მეთორმეტეჯერ, დღიდან პირველი სესხისა, ხუთი მან. გასანასთან წასაღებათ; და თან სახლში შეიარა იქნებ ვიფიქრო რამე ან მე ან ჩემმა ცოლმა მირჩიოს რამე, და ეგები თავი დავახწიო ამ უბედურ გარემოებასო. მაგრამ ვერაფერი ვერც თითონ მოიფიქრა და ვერც ცოლმა ურჩია რამე. მასწავლებელი წავიდა გასანას დუქანში ფულის ჩასაბარებლათ. ვნახოთ ახმედაც იქ დახვდა. ორთაქვე ვაჭრები აღტაცებით მიეგებნენ მას.

— აი სამაგალითო კაცი—დაიწყო გასანამ ყველა თავის მოვალეობას უნაკლულოდ ასრულებს ვადას არ აცილებს.

— ჭეშმარიტად—სთქვა ახმედამ— ჩვენმა ვაჭრებმა ამისაგან უნდა ისწავლონ სესხის ვადაზე ჩაბარება.

დაიწყეს მასწავლებლის შექება. ბოლოს გასანამ სთქვა:—დავნაძლევდეთ, რომ ეხლაც ფული მოუტანია ჩემთვის მოსაცემათ.

— ეშმაკმა წაგიღოთ თქვენ—შესძახა გაბრაზებით მასწავლებელმა. აი თქვენი ხუთი მანეთი, თავში იხალეთ და, ამიერიგან თქვენ თვითონ წაუღ-წამოუღეთ ხოლმე ერთმანეთს და მე კი თავი დამანებეთ, მომწყინდა თქვენი ამდენი სამსახური. ამ სიტყვებით მასწავლებელმა გასტყორცნა ოქრო და გამოვარდა დუქნიდან. მსმენელებმა გადიხარხარეს და ტაში უძღვნეს მოამბეს. როცა ლაპარაკი და სიცილი შესწყდა, ამხანაგმა კვალად დაიწყო: „გასანა და ახმედა მასწავლებლის წასვლის შემდეგ დიდხანს უყურებდნენ ხან ერთმანეთს და ხან ოქროს, რომელიც დახლზე ეგდო.

— წავიდეთ ყავახანაში—სთქვა ბოლოს

ეროვნული

გასანამ. ახმედა ულაპარაკოდ დასთანხმდა და ორივენი ყავახანაში წავიდნენ. იქ მათ მოითხოვეს ყავა, ყალიონები და დაუწყეს წევა. გასანამ ამოიღო ოქრო და მაგიდაზე დასდო. რამდენსამე ხანს გაჩუმებულები იყვნენ. ბოლოს გასანამ დაარღვია ჩიჩუმე:

— შენის აზრით ვის ეკუთვნის ეხლა ეს ოქრო?

— მასწავლებელმა შემომიტანა ეგ ოქრო, ჩემია მიუგო ახმედამ—დღეს ისესხა იგი ჩემგან მასწავლებელმა.

გაიმართა ჩხუბი, ჯერ დაბალი ხმით და შემდეგ ყვირილზე გადავიდნენ. მეგობრები ახლა იმაზე კი არა ჩხუბობდნენ, თუ ვისია ეს ოქრო—არა—ისინი კამათობდნენ იმაზე, რომ თანახმად მასწავლებლის დარიგებისა ვის უნდა მიეტანა ოქრო ვისთვის მომავალ თვეში.

მოჩხუბართა გარშემო შეიკრიბნენ ყველა იქ მყოფნი. გაიგეს თუ არა რაში იყო საქმე, დიდს ქებას უძღვნიდნენ მოხერხებულ მასწავლებელს. მაგრამ ვაჭრების შერიგებაზე კრინტს ვერა სძრავდა ვერავინ. ორივენი გავლენიანი პირები იყვნენ იმ ქალაქში. თუ ერთის სასარგებლოთ იტყოდნენ რასმეს, მაშინ ეწყინებოდა მეორეს. უკანასკნელი კი არავის არ უნდოდა; იმიტომ, რომ ორნივე გამოსადეგნი იყვნენ გაჭირვებაში. ალახმა უწყის რითი ან როდის დაბოლოვდებოდა მათი ჩხუბი, რომ კარებში არ გამოჩენილიყო დევრიში, რომელიც მოწყალებას თხულობდა.

— აი ნამდვილათ ვინ გადასწყვეტს ამათს დავიდარაბას! შესძახეს სუყველამ. მოჩხუბარნი უცბად გაჩუმდნენ. ხალხმა გზა დაუთმო დევრიშს. ჩვეულებრივი მისალმებით ის მივიდა ვაჭრების მაგიდასთან. ახმედამ განუმარტა მას ჩხუბის შინაარსი და გადაჭრით ჰკითხა დევრიშს: „ვისია ეხლა ეს ოქრო?

— მე მაგის ნახევარს გაჩუქებ უკეთუ მე მაკუთნებ ამ ოქროს—უთხრა გასანამ.

— მეც მაგდენს მოგცემ თუ ეს ოქრო ჩემი იქნება, დაიყვირა ახმედამ.

დევრიშმა გაკვირვებით შეხედა ორივეს და შემდეგ იქ მოგროვილ ხალხს მიმართა:

— თქვენ გაიგონეთ რამდენს საჩუქარს მაძლევენ ესენი ერთმანეთის მორიგებაში?

— გავიგონეთ—დაიყვირა ხალხმა.

— მაშ მოისმინეთ ჩემი გადაწყვეტილება—განაჩენი: გასანა იძლევა ამ ოქროს ნახევარს, დევრიშმა ხელში აიღო ოქრო, ე. ი. ორ მან. და ათ შაურს—ამდენსავე მაძლევს ახმედა და აქ ხუთი მანეთის მეტიც არ არის, თუ რომ ჩემი განაჩენი ორივესათვის საწყენი არ იქნება, მაშინ მე მერგება ხუთი მანეთი. და აი ვიღებ კიდეც ჩემთვის. ჩხუბი გათავებულია. სთქვა დევრიშმა ეს და არხეინად გავიდა ყავახანიდან და თან ოქროც წაიღო. მოჩხუბარნი და იქ მყოფნი კი სდუმდნენ.

მესხი ვ. მიქელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოჰკარ სიმთა!..

(უძღვნი ა. შანშიაშვილს)

ბულ-აღგზნებულმა ჩამოჰკარ სიმთა,
კვლავ ააჟღერე ჰანგი ციური,
ნაზ სიმთა კვნესას შეუერთევი
სულის კვეთება ტიტანიური!..
მე ჰანგთა ბგერა მიშფოთებს სულსა,
ქარიშხალს უხმობ აღშფოთებული;
ხან ფრთა მესხმება, ფრთა ფასკუნჯისა
და ცისკენ ვილტვი აღფრთოვნებული!
აჰა, ზღვა შფოთავს... გარშემო არეს
აშინებს მისი რისხვა, ღრიალი
და როს ყუჩდება—მკერდზე ექარგვის
ციურ მნათობთა სხივთა ციალი!
იქ... სადღაც შორსა უდაბნოს ვრცელსა
თავზედ დაჰქროლავს სამუმი ქარი,
და იქ მთის ძირში ტყის ჩურჩულ-ბოდვას
ღამის დუმილში ისმენს მთა-ბარი?
ოჰ, კვლავ ჩამოჰკარ, ჩამოჰკარ სიმთა,
მთელი მსოფლიო თვალწინ მეშლება;
აღთქმულ ქვეყნისკენ მიმაფრენს რაში.
მაგრამ განვლილის კვალი იშლება!..
ოცნებით მინდა წუთით გავშორდე.
მუხთალ დროთა სვლას, ცხოვრების ტრი-
ვიცი ცხოვრება... კერა ყოფნისა [ალს;
კვალად მომაწვდის შხამ-გესლის ფიალს!
ეს ნაღვლიანი, სევდის აკორდი,
ნაზად მომითხრობს ცხოვრების ზღაპარს
და მელოდია ოცნების მთაზედ
თავისუფლების აღანთებს ლამპარს!
მაშ ააჟღერე, დამიტკბე სული,
ეს ცის ჰანგია, ჰანგი ვნებული
და მეც ტიტანურ სულისკვეთებით
ველტვი ცის ლაჟვარდს აღფრთოვნებული!

აკ. სვანი.

მე ოცნებითა ვერ შევქმენი

მე ოცნებითა ვერ შევქმენი მტკიცე ტაძარი,
დაფარულ ადგილს იქ ხატები არ მისვენია.
ჩემი ცხოვრება თუმცა მხოლოდ სულ ღელვა არი,
დაღლილ-დაქანცულს ტკბილად ვერსად დამისვენია!
რა ავაშენებ, ღია სადმე დამრჩება კარი,
ან ქვა არ მყოფნის, შემდეგია აქ ფარღალალა...
გაყინებულსა ულმობელად დამბერავს ქარი
და, აჰა ღმერთო, ტაძარი ხომ ჩამოიშალა!..
და აი ესრეთ ვერ შევქმენი მტკიცე ტაძარი,
სად მუხლი მდაბლათ მოვიდრიკო, ვილოცო ტკბილათ...
ხელობაც ვიცი... მასალაც მაქვს!.. მაგრამ ზამთარი
მაჯას მიჩერებს, რა ნაღვაწევს მინგრევს ადვილათ.

ს. აბულაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრთა გემი

—

Ბარინდებულ ოკეანეს ბედის მრხეველ მსოფლიოსი,
ქვეყნის ბრუნვა არ ემონვის—ფორიაქობს დღის ქაოსი!..
ცხოვრების გემს, მარად მბრუნავს აღქაფებულ ტალღებ შორის,
შორით ესმა ქუხილთ გმინვა, ის ხმა იყო გულის სწორის,
სამყაროის მაღალ კედელს, ქვეყნის მკერდზე გამოზნექილს,
კაე'შანის სიო ფარავს, შავ-ზოლებათ გულ-დასერილს,
. . . და ცის ღმერთი რას გვიმზადებს?.. ეს ხმა არის ზღვის მდევების,
ცეცხლის წვიმას, ცეცხლის წვიმას კიდის კიდით დამონების!..

* * *

ბარინდებულ ოკეანეს ბედის მრხეველ მსოფლიოსი
სძინავს ისევ, მას არ აკრთობს მოკავ'შირე დღის ქაოსი!
გემო, გემო, ცხოვრებისავ, მოწამე ხარ ზღვათა ბრუნვის,
რა გადმოგცა ოკეანემ—მშვიდობა თუ ტალღა ჭმუნვის!?
ჰოი გემო, ვით ვიწამო უსულგულო ეს ცხოვრება,
ძლევის ხმები, ძლევის ხმები... აგალობე, მეყვარება!..
ტოკავს ტალღა უკვდავების, ხმა მოისმის ზღვათა შველის,
ჰოი, რა არს საიდუმლო მომავალი სინამდვილის!?.

გელა.

ჭიათურა.

განთავისუფლებული

ეტიუდი ტორკილ ბარფოდისა

(თარგმანი)

ეს ამბავი დიდი ხნისაა. მაშინდელი, როცა ადამიანები უფრო უბრალოდ სცხოვრობდენ ვინემ ეხლა.

ბატონს ჰყავდა მონა.

ბატონი მდიდარი იყო და მონები ასობით ჰყავდა, მაგრამ ამ მონას სხვებზე უფრო აფასებდა:—ის სხვა ქონებასთან ერთად მამისაგან მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული. მამა დიდი ხანია მომკვდარიყო. ახალგაზრდა ბატონი—მონის შეხედულებას განცვიფრებაში მოჰყავდა: ჭაღარა და წელში მოხრილი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ღონიერი ბერიკაცი სულ დაღვრემილი იცქირებოდა წინ... მის

სახეზე ღიმილი არავის არ დაუნახავს.

მონისავე დედის შვილს მთელი თავისი სიცოცხლე მონობაში გაეტარებინა. ამბობდენ, რომ მამა მისი თავისუფალი კაცი იყო და დედა მისის ბატონი. მთელი მისი სისხლი თავისუფლებაზედ დარდით იყო მოწამლული. ახალ-გაზდობაში ის თვითნება—ჯიუტი და ამაყი სხვა მონებსაც უმტყუნებდა მორჩილებასა. ამაყი მონა ბევრჯერ სასტიკად დასაჯეს ასეთი თავხედობისათვის და ბოლოს ისწავლა თავისუფალი სურვილების ალაგმვა და მუდამ ხმა ჩაკმენდილი იყო. მაგრამ ყოველი წუთი გრძელი დღეებისა მისთვის ტანჯვა, წამება იყო. ღამითაც ის დიდ საყვედურებს უგზავნიდა ბედსა: რატომ—ამბობდა ის—ერთს წილად რგებია როლი თავისუფალი მბრძანებელისა, მეორემ კი მუდამ უნდა ატაროს შრომის უღელი და მონობაში ამოხდეს სული, რატომ ერთი მათრახს უნდა იქნევდეს, ხოლო სხვები მას ზურგს უშვერდენ, რატომ ერთი ცხენზედ ბრძანდებოდეს, სხვები კი უზანგს უჭერდენ. რატომ?..

მიდიოდა წლები. მონა ნამეტანი მოხუცდა და დაჩაჩანაკდა. შრომის უნარი სრულიად დაჰკარგა.

და აი ერთხელ მდიდარს და კეთილს ბატონს დიდსულოვანი სურვილი დიებადა. ბატონმა იცოდა, რომ მოხუც მონას მისთვის სარგებლობის მოტანა აღარ შეეძლო...

დაუძახა მონას და უთხრა მას:

შენ დიდი ხანი სიმართლითა და პატიოსნებით გვემსახურე ჯერ მამა ჩემს და მერმე მე. შენ უკვე მოხუცდი და დაიღალე. დროა შენ დაისვენო. ყური მიგდე! მე შენ გაძლევ თავისუფლებას! შენ შეგიძლია სადაც გინდა წახვიდე და აი კიდევ შენ ეს 1000 დუკატი. იყავი ბედნიერი და როგორც გინდა ისე მოიხმარე ჩემი საჩუქარიო.

მონა დაემხო პირქვე და ფეხებს ულოკავდა თავის მბრძანებელსა. სიხარულის ცრემლები ჩამოსდიოდა მოხუც, ნაღვლიან თვალებიდგან, ხოლო უკბილო პირი, ჩიფ-ჩიფით ღვთის კურთხევას ითხოვდა ბატონის სახლეულობისათვის.

მაშინ ბატონმა ჰკითხა მოხუცსა:

როგორ მოიხმარ შენ ჩემ მიერ ნაბოძებ თავისუფლებასო?

ბატონო ჩემო, მიუგო მონამ. მე მოხუცი და უმწეო ვარ. ცხოვრებაში მე საშინელი, მძიმე ხვედრი მხვდა—ხვედრი მონისა. მთელი ჩემი სიცოცხლე უღელქვეშ გამიტარებია. ახლა კი დასვენება მინდა. ავიშენებ ჩემთვის ქოხსა და შიგ დავისვენებ... დავისვენებ.....

— რას უზამ იმ 1000 დუკატს, ფულს, რომელიც მე შენ გიბოძე?..

მონა დაჩუმებული იდგა, თვალები შორს სივრცეში მიეპყრო... უცბად დაღარულ-დაპრანჭული სახე ღიმილმა შეაკრთო—გაანათა. ეს პირველი ღიმილი იყო მთელ მის სიცოცხლეში:

— პირველად ყოვლისა მონას ვიყიდი, ბრძანებელო!..

დ. თალაკვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიოსანი

მოხუცი მასწავლებლის ნაამბობი

(თარგმანი)

სტეფანე პროკოფოვი ერთი უკიდურეს ღარიბ გლეხთაგანი იყო ჩვენს სოფელში. მაგრამ სიღარიბეც არის და სიღარიბეც; ზოგი თუ სავსებით უზრუნველ ცხოვრებას ვერ ეწევა და ცოტაოდენი შრომა—ხელის განძრევა სჭირდება, თავს გაჭირვებულ ღარიბათა სთვლის; ხოლო ზოგი უზომო შრომასაც ეწევა, მაგრამ მაინც უბედური რჩება და სიმშილ-წყურვილში ხდება ტანჯული სული. სტეფანეც სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა—

„ვისთვისაც დღე სიმწარით ღამდება.
სიჯაბუკე ტანჯვით შრომამ წაუღო...
კაცი გულით დაჩაგრული ბედითა,
სიურმიდგანვე სიღარიბით დეგნილი;
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა“.

(ალ. ჯ.)

წარმოიდგინეთ ძველთა-ძველი ქოხი, რომელიც ჟამთა ვითარებით წელში მოხრილ მოხუცივით იმდენად გადმოზნექილა წინ, რომ ეს, ეს არის საცაა წაიქცევაო, მაგრამ თითქოს განგება იბრალებდა მის პატრონს და ქოხი ჯერ ისევ უძრავად იდგა,—გაძვალ-ტყავებული ცალი ხარი, რომელიც სტეფანეზე არა ნაკლებ მძიმე უღელს ეწეოდა და ემდურო-და თავის უკულმართს ბედსა,—გამხარგახროგილი, ფერდებ ჩაცვივნული ძროხა, რომელსაც სამართლიანად უწოდეს მსაზრდოებელი-ძიძა და—ერთიც უშნოდ დაჩლაჩულ-დაბრანძული, ასგან ღვლეჭით შებლანდულ-შეხვეული ცალ-უღელა ურემი—აი სტეფანეს მთელი ალვა-დიდება,—ყოველივე ის, რაზედაც მას გაჭირვების დროს თავისუფლად, სხვათა დაუყვედრებლად შეეძლო ხელი წამოეკვლო და, რომელთა მეოხებით ჯერ კიდევ შერჩენოდა სტეფანეს გულში სასოების მცირე ნაპერწკალს თვისი ცხოველ-მყოფელი ძალა. აი ამით უნდა ესაზრდოებია და ერჩინა მას მთელი ოჯახი: აუტანელ მძიმე ცხოვრებისგან უდროოდ წენში გატეხილი ცოლი, სიბერე—ჯაფისაგან მიღნავებული, დაუძლურებულ-დაავადებული დედა-ბერი—დედა და ხუთიოდე წვრილი შვილი...

— ეჰ, რაღაა მისი ცხოვრება?.. ღმერთო შეგცოდე!—თანაგრძნობით იტყოდნენ ხოლმე გულ-შემატკივარი მეზობლები,—სცხოვრობს კი-არა იტანჯება, საწყალი... კიდე სხვაა—ცუდობდეს,—იყოს ზარმაცი, ლოთი, გარყვნილ ცხოვრების მოტრფიალე, მაგრამ ცოდვა არ ითქმის; იშვიათის მუყაითობით ეწევა პატიოსან შრომას: დღე-დღეზედ ციბრუტივითა ტრიალებს, საწყალი, დანის წვერზედ ეხევა, წელზედ ფეხს იდგამს, ოფლთან თანაბრად სისხლითა რწყავს დედა მიწას, მაგრამ არ იქნა,—მის სიბეჩავ-სიღატაკიდგან გამოსვლას მაინც არა ეშველა-რა, მაინც ვერაფერსა გახდა“-ო...

სტეფანეს უფროსი ვაჟი—მიტო უკვე 14 წლისა იყო. ის იყო ტანმორჩილი, იმდენად სუსტი და გამხდარი, რომ გეგონებოდათ—სული თუ შეუბერე, ცხრა მთას გადასცილდებაო; ან ერთ სახე

ფრთები რომ გამოაბა, ეხლავე მოსხლტება დედა-მიწის ზურგსა და ცის კამარაში თავისუფლად შეისრიალებსო. პირის სახეც ისევე გამხდარი ჰქონდა, როგორც ტანი. პირველ შეხედვისთანავე გაგეჩხირებოდათ თვალებში მისი ღრმად ჩაცვივნული, მაგრამ გონივრულად გამომზირალ თვალებს ქვემოდ მაღლად ამოშვერილი ლოყის ძვლები და წაწვეტებული, ოდნავ მოხრილი ცხვირი. მაგრამ მიუხედავად ამისა მისი ღმობიერ-სათნოიანი სახე მაინც მუდამ სანდომიანობის ელფერით იყო გაცისკროვნებული და ამიტომაც ღრმასა და მიმზიდველ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზედ. რაღაც უცნაური, გაუგებარი რამ ჰკრთოდა ამ ყმაწვილის ნაღვლიანს ღიმილში, რომელიც ისე ხშირად დასთამაშებდა მისს ყვითლად გაცრეცილ-გაფითრებულს სახეს. როცა ის იღიმოდა, მისი პაწაწა ლამაზი პირი ოდნავ ალმაცერად მოიხრებოდა ხოლმე და სევდიანი, თითქოს ქანცმილეული თვალებიც უძრავად მიაშტერდებოდნენ ერთსა და იმავე წერტილს...

მიტო ჩემთვის მარად გამოუცნობელი საამოცანო არსება იყო; მაგრამ მით უფრო იპყრობდა ჩემს ყურადღებას. არც ერთი მოწაფე არ მაინტერესებდა მთელს სკოლაში ისე, როგორც მიტო. მე ვიცოდი, უფრო-კი ვგრძნობდი, რომ ის რაღაც არა ჩვეულებრივი, განსაკუთრებული და განთვისებული ტემპერამენტის ადამიანი იყო. გული იმას მეტად კეთილი ჰქონდა; ამასთანავე მის სულიერ არსებაში იმალებოდა დაუფასებელი ჩანასახი ყოველი მაღალისა და მშვენიერისა. თანაც იყო ზედმიწევნით გულჩჩვილი და შთაბეჭდილებიანი... პირველი-შეხედვისთანავე, რასაკვირველია, ყველა ამაებს ვერ შეამჩნევდით და მაშინ, ცხადია, ძნელად თუ რითიმე გაარჩევდით მიტოს სხვა—ჩვეულებრივს ბავშვებში. მაგრამ მე, როცა დაკვირვებითა და ყურადღებით დაწვრილებით შევისწავლე იგი, მაშინ ნათლად დავინახე მასში ყოველივე ეს.

სწორედ რომ წლოვანობის შეუფერებლად იყო ეს ბავშვი განვითარებული. ამაში ალბად ხელი შეუწყვეს იმ წიგნებმა, რომელნიც ხშირად მიჰქონდა ხოლმე ჩემგან და არა ჩვეულებრივის გატაცებით თავდავიწყებამდე კითხულობდა. მისი სოფლ-მხედველობა... რა თქმა უნდა, იმას ჯერ საკუთარი, განსაზღვრულ-შემუშავებული სოფლ-მხედველობა არა ჰქონია, და, გასაოცარი და უაზრობაც იქმნება თოთხმეტი წლის ბავშვის, როგორიც უნდა იყოს,—„სოფლ-მხედველობა“-ზე ლაპარაკი,—მაგრამ ყოველივე ის, რაც მას მთელის არსებით იპყრობდა და იზიდავდა, რაც მას ენატრებოდა, რისკენაც ის მიისწრაფვოდა,—ისეთს ნათელსა და წმინდა საფუძველზედ იყო დამყარებულ-ალმოცენებული, რომ უტყუარ საბაბს იძლეოდა, ყოველისავე ეჭვს გარეშე, გვეთქვა, რომ მისგან მართლაც და სათნოებაკეთილშობილობის განსახიერება „მსგავსად უფლისა“ შექმნილი ადამიანი დარჩებოდა... მე-კი, ვიმეორებ, ამისდა მიუხედავად, მაინც ვერ გამომეცნო, ვერ გამერკვია სავსებით მისი ნამდვილი ფიზიონომია. იმას, თავის პაწაწა სულის სიღრმეში ჰყავდა დამარხული რაღაც იდუმალი, მიუწვდომელი და გამოუცნობელი... ეს იყო მეტის მეტად რთული და უცნაური ქმნილება; ერთი იმ ქმნილებათაგანი, რომელთანაც სცხოვრობ, ხშირად მთელის წლობით, მაგრამ ისინი მაინც ისევე გამოურკვეველ-გამოუცნობელ ამოცანად გშორდებიან, როგორიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ პირველ შეხვედრისას და მაინც არ შეგიძლია სწორი პასუხი მიუგო კითხვაზე: „ნეტა რა სულიერია იგი?“...

ვერ ვიტყვი—მიტო ამხანაგებს უყვარდათ მეთქი.--სარგებლობდნენ-რა იმის თავდაბლობა-გულჩვილობით, ხშირად შეურაცხყოფდნენ მას. ზოგჯერ დასცინოდნენ კიდეც; აჯავრებდნენ ისე, როგორც გიჟმაჟმა მოწაფეებმა იციან ხოლმე გაჯავრება. ამით ხშირად კიდეც ბრაზდებოდა იგი და ზოგჯერ მოთმინებიდგანაცკი გამოდიოდა.

— აბა, მიტო, დამდნარა! წაღუნე ქედი!—შესძახებდნენ ხოლმე ცელქი ბავშვები ათურმას თამაშის დროს და იწყებდნენ ხტომას ჩამოფხავებულ მიტოს ზურგზედ. ის-კი მშვიდად, უძრავად იდგა მუხლზედ ხელებ დაბჯენილი და იშვიათის მოთმინებით იტანდა ვარჯიშობაში გამოუცდელი-დაუხელოვნებელ გიმნასტიორებისაგან მრავლად მოძღვნილს მუჯლუგუნებს. მაგრამ ხშირად იცოდა ხოლმე: მსწრაფლ იფეთქებდა, აენთებოდა, ხელს, რაც შეეძლო მაღლა, ჰაერში მოიღერებდა და საშინელს ტლაშანს აუდენდა ზურგზედ—მეტის-მეტად გაუფრთხილებელსა და შეუბრალებელ მოთამაშეს. ამ რიგად ის ჯავრს იყრიდა განსაკუთრებით იმ დაუცხრომელ-გიჟმაჟ და მისთვის ყველაზე უფრო საზიზღარ ბავშვებზე, რომელნიც განზრახ ხტოდნენ ისე, რომ როგორმე ფეხზე შეერყიათ, ან წაექციათ მიტო. ამ დროს ასტყდებოდა ხოლმე ერთი ჩოჩქოლი, ალიაქოთი, აურ-ზაური. ცელქებს არ უნდოდათ არც დათმობა და არც ვალში დარჩენა—იქვე სამაგიერო პასუხს მიუგებდნენ მიტოს და ასტყდებოდა ქიჩავ-კოწიალი, გაიმართებოდა ჩხუბი, რისგან მიტო ყოველთვის დამარცხებული გამოდიოდა.

მე მაცვიფრებდა ის მსწრაფლი ცვალება მისი სულიერ არსების განწყობილებისა; ისე მოულოდნელად გადასვლა სათნოება-ლმობიერებით აღსავსე მშვიდობიანობიდგან—სიმკაცრე და ულმობელობით აღგზნებულ სულის აღშფოთება-სიშმაგეზედ; თუმცა წუთიერს, მაგრამ მაინც გამოაშკარავებულს ზოგჯერ ტლანქსა და მკვახე ფორმაში.—ერთხელ ერთს აბეზარ ამხანაგს კარგა მოზრდილი ქვა უთავაზა თვალში, მეორეს—მთელი ბღუჯა ქოჩორი დააწიწკნა. მაგრამ ყველა ეს არ იყო განსაკუთრებით მის გარშემო მყოფ მოუხეშელ ზნე-ხასიათთა საქციელის შედეგი: ის თვითონაც ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ეს მეტის-მეტი ბოროტი, უპატიოსნო საქციელი იყო. და რაოდენ სულიერს, ზნეობრივ ტანჯვას განიცდიდა შემდეგ იგი; რა შემხუთველ მძიმე ტვირთად დააწვებოდა მის სულიერ არსებას, რა უსაზღვრო მწუხარება ღრღნიდა მის უანგარო ნორჩ გულს, როცა იგონებდა ცოდვებს და ინანიებდა მათ; რარიგ იტანჯებოდა?.. არა, ეს იყო განსაკუთრებითი თვისება მისი პაწია, ნორჩი ბუნების და შედეგი მისი ხასიათისა; რომელიც შესდგებოდა ერთი მეორის პირდაპირ მოწინააღმდეგე ელემენტებისგან...

— ჰეხ!.. ივანე, რომ იცოდე, რა მოვიქმედე? რა ბოროტება ჩავიდინე?.. ოჰ, რა საზიზღარი, რა საძაგელი რამა ვარ?—თვალცრემლიანმა მწუხარებით აღელვებულმა შემომჩივლა, როცა მარტო დამიგულა,—დეე, რაც ენებოსთ, ის მიჰყონ იმათ... ჩემთვის უმჯობესია; სინიდისი მაინც არ შემაწუხებს, გული დამშვიდებული და მსუბუქი მექნება, ზნეობრივად არ დავიტანჯები... არა, რისთვის, რისთვის შეურაცვჰყავ მე იგი ისე მწარედ!..

საბრალოს მთელი ბღუჯა თმა დავაგლიჯე თავზედ!..

მე, როგორც შემეძლო, ვამშვიდებდი, აღელვებულ გულს ვუშოშინებდი. იმან შემომფიცა, რომ კვლავ არასოდეს არ ჩაიდენს ეგეთს საზიზღრობას. მაგრამ მალე გამეორდა ისევ ის; იგივე წუთიერი ბრაზით აღგზნება, თავშეუკავებლად გადალახვა მოთმინების საზღვართა,—იგივე ფიცი, დაპირება გასწორებისა და სხვა. თუმცა მას შემდეგ იმ ზომამდე მაინც არ ასულა მისი გულის წყრომა, რომ ვისმესთვის თმები დაეგლიჯოს...

ამასობაში დრო მიდიოდა. სტეფანეს საქმე ბოლოს და ბოლოს უფრო და უფრო ცუდად წავიდა. მიტო იყო უფროსი „მეოჯახე, მუშა“. გაზაფხულზე იგი გუთანს ეკიდა, ზაფხულობით თოხნიდა, თუ ჭინახულს მოეზიდებოდა შინ, ხოლო ზამთარში შეშა, თუ თივა მოჰქონდა. დედასაც არა ნაკლებ ეხმარებოდა—მოჰქონდა წყალი და სხვასაც ბევრს · რასმე აკეთებდა ოჯახში. ყველა ამაებთან არც სასწავლებელს აკლდებოდა იგი და გაკვეთილებსაც სხვა ამხანაგებზედ არა ნაკლებ ამზადებდა. მაგრამ ახლა კი ბედი უკულმა დაუტრიალდა და ძალიან ცუდად წაუვიდა საქმე. შეატყო თუ არა სტეფანემ თავის ფრჩხილის ოდენა მიწის ნაჭერში მეტს ვერაფერს გამოსწოვდა, დაჰკრა ფეხი და მახლობელს ქალაქში ამოჰყო თავი, სადაც მალე მიჰქირავდა ერთს გაფხეკილ მოხელეს კარის კაცად. მთელი თავისი ქონება-საბადებელი-კი, (რა თქმა უნდა, არც იმდენად ურიცხვ-უთვალავი, რომ მხოლოდ ალახმა უწყოდეს), დააგდო ცოლისა და მიტოს ამარა. მიტო სავსებით იძულებული გახდა მიემართა იმ საშინელ საშუალებისთვის, რომელსაც დიდი ხანია ელოდა, მაგრამ მაინც თვით სიკვდილზედ არა-ნაკლებ უფრთხოდა და გაურბოდა, რის უბრალო მოგონებაც-კი მდაგველ გენიას აღუგზნებდა გულში, ჯოჯოხეთამდე სტანჯავდა და აწამებდა მისს—ყმაწვილურ სასოებით გატაცებულ არსებას—დღეიდგან მას თავი უნდა დაენებებია სკოლისთვის...

ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდგან მიტო უკვე აღარ დადიოდა სკოლაში. მაგრამ მაინც ძალიან ხშირად მოსრბოდა ხოლმე ჩემთან და საკითხავი წიგნები მიჰქონდა. ერთს კვირასაც არ გაუშვებდა ისე, რომ არ მოსულიყო ჩემთან...

ოთხიოდე თვის შემდეგ, საშობაოდ გარდაიცვალა მისი უმცროსი, ათი წლის ძმა—თედორე. ჩვენში იმ ხანებში გაცხარებული ეპიდემია—წითელა მძვინვარებდა თედორეც სწორედ იმის მსხვერპლთა რიცხვში მოჰყვა... მოჰკვდა თედორე. სოფლიურს წესისა და ადათისამებრ იტირეს, დაასაფლავეს, თანდათან გამოიტირეს და ყველაფერი ისევ ჩვეულებრივ—ძველებურს კალაპოტში ჩადგა. მხოლოდ მიტოს დღითი-დღე ვამჩნევდი რაღაც არაჩვეულებრივსა და არა-კეთილ-საიმედო ცვლილებას. იგი მოულოდნელად დაიფერთხა ფერ-ხორციდგან, ზეზეულად ჩამოხმა უფრო და უფრო, ნაფოტს დაემსგავსა, დაილია, გული დაუმძიმდა, სახე დაეღვრიმა; ლაპარაკი დაეზარა, ამხანაგებშიდაც არ ერთობოდა, თვით ჩემთანაც გააძვირა მანამდე ჩვეულებრივი, მისთვის ძალზედ საყვარელი მუსაიფი...

ილ. გოგია.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ-რი ვინკლერი

ფოთლების დაცვივნა

ხეებიდან ფოთლების დაცვივნა ჩვენში შემოდგომის მომასწავებელია. გაზაფხული კი სიმღერით ამკობს ახლად გაფურჩქვნილს მცენარეებს. ფოთლების დაცვივნამ დიდი ხანია ბოტანიკების ყურადღება მიიპყრო. ჯერ კიდევ **დუ გამელი** (1700—1781 წ.) **დე კანდოლი** ცდილობდნენ ამ მოვლენის ახსნას. მაგრამ ძველი გამოკვლევა კმაყოფილდებოდა მარტო იმის აწერით, თუ როგორ ჩაივლიდა ეს მოვლენა, აგვიწერდნენ წინასწარ პირობებს, რაც მცენარეშია და რაც იქ ვითარდება. უკვე **ჰუგო ფონმოლმა** (1805—1872) დაამტკიცა, რომ ფოთლების დაცვივნა დამოკიდებულია არა გარეგან მექანიკურ მიზეზებზე, არამედ იგი წარმოადგენს ორგანიულს პროცესს, ე. ი. ცნობილს ცვალებადობას, რომ მცენარეთა უჯრედებში ცხოველ მოქმედებას მოჰყვება მცენარის ნაწილის ჩამოშორება. მოლმა დაამტკიცა, რომ მცენარეებში ჩნდება ესრედ წოდებული „გამომყოფი ფენა“, რომლის ნაზი უჯრედები, შიგ მყოფი ნივთიერების ძლიერის მიწოლით, გაიჭიმება და შორდებიან ერთმანეთს ისე, რომ ნაპრალებს არ აჩენენ.

ფოთლების დაცვივნის მიზეზებისა და მისი ბიოლოგიური მნიშვნელობის გამოკვლევას დიდი ხანი არ არის რაც შეუდგნენ. ეს საკითხი პირველად **ვისნერმა** აღძრა და დაწვრილებითაც განმარტა.

ფოთლების დაცვივნა და სხვა მასთან შეერთებული პერიოდიული მოვლენანი უფრო ნათლად თავს იჩენენ ზომიერსა და ცივს ჰავაში—ზაფხულსა და ზამთარს შუა, ვიდრე ტროპიკულს ქვეყნებში, სადაც გარეგანი პირობები უფრო თანასწორია. მაგრამ არც ტროპიკული მცენარენი რჩებიან ყოველთვის უცვლელად, როგორც ეს შეცდომით ეგონათ წინად.

ჩვენ ვეცდებით მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს ის საბუთები, რაც მეცნიერებას აქვს ამ ჟამად ფოთლების დაცვივნის მიზეზთა და მის ბიოლოგიურ მნიშვნელობის შესახებ. ამის გარდა გავაცნობთ ფოთლების დაცვივნას ტროპიკულს ქვეყნებში, სადაც პირობები ისეთი რთული და არეულია, რომ მეცნიერებას არ შეუძლია დანამდვილებით მისი განმარტება.

ის დრო, როდესაც ჩვენ ხეებზე ფოთლები არ არის, ხეებისათვის დასვენების დროთ ითვლება. მაგრამ ზამთარშიაც სიცოცხლის მოვლენანი სრულიად არ ჰქრებიან. შიგნით მცენარეში მასალის განსაზღვრული გადატან-გადმოტანა ხდება. ზამთრობით ფოთოლ დაცვივნულ ხეებში მხოლოდ ზრდაა შეჩერებული.

ამ პერიოდულ ცხოვრების მოვლენათა განაწილების საფუძვლად უნდა მივიღოთ სხვა და სხვა მცენარის თავისებრივი შინაგანი თვისებანი. ეს თვისებანი მემკვიდრეობის წყალობით ფილოგენეტიურს განვითარებაში ისეთი მკვიდრნი შეიქმნენ, რომ თამამად შეუძლიათ გარეგან ცვალებად მოვლენათ წინააღმდეგობა გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიონ. სხვა შემთხვევებში ცხოვრების ცვალებადი პირობები თუ სრულიად ვერ მოსპობენ მის გავლენის ქვეშ მყოფ მცენარეთა ორგანიზმს, შეუძლიათ მოახდინონ შინაგან მემკვიდრეობით თვისებათა თანდათანი შეცვლა.

იმის მაგალითად, რომ მცენარეში შინაგანი ძალა და თვისება ძლიერია, მუხას და წიფელს დავასახელებთ. ჰავა კუნძულ იავაზე და მადეირზე იმდენად რბილია, რომ ამ ხეებს მთელი წელიწადი შეუძლიათ მწვანე ფოთლები შეინარჩუნონ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუხა იავაზე და წიფელი მადეირზე იცვლიან თავის მწვანე სამოსელს იმ დროს, როცა ჩრდილოეთში ზამთარია. ამის წინააღმდეგი შემთხვევა ვისნერმა აღნიშნა ბამბუკზე. მაშინ როცა ბამბუკი თავის სამშობლოში წლის განმავლობაში თანასწორად ჰყრის ფოთლებს, გრისაში, ბოცენის ახლო (ტირელში) გვიან შემოდგომაზე, სხვა ხეების ფოთლების დაცვივნის დროს, იგი უცბად ჰკარგავს მრავალს ფოთოლს.

ცნობილია, რომ ტროპიკულს ქვეყნებში ალუბალი მთელ წელიწადს ამწვანებულია. უკვე **ალექსანდრე ფონ-ჰუმბოლტი** გვაცნობებს, რომ კუმანში ვაზი მთელი წლის განმავლობაში შეფოთლილია და ნაყოფს ისხამს.

ამ შემთხვევებში ცხადია დამოკიდებულება, რაც არსებობს მცენარეთა პროცესისა და წელიწადის დროთა შორის.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ფოთლების დაცვივნის მიზეზად ჩვენში წელიწადის დროთა ცვლა მიიჩნდათ, სახელდობრ სიცივე. როცა სიცივე ყინვაზე გადადის, ამას შედეგად ხეებიდან ფოთლების დაცვივნა მოჰყვება.

მაგრამ შემოდგომაზე, ვიდრე ყინვები დაიწყებოდეს, აუარებელი ფოთოლი ცვივა ხეებს. ამ შემთხვევაში სიცივე, თუმცა თავის როლს ასრულებს, მაგრამ არ შეიძლება პირდაპირ და ერთად ერთ მიზეზად ჩაითვალოს. ვისნერს უნდოდა ცდის საშუალებით დაემყარებინა კავშირი ფოთლების დაცვივნასა და ორთქლების შორის. იგი იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ორთქლების შემცირება იწვევს ფოთლების დაცვივნას, მასთან ფოთლების დაცვივნა იმდენად ჩქარა ხდება, რამდენადაც ფოთლები მეტს წყალს უშვებენ. ამას სრულიად ეთანხმება ის ფაქტი, რომ მუდამ მწვანე ხეები ნაკლებ წყალს უშვებენ, განსაკუთრებით ფხოვანი მცენარეები, აგრეთვე მაგალითად ბზა და ირმის საკვნეტელა თავისი მოსქო ფოთლებით. ამას წინად დიგლერმა მოინდომა გაემტყუნებინა ეს ცდა, რაც 30 წლის წინად მოხდა; იგი ამტკიცებდა: ცდის დროს სრულიად ნესტიან შენობაში დახუშულ ადგილას შეგროვილი ნახშირმჟავე ხელს უწყობს ფოთლების დაცვივნასო; ასეთივე გავლენა აქვს, იმის აზრით, მჟავბადის შემცირებასაც. ვესნერმა ახალის ცდით გაამტყუნა დინგლერი. ამ სახით ორთქლების შემცირება შეიძლება იყვეს მიზეზი ფოთლების დაცვივნისა, ამას მართლა ადგილი აქვს მცენარეში, რომლის ფოთლებიდან ბევრი წყალი გადის ორთქლის სახით.

მაგრამ სიცივე ამცირებს ორთქვლას; ასეთსავე გავლენას მოახდენს შემოდგომაზე სხვა გარეგანი მომენტებიც, როგორც სინათლის სიძლიერის ნაკლებულება და ჰაერში სინესტის გამრავლება.

ორთქვლის შემცირების პირდაპირ შედეგად, ვისნერის აზრით, ფოთლების უჯრედებში სითხის შეჩერებაა; ამას კი მოჰყვება მრავალი ორგანიული სიმჟავის გაჩენა, რომელიც ცალკე ფენაში გამოი-

წვევს მაცერაციის (დასველების) პროცესს და ამ სახით ხელს უწყობს ფოთლების დაცვივნას.

თუ აორთქვლის შემცირებას ფოთლების დაცვივნა მოჰყვება, მაშინ ნიადაგის სიმშრალესაც იგივე გავლენა უნდა ჰქონდეს, რაც იმ პირობათა კომბინაციას, რომელიც იწვევს ჩვენში შემოდგომით ხეებიდან ფოთლების დაცვივნას. მართლაც ტროპიკულს ქვეყნებში, ძლიერ გვალვის დროს, მცენარეები ისე ისვენებენ, როგორც ზამთარში ზომიერი ქვეყნების ფოთლიანი მცენარეები.

ამით აიხსნება ფოთლების დაცვივნა გვალვის გამო ე. ი. ფოთლების დაკარგვა შედეგია ზაფხულის სიცხისა, რომლის დროსაც მზის სხივები მცენარეებს ძლიერ აცხელებს. ერთის შეხედვით ფოთლების დაცვივნის მიზეზი ბევრი აორთქლებაა, მაგრამ უფრო დაწვრილებით დაკვირვებიდან სჩანს, რომ საქმე სულ სხვა ყოფილა. მზის ცხოველ სხივებს და მისი გავლენით გამოწვეულს ბევრს აორთქლებას არ შეუძლია ფოთლების დაცვივნა გამოიწვიოს, თუ ამავე დროს დაკლებულს წყალს ნიადაგი შეუვსებს. ასე რომ ქუჩაში დარგული ხეები, სიცხის გამო, ხშირად ჰკარგავენ ფოთლებს, მაშინ როდესაც იმნაირივე ხეები, სველ მიწაში ჩარგული, ახალის ფოთლებითაა შემოსილი. ამ სახით ფოთლების დაცვივნა გამოწვეულია აორთქვლის შეჩერებით, უწყლოობის გამო. ხლოროფილის უწესოდ განფენილობა ფოთლებში არ შეადგენს ფოთლების დაცვივნის მიზეზს, იგი შედეგია უწყლობისა. ეს მტკიცდება იმ ფაქტითაც, რომ წყლიან ადგილას ამოსული ხეები საღად რჩებიან ძლიერი გვალვის დროსაც.

მაგრამ ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტები ვერ შეიცავენ კიდევ ყველა მოვლენებს.

სულ სხვას წარმოადგენს „ზაფხულში ფოთლების დაცვივნა". არც ხასიათით, არც მისი დამახასიათებელი თვისებით მას არავითარი საერთო არ აქვს ფოთლების დაცვივნასთან, რომელიც სიცხის გავლენით ხდება. უკანასკნელ შემთხვევაში ხე უცბად მოკლე ხანში ჰკარგავს ბევრს ფოთოლს; ზაფხულის ფოთლების ცვივნა იწყება ზაფხულის დასაწყისშივე, დაახლოებით ივლისის დამდეგში; თუმცა ხე ბევრს ფოთოლსა ჰკარგავს (გარეული წაბლი 30%, Acer dasycarpum—10%), მაგრამ ეს პროცესი დიდხანს გასტანს, სახელდობრ მთელს ზაფხულს. მკვდარი ანუ მომაკვდავი ფოთლები მუდამ სცვივა ხეებს. ამ მოვლენას სულ სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ფოთლების დაცვივნას, რომელიც გამოწვეულია სიცხის გამო, რადგანაც მას არავითარი კავშირი აქვს არც სიცხესთან, არც გვალვასთან.

ვისნერს ზაფხულობით ფოთლების დაცვივნის მიზეზად ის მიაჩაია, რომ მცენარე ნაკლებ სინათლეს შთაინთქავს, ამას ადგილი აქვს ასტრონომიულის ზაფხულის დროს—ე. ი. როცა შუადღისას მზე ვერ აღწევს უმაღლესს წერტილს და, მაშასადამე, ვერ ათბობს მიწას ისე ძლიერ, როგორც წინად ათბობდა.

ზაფხულში ფოთლები ყველა ხეს არ ცვივა, არამედ ისეთებს, რომლის ფოთლებიც ჩრდილში ძლიერ გრძნობიერია ე. ი. კვდება ნახშირ-მჟავის ასსიმილაციის, შეფარდულობის შეჩერების დროს. ისეთი ხეები, რომელნიც ჩრდილში უგრძნობია და რომლის ფოთლები არ კვდება ასიმილაციის შეჩერების დროს, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიცდიან ზაფხულის ფოთლების დაცვივნას; მაგ. დაფნა.

თუ მაისში და ივნისში ხშირი ღრუბლიანი დღეები იყო, ფოთლების დაცვივნა ზაფხულის დამდეგამდინაც შეიძლება. იგი თანდათან არ გადადის შემოდგომის ფოთლების დაცვივნაში. უფრო გაძლიერებული დაცვივნა ფოთლებისა, ცოტად თუ ბევრად სწრაფად, შემოდგომაზე დაიწყება მაშინ, როცა ამისათვის საჭირო პირობები შეგროვდება.

ძლიერ საინტერესოა ამ მხრით წიფელი, რომლის ფოთლების განვითარება სრულდება რამდენსამე კვირით წინ ზაფხულის დაწყებამდის. ზაფხულის ფოთლების დაცვივნა იწყება ძლიერ გვიან, დაახლოებით აგვისტოს ბოლოში.

როგორც ვსთქვით, დაფნა არ განიცდის ზაფხულში ფოთლების დაცვივნას ზემო აწერილის ტიპიურის სახით. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ზაფხულშიც საკმაო ფოთლებს ჰკარგავს. ამასაც სხვა მიზეზთან აქვს კავშირი. დაფნას, როგორც სხვა მუდამ ამწვანებულს მცენარეებს, ფოთლების დაცვივნის დრო უდგებათ ზრდის დროს. ასეთი მოვლენა მხოლოდ მუდამ ამწვანებულს მცენარეებში შეინიშნება. ამ სახეს ფოთლების დაცვივნისას ვისნერი „ზრდის ხანას“ უწოდებს (Treiblaubfall). იგი შველის ფოთლებიდან განთავისუფლებას იმ ხეებს, რომლისთვინაც ჩვეულებრივი გარეგანი გავლენა საკმაო არ არის, მაშასადამე მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ მცენარისათვის, რომელსაც ჩრდილი უყვარს. ფხოვანი ხეები იშორებენ თავიანთ ფხოებს უმთავრესად ამ სახით. რაც შეეხება საკითხის ფიზიოლოგიურსა და ანატომიურს მხარეს, ჯერ ჯეროობით ამის შესახებ ვისნერს არა უთქვამს რა.

მრავალი წლის დაკვირვებისა და სხვა და სხვა გვარ გამოკვლევის მიხედვით ვისნერი შემდეგს დაასკვნის:

1. ფოთლების დაცვივნა არ ხდება მაშინ, როცა ხე და ფოთლები ერთსა და იმავე დროს კვდებიან, მაშასადამე ეს შეეხება ყველა ერთი დღის, მომეტებულს ერთი წლის და ორი წლის და საზოგადოთ ერთ ნაყოფიან მცენარეებს.

2. ფოთლების დაცვივნა არ ხდება თითქმის ყველა ბალახიდან, არამედ ხეებიდან, სახელდობრ ისეთებიდან, რომლებიც კვირტების დიდათ განვითარების გამო, საჭიროებენ ბევრს სინათლეს, ეს მოთხოვნილება კმაყოფილდება ფოთლების დაცვივნით. იმ ხეებს, რომლებიც ფოთლების მოყვანილობით არ განიცდიან სინათლის სიცოტავეს, მაშინაც კი, როცა შეფოთლილნი არიან, ცოტა ფოთლები ცვივა, ან სულ არა (ვისმენის აზრით უფრო თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ ფოთლების ჩამოშორება აძლიერებს მცენარის კვირტის განათებას).

მუდამ მწვანით შემოსილი მცენარეების კვირტები სინათლის დიდი მოთხოვნილების გამო კენწეროზეა.

3. ფოთლების დაცვივნა სხვა მცენარედან, გარდა ხეებისა, შეიძლება მაშინ, როცა მცენარე ხშირად არის შეფოთლილი და ზოგი ფოთოლი სინათლეს დაშორებულია, რაც საჭიროა ნახშირმჟავის ასსიმილაციისათვის.

4. ხეებს თუ სინათლე აკლია, რაც საჭიროა ნახშირ მჟავის ასიმილაციისათვის, შეიძლება ფოთლები მალე დასცვივდეს.

5. ხეებს ცოტად თუ ბევრად სწრაფად სცვივა ფოთლები მაშინ, თუ დაზიანებულია, ან მკვდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ხეებს ყველა ფოთოლი ცვივა მაშინ, თუ განკითარებულია ისეთს პირობებში, რომელშიაც მისი ნორმალური ფუნქცია შეუძლებელია.

ამ კანონს მნიშვნელობა აქვს ყველაზე უფრო ზომიერ ჰავის ქვეყნებში, სადაც დაკვირვება მოუხდენიათ. ზოგი მათგანი, როგორც ქვევით დავინახავთ, შეიძლება გამოვიყენოთ ტროპიკული ქვეყნების პირობებშიაც. მაგრამ მე შემიძლია დავასახელო ტროპიკული მცენარის მაგალითი, რომელიც უარს ჰყოფს ვისნერის მეექვსე კანონს.

მანგროვის ხეების უფრო ძველი ფოთლები იღებს უფრო მეტს მარილს, ასე რომ ასიმილაციის ფუნქცია ჰქრება. მაგრამ ამას მცენარე არ იშორებს, არამედ სხვა ფუნქციას ასრულებინებს ფორმის შეუცვლელად. იგი მცენარისათვის წყლის საკუჭნაოს შეადგენს.

ფოთლების დაცვივნის მოვლენა ტროპიკულს ქვეყნებში იმდენად რთული და სხვა და სხვა გვარია, რომ მცირე დაკვირვებამ, რაც დღემდის მოახდინეს მეცნიერებმა, ვერაფერი არსებითი ვერა მოგვცეს რა. მაგრამ მკითხველისათვის საინტერესო იქნება თვალი გადაავლოს ტროპიკულს ქვეყნებში ფოთლების დაცვივნის მოვლენის საოცარს სხვა და სხვაობასაც.

პირველად ამას შიმპერმა მიაქცია ყურადღება. იგი დაუკვირდა მცენარეს Caesalpiniacae-ს, რომელიც ფოთლების დაცვივნით თვალში ეჩხირება ადამიანს. სამ ხეს, რომელიც მწკრივად იდგა Poinciana regia, შენიშნავთ შემდეგს: ერთი მათგანი ლარიბია ფოთლებით, მაგრამ ბრწყინავს წითელი ყვავილებით, მეორეს ჩვეულებრივად ფოთლები აქვს, მესამეს კი ჰკიდია გრძელი მიხაკის ფერი პარკები. მოხდება ისეც, რომ ერთი მხარე მხოლოდ ახლა ჰყვავის, მეორე მხარეზე კი მწიფე ნაყოფია.

საზოგადოთ ტროპიკული მცენარეების დამახასიათებელი არის ის თვისება, რომ ხეების განვითარების ხანა თანასწორად არ სწარმოებს ცენტრიდან, ცალკე ტოტები, ან ტოტების სისტემა დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ამას ხშირად შეატყობთ ბამბის ხეზე (Ceiba pentandra). იგი დასავლეთ აფრიკაში გვალვის დროს დეკემბერში და იანვარში უფოთლოდ ჰყვავის. აყვავების შემდეგ ფოთლებს გამოისხამს. ხშირად შენიშნავ ტოტები სრულიად მწვანეა, ხოლო ხე კი თეთრმოყვითალო ყვავილებით არის დაფარული. მცენარის, Carcinia Xantnochymos (Ciuttifere) ორ ძირზე, რომელიც მოტანილი იქმნა კამერუნში ენკენისთვის ბოლოში შევნიშნე, რომ თითო ყლორტი აღმოსავლეთის მხრით აღმოაჩნდათ. მეზობელმა ჩირგვმა კი ყლორტები ყოველმხრით გამოუშვა.

ამის მსგავსს შემთხვევებს გვაცნობებს ფოლკენსი კუნძულ იავიდან. არიან—ისეთი ჯიშის მცენარეები, რომელთაც, ყოველ დროს, როცა უნდა დაუკვირდეთ, ბევრი ტოტი ნორჩი ფოთლებით აქვთ შემოსილი, დანარჩენი ტოტები კი განუვითარებელი რჩება. ეს თვისება ხშირად ეტყობა ლამაზს, მრგვალს და თავქოჩრიან Mongifera índica-ს, რომელსაც ნაყოფისათვის აშენებენ.

ხშირად გაიგონებთ, რომ წვიმიან ტროპიკულს ჰავაში ბუნება არასოდეს არ ისვენებს და განვითარება და სიკვიდილი, სიკვდილი და განვითარება დამოუკიდებლად მიჰყვება ერთმანეთს. ხშირად საქმე ასე არ არის. ეს ხანდახან მართალია, როცა საქმე ფოთლების გაჩენას და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვივნას ეხება. ფოლკსენი ამტკიცებს, რომ მცენარეები Albizzia moluccana (ლობიოს ჯიშის მცენარეა) და Xilicium décipiens მუდამ გამოიღებენ ყლორტებს. ტოტების კენწეროში მუდმივ ჩნდება ფოთლები, რადგანაც ძველი ფოთლები თანდათან ცვივა. იგივე შემიძლია ვსთქვა Cedrela odorata-ს შესახებაც. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ როგორც Albizzia moluccana, ისე Cedlera odorata-ც ისეთი ხეებია, რომელიც გასაოცარ სწრაფად იზრდება. რაკი ფოთლები თავისს ასსიმილაციის ფუნქციას შეასრულებს, მაშინვე დაცვივა, რადგან კენწეროზე ახლად გაჩენილი ფოთლები უჩრდილებენ და მზის სხივებს არ აკარებენ.

ადვილი შესამჩნევია, რომ ერთმანეთზე მიჭდომილი ფოჩიანი ძირის ფოთლები, რომელსაც ნახევარი მეტრი სიგრძე აქვს, ხის ჩქარი ზრდის დროს დაჩრდილულია მზისაგან ახალის ფოთლებით.

მაგრამ ტროპიკულს ტყეში ხშირად შეამჩნევთ დრო გამოშვებით შეფოთვლას. არის ისეთა ხეები, რომელსაც რამდენიმე თვე ფოთოლი არ აქვთ. ხშირად ამ დროს განმავლობაში, ან ბოლოში ეს ხეები ყვავილს მოისხამენ. ეს დროგამოშვებითი ცვლილება მოხდება წვიმისა და გვალვის შუა ხანებში; ეს ისეთი ცვლილებაა, რომელსაც ტროპიკულს ქვეყნებში ხშირად შენიშნავთ. გვალვის დროს ხეები გატიტვლებულია. ჩვენთვის გაუგებარია, როგორ უნდა მოქმედებდეს წელიწადის დროთა ცვლილება; ყოველ შემთხვევაში არ აორთქლების შემცირებით, რადგანაც ტროპიკული ქვეყნების ნიადაგი გვალვის დროსაც გაჟღენთილია წყლითა. ფოთლის განვითარებისა და ხის აყვავების ხანის გაყოფას შეიძლება მივაწეროთ ცნობილი ბიოლოგიური მნიშვნელობა მცენარის ცხოვრებაში. ხშირს ფოთლებით შებარდნულს ტროპიკულს ტყეში უფოთლო ხის ყვავილები, რასაკვირველია, თვალში გვეჩხირება.

ფოთლების დაცვივნის დრო იწყება ორჯელ ან რამდენჯერმე წელიწადში; ამ ფაქტს დიდი კავშირი აქვს მცენარის შინაგან მიდრეკილებასთან, ვიდრე წელიწადის დროსთან. საქმე ის არის, რომ კამერუნშიაც იცის დიდი და პატარა დროგამოშვებით წვიმები და ამის მიხედვით დროგამოშვება დიდსა და პატარა გოლვას შორის. მიუხედავად ამისა კამერუნის ხეები მხოლოდ ერთხელ იცვლიან წელიწადში ფოთლების სამოსელს; მაშინ როცა მე დავკვირვებივარ, რომ ზოგი ჯიში ficus-ისა იცვლის ფოთლებს წელიწადში რამდენჯერმე. ეს ჩემი დაკვირვებანი სრულიად ეთანხმებიან ფოლკსენის დაკვირვებას იავაზე. ამ სახით ერთსა და იმავე გარეგანს პირობებში, მაგრამ სხვა და სხვა მცენარეებს ფოთლები ცვივა წელიწადში ან ერთხელ, ან რამდენჯერმე. და გარემოებანი, რომელნიც თან ახლავან ამ მოვლენათ ერთნაირია მონათესავე მცენარეთათვის, რომელნიც სხვა და სხვა მხარეში იზრდებიან.

ხეს გატიტვლება სხვა და სხვა ნაირად შეუძლია. ან ფოთლები ცვივა ყველა ტოტებიდან ერთსა და იმავე დროს, ასე რომ ცვივნა ფოთლებისა შეიძლება კენწეროდან ძირისკენ; ან და დღეს ერთი ტოტი ჰკარგავს ფოთლებს, ხვალ—მეორე. ფოთლების დაცვივნის ხანგრძლივობა რამდენსამე დღეს ან თვეს გასტანს. ის დროც, როცა ხეები გატიტვლებულია, სხვა და სხვა ნაირია Albizzie lebbek-ს, რომელიც, როგორც მგონია, არასოდეს გატიტვლებული არ მინახავს, ფოლკონსის სიტყვით, ექვსი თვის განმავლობაში

ფოთოლი არასხმია. Ceiba gnntadra კამერუნში ორი თვე უფოთლოდ იყო.

თუ ეს ხანა ისე შემოკლდება, რომ ახალ ფოთლების ამოსვლა იწყება მაშინვე, როცა ძველი დაცვივა, მაშინ ამ გვარი ფოთლების დაცვივნა იქნება გამოწვეული ზრდის გავლენით, რაც ვისნერს აქვს აწერილი და შესაძლებელიც არის ასე ავხსნათ. ამის დაკვირვება შეიძლება Terminalia Catappa-ზე, ეს ესრედ წოდებულს ინდოეთის ნუშის ხეზე Cmabretaceae-ზე, აგრეთვე ფიკუსის ზუგიერთს ჯიშზე. ეს ჯგუფი ტროპიკულ მცენარეებისა მეტად დიდია.

მაგრამ ხეს ყლორტების გამოღება უიმისოდაც შეუძლია, რომ ძველი ფოთლები დაცვივდეს. ბოტანიკურს ბაღში, ვიკტორიაში (კამერუნი) მცენარეს ficus Indica-ს 8 ენკენისთვეს ბევრს ტოტზე ჰქონდა ნორჩი მოყვითალ-მომწვანო ფოთლები და იმავე დროს შემოსილი იყო ხშირი ძველი, მაგრამ სრულიად საღი ფოთლებით. ასე იყო 14 და 29 ენკენისთვესაც.

ბიოლოგიურის მხრით მეტად საინტერესოა დასავლეთ-აფრიკის ფლაკურცია (Barteria fístulosa). მსხვილი ტანი, სიმაღლით 8—10 მეტრამდის ტოტებს სწორი კუთხით ჰგზავნის გვერდებზე; ეს ტოტები ძირში რამდენსამე სანტიმეტრზე სქელია, შემდეგ გაიწევს ერთი მხრით და შეადგენს წვრილს ხის ქერქს, შუაში რბილი გული აქვს, რომელსაც დიდი შავი ჭიანჭველები ღრღნიან. ამ გვერდების ტოტებს ერთი მეტრის სიგრძე აქვს, ზედ ასხია 8—10 ფართო ძირიანი დიდი ფოთოლი.

იმის შემდეგ, როცა ნაყოფი დამწიფდება და დაცვივა, ფოთლებიც შორდებიან და შემდეგ არ ჩნდებიან იმავე გვერდის ტოტებზე. საქმე ის არის, რომ ამ ტოტს ახლა კვირტი არ აქვს. გვერდის ტოტებს ისე უნდა უყურებდეთ, როგორც შემდეგ განვითარებას მოკლებულს მოგრძო ყლორტებს; ფოთლების დაცვივნის შემდეგ ისინიც შორდებიან ტანს. ზრდის შემდეგს ხანაში იზრდება გვერდის ტოტების ახალი სართული და ასე შემდეგ-შიაც. ამისგამო ძირს ხეზე ტოტები არ არის, მხოლოდ ხის კენწეროში მოსჩანს ლამაზად გვერდის ტოტები.

ყველა ეს მხოლოდ ზოგიერთია დროგამოშვებით მოიავარ მოვლენათა ტიპებისა ტროპიკულ მცენარეების ცხოვრებაში. ის გვიმტკიცებს, რომ ძველი წარმოდგენილება მუდამ მწვანე ხეებზე ტროპიკულს პირველ-ყოფილს ტყეში მართალი არ არის; ის გვიჩვენებს აგრეთვე, რომ სწორედ ტროპიკის ქვეშ ფოთლების დაცვივნის მოვლენა უფრო სხვა და სხვა გვარია და მეტად რთული, ვიდრე ჩვენს ზომიერ ჰავაში.—

კახაბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაური მიმოხილვა

ჩვენებური საბავშვო ბაღის ბედ-იღბალი. ქალაქის სკოლების უკულმართი ნაბიჯი. უფასო სასადილო ქართულს გიმნაზიაში

ლიდის რიხით და იმედით მივეგებეთ საბავშვო ბაღს, რომელიც გახსნა ამ სამიწლის წინად თავის სახელობაზე პატივცემულმა ქ-მა ანასტა-სია გედევანიშვილისამ. ჩვენ გვაფრთოვანებდა იმედი, რომ ქართველ დედებს გამოთხიზლება დაეტეოთ და შვილების აღზრდის მოვალეობას გონივრულად შეუდგნენ. ვიცოდით ისიც, რომ ძნელსა და ჯერ კიდევ ჩვენში მოუწყობელს საბავშვო ბაღს დიდი გამჭრიახობა, საქმის ზედმიწევნით ცოდნა, სიყვარული და გამოცდილება ესაჭიროებოდა. ვიცოდით ისიც, რომ აუცილებელია თავდაპირველად ახალი საქმის შეუცდომლად წაყვანა, მაგრამ გვეგონა მცირე რამ შეცოდებანი თან და თან გასწორდებიან და ეს ერთად ერთი საბავშვო ბაღი ბოდოს მაინც შეერთებულის ძალდონით სასურველად მოეწყობოდა და სამაგალითოდ გახდებოდა. ბავშვობა უპირველესი და სანეტარო დროა კაცის ცხოვრებაში და მართლაც ვისაც ეს დრო რიგიანად მოუხმარია, ვისაც ბავშვობაშივე ჩაუნერგავს გულში სასიკეთო რამ, მას შემდეგში ვერაფერით ამოფხვრით. ასე ძლიერია ბავშვის შთაბეჭდილება და ვინც ამაში ბავშვს ხელს შეუწყობს, იგი მოკეთეა, როგორც ბავშვებისა, ისე საზოგადოებისა.

დიად, დიდი იმედი გვქონდა, რომ საბავშვო ბაღი იხეირებდა და შესაფერს ნაყოფს მოგვცემდა. რა გაკეთეს, ან რა ნაყოფი მოიტანა დღემდის ამ საბავშვო ბაღმა, ამის განხილვას ჩვენ ამ ჟამად არ შეეშუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ჩვენმა იმედებმა და მოლოდინმა ჩაიდუდის წაყალი დადიეს და ჯერჯერობით საბავშვო ბაღს სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობა; საზაფხულოდ დასვენების შემდეგ საუკეთესო დრო ბავშვებისათვის — შემოდგომა გადის და საბავშვო ბაღის აღორძინების კვალი არსად სჩანს.

საბავშვო ბაღთან არსებობდა ესრედ წოდებული მშობელთა საზოგადოო წრე, რომელიც განაგებდა ბაღის ნივთიერს მხარეს და ზედაგოგიურს საკითხებშიაც მონაწილეობას იღებდა. ვინ იტყვის, რომ ასეთი წრე მშობელთა უსარგებლო ყოფილიყო იმ ძნელი საქმის რიგიანად წარმოებისათვის, რასაც საბავშვო ბაღი წარმოადგენს. სწორედ ამ მშობელთა წრისა და საბავშვო ბაღის ოფიციალური კავშირის შორის უთანხმოებას მოუღია ბოლო ამ ფრიად საჭიროებლო და საშვილიშვილო დაწესებულებისათვის. აქლემები წაიკიდნენ და შუაში კოზაკი გაჭყლეტესო რომ იტყვიან, სწორედ ეს ბედი ეწია ჩვენებურს საბავშვო ბაღსაც. ბაღის გამგესა და მშობელთა წრის შორის უთანხმოებას, მგონია, ბრინციპიალური ხასიათი აქვს. მშობელთა წრის უმრავლესობა ამტკიცებს მესამე წელიწადს 6—7 წლის ბავშვმა წერა-კითხვაც რომ შეისწავლოს, საჭიროც არის, სასურველიც და სასარგებლოც. სწორედ ამ ბრინციპს ეწინააღმდეგება საბავშვო ბაღის გამგე ქ-ნი ანასტასია გედევანიშვილისა. ერთის შეხედვით თითქოს ძნელი არ უნდა იყოს მორიგება, ან დათმობა, რასაც ყოველი საზოგადო საქმე მოითხოვს, რომ საქმე არ შეფერხდეს, თუ კი ამ ზედაგოგიური საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა მავნებელი არ იქნება ბავშვებისათვის. მაგრამ ყოველგვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდა შეთანხმებისა ამაოდ გამხდარა. რაკი შეთანხმება არ მომხდარა, მშობელთა წრეს აუდია ნებართვა მასწავლებელ ქალის თ. დომოურის ასულის სახელობაზე საბავშვო ბადის გახსნისა. ამ სახით ნებართვა გვაქვს ორი საბავშვო ბადისა, საქმით კი არც ერთი არ არსებობს და იარსებებს თუ არა ადამა უწეის!

ქ-ნი ანასტასია გედევანიშვილისა ენკენისთვიდან აცხადებს გაზეთებში და იწვევს მშობლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი კი არა სჩანს რა. ნუ თუ მშობლებმაც გული აიტრუეს საბავშვო ბადზე. ეს ხომ ჩვენი უფრო დაბეჩავების ნიშანი იქნება!

ქართული საბავშვო ბადის მართვა-გამგეობის მოკლე ისტორია სრული დამახასიათებელია ჩვენი მოუმზადებლობისა კულტურულ მუშაობისათვის, ჩვენ არ გვეხერხება კოლეგიალურად მუშაობა, რაც აუცილებლად საჭიროა ყველა კულტურულს დაწესებულებაში. რასაც განათლებულ ქვეყნებში მუშაკთა კრებული აკეთებს და მით საქვეყნო საქმე ელვის სისწრაფით წინ მიდის, იმას ჩვენში თითო ოროლა მოდვაწე კერძოდ ჩაჭკირკიტებს და კოლეგიურ შრომაში რომ ჩაებას, ან პირად შეურაცხყოფას ვერ აიცდენს, ან მის ნაშრომს მისი ამხანაგის მხრით განადგურება მოელის. ასეა ჩვენში კულტურული საქმეები და ჩვენ კი თავი მოგვაქვს, მარაქაში ვერევით, თითქოს მართლა საქმეუნო საქმეებს ვაკეთებდეთ.

*
* *

საბავშვო ბადს თავი დავანებოთ და თუ გნებავთ ცოტა ხნით შებრძანდით ქალაქის პირველ დაწყებითს სკოლებში. ვინ იცის რამდენ ტანჯვა წამებას განიცდიან საცოდავი ქართველი ბავშვები ამ სკოლებში რუსული ენის უხეირო სწავლებისა და უვარგისის სასელმძღვანელოების წაკითხვით. ცხადია ამ სასწავლებლების ხელმძღვანელებს გამგე „პედაგოგიჩკებს“ არავითარი სადი წარმოდგენა არ აქვთ რუსული ენის სწავლების წესიერად დაყენების შესახებ ქართულს სკოლებში; ამას ცხადად ამტკიცებს ის ფაქტი, რომელმაც თავი იჩინა ამ სამოსწავლო წლის დასაწყისში ქალაქის ზოგიერთ დასაწყისს ქართულ სკოლებში რუსული ენის სახელმძღვანელო წიგნების არჩევაში. ამ მხრით უმეტესობა ქალაქის სკოლის გამგე მასწავლებლებისა ნამდვილს სიბეცეს იჩენს. საჭიროა რუსულ ენაზე რუსთა ბავშვებისათვის გამოიცეს რომელიმე ახალი სახელმძღვანელო, მაშინვე განურჩევლად დაატხრეიან, „прелесть учебникъ“-ო გაიძახიან და, როგორიც უნდა იყვეს, შეაქვთ სახელმძღვანელოდ სკოლებში, არ შინჯვენ კრიტიკულად, არ ათასებენ მუშტრის თვალით, არ ზომავენ პედაგოგიურის თვალსაზრისით თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის რუსული წიგნი რუსულის სწავლებას ქართულს სკოლებში, შედეგად ყველა ამას, რასაკვირველია, ბავშვების ტანჯვა, მუნჯური მეთოდით ტვინის გამოლაყება, მასწავლებლების ბრაზიანობა, რუსული ენის სწავლების სიკოჭლე და სხვა მრავალი არა სასურველი შედეგი მოჰყვება ხოლმე.

როცა სკოლის ხელმძღვანელი მასწავლებლები ასეთს პედაგოგიურს უვიცობას იჩენენ, როცა სკოლებში შეაქვთ ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც ბავშვს ჭკუა-გონებას უხშობს, ვინ არის პატრონი ამ შემთხვევაში, ვინ არის ნამდვილი მზრუნველი, რომ სკოლა ნამდვილ სასიამოვნო, სასურველი დაწესებულება იყვეს ბავშვებისათვის და არა წამების ადგილი; რასაკვირველია პატრონი ის არის, ვინც სკოლას ინახავს, ვინც ფულს ხარჯავს სკოლაზე, ამ შემთხვევაში კი ქალაქის გამგეობა, მაგრამ ტყვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობას და ჰედაგოგიურს სიბეტეს ხედავს ქალაქის სკოლებში რუსული ენის სახელმძღვანელოების არჩევაში; სჩანს სასკოლო კომისიას არაფერად ეჩრიანება ეს საკითხი, თორემ იმას მაინც ითავებდა, მოუწვია მასწავლებელთა კრება, გაემართა კამათი სახელმძღვანელო წიგნების არჩევაში, გამოეტანათ საზოგადო საერთო დასკვნა და შემოედოთ ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც ბავშვებსაც სწავლას გაუადვილებდა, ხალისს შემატებდა, ენას შეაყვარებდა, მასწავლებლებიც ტანჯვას ასცდებოდნენ და რუსული ენის სწავლებაც სკოლებში წარმატების გზით იგლიდა. მაგრამ სჩანს სასკოლო კომისია ამისთვის თავს არ იტკივებს და სკოლებს ამ მხრითაც უპატრონოთა სტოვებს.

წელს მოსკოვში მასწავლებლებმა ე. ფორტუნატოვამ და ლ. ფლეგერმა გამოსცეს რუსული ანბანი რუსის ბავშვებისათვის სახელწოდებით „Первые шаги“. ეს წიგნი ჩვენს რედაქციას საჩეტენზიოდ გამოუგზავნა სხვა წიგნებთან ერთად ცნობილმა გამომცემელმა გორბუნოვ პოსადოვმა. წიგნს თან მოჰყვა ამერიკულ გეზეთზე შედგენილი რეკლამები. ანბანი ვითომ ექსპერიმენტალურ მეთოდზეა შედგენილი, მაგრამ შიგა და შიგ დირსებასთან ერთად იმდენი ჰედაგოგიური შეუსაბამობაა, რომლის გამო არა მგონია რუსეთში ამ ანბანმა დიდი ბაზარი მოიპოვოს. მით უფრო უვარგისია იგი ჩვენი სკოლებისათვის, რომლის მიზანი სულ სხვაა და საშუალებაც შესაფერისი უნდა ვიხმაროთ. თვითონ ამ ანბანის ავტორებიც კი, უეჭველია, გაოცდებოდნენ, რომ იცოდნენ იმათ ანბანს ჩვენებურს სკოლებში ხმარობენ სახელმძღვანელო წიგნად, რადგანაც მათ რუსის ბავშვებისთვის შეადგინეს ანბანი ⸗ არა უგვლა ერეოვნებისთვის. მართალია, მათ ეს ანბანი დაუახლოვეს რუსის ოჯახის ცხოვრებას და სკოლას, ანბანში შეიტანეს ბავშვების თვით მოქმედება და შემსუბუქება იმ სიძნელისა, რაც ბავშვს ედობება წინ კითხვის პრობლესის დროს, მაგრამ ეს უგვლა კარგი ხერხი, ჩვენი ბავშვებისათვის გამოუსადეგარია, რადგან ჩვენს ოჯახსა და რუსის ოჯახს შორის დიდი განსხვავებაა და ჩვენმა ბავშვებმაც მშობლიურს ენაზე კითხვა უკვე იციან და კითხვის პროტესიც უკვლა ენაზე ერთი და იგივეა.

ჩვენში კი, როგორც მოგეხსენებათ, ოდონდ უცხო ვინმემ რამე უდღეური გამოჩეკოს და მოკეთე და მზრუნველი ჩვენს „ჰედაგოგიჩკებში“ არ გამოელევა. ასე მოუვიდა „Первые шаги“-ის ანბანსაც, რომლიც ეოვლის მხრით დაშორებულია ჩვენებური სკოლების მოთხოვნილებას და მისი შემოღება არა თუ მუნჯური მეთოდის გამეფებას შეადგენს, არამედ ეოვლეგვარ ჰედაგოგიური კანონის დარღვევასაც.

ამას წინად კიკნაძის მადაზიაში შევიარე და ვიკითხე რა სახელმძღვანელოებს ხმარობენ ქალაქის დასაწყისს სკოლებში მეთქი. სხვათა შორის მითხრეს პირველად ვერის ქართული სკოლისათვის გამოგვწერინეს „Первые шаги“, და შემდეგ სხვებიც თხოულობენო. ეტეობა ეს „პირველი სახითათო ნაბიჯი“ პირველად ვერის სკოლაში შემოუღიათ ამ სამოსწავლო წლის დასაწყისიდან და შემდეგ სხვა სკოლებსაც მიუბაძავთ.

ჩვენ გვაოცებს ერთი გარემოება, ვერის სკოლის გამგე ქ-ნი თ. ჩიჯავაძის ასული კარგი ხნის გამოცდილი მასწავლებელია, მან კარგად უნდა იცოდეს სახელმძღვანელოების დირსება და ნაკლიც; უნდა იცოდეს, რომ რუსული ენის შესასწავლად ჩვენებურს სკოლებში განსაკუთრებული სახელმძღვანელოა საჭირო, უნდა იცოდეს ასეთი სახელმძღვანელოების არსებობაც, უნდა იცოდეს, რომ ოავდაპირველად რუსული ენის შესწავლა ეოვლ გვარ სახელმძღვანელო წიგნით შეუძლებელია და ბავშვის გონების დამამახინჯებელი. ნუ თუ მისმა გამოცდილებამ ამ „პირველ ნა-

ბიჯამდის“ ჩამოიქვეითა! ვერ გაგვიგია თუ რაგვარ შედგოგიურს მოსაზრებას ხელმძღვანელობდა ეს დამსახურებული მასწავლებელი, როცა სკოლაში ადგილს აძლევდა ისეთს წიგნს, რომელიც ჩვენი ბავშვებისათვის სახელმძღვანელოდ, ჩვენის აზრით, ეოვლად უვარგისია და გამოუსადეგარი. თუ ქ-ნი თ. ჩიჯავაძის ასული და სხვებიც, ვისაც კი ეს წიგნი ჩვენი სკოლებისათვის საუკეთესოდ მიაჩნიათ და უკეთესს კი ვერა ხედვენ, მოისურვებენ და აგვიხსნიან ამას, „განათლების“ რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს ჟურნალში ადგილს მათს განმარტებას. ჩვენ კი ისეთს გარემოებაზე, რომელიც ჩვენი მოზარდ თაობისათვის მავნებლად მიგვაჩნია, მივუთითებთ მშობლებს, განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას და უველა შეგნებულ პირთ ანგარიში გაუწიონ ამ გვარ დუხჭირ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში, სამუდამოდ დაჭგმონ სწავლების დროს უმსგავსი და ბავშვისთვის მავნებელი საშუალებანი და მისი მომხრე ადმზრდელ მასწავლებლებიც.

* * *

ვინც დაჭვირვებია ჩვენი დარიბი ხალხის ცხოვრებას, შენიშნავდა, რომ იგი არა თუ სულ სულიერ საზრდოს, რიგიანად სხეულის საზრდოსაც მოკლებულია. ვინ იცის რით და როგორ იკვებება ბევრი სტოდავი ოჯახი და მათი შვილები. ამ უკანასკნელთ, ხორციელ საზრდოს მოკლებულთ, სკოლებში ისეთის სულიერ საზოგიით უმასპინძლდებიან ხშირად როგორც „Первые шаги“ და მისი მაგვარი სახელმძღვანელოებია და საკვირველია ჭეშმარიტად, თუ როგორ იტანს მოწაფე ამდენს ტანჯვას შინ და გარეთ.

მოწაფის ცხოვრებაში რომ წესიერად საზრდოობს, სმა-ჭამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს სრული ჭეშმარიტებაა; მომეტებული რიცხვი მოწაფეებისა ვერ სწავლობს რიგიანად, ხშირად უკან რჩება სწავლაში თავისს უფრო შეძლებულს ამხანაგებს იმ მიზეზის გამო, რომ კუჭი ცარიელი აქვს და ცარიელი კუჭის პატრონს აბა რა მეცნიერებისა ეცხელება. თბილისის ქართულ გიმნაზიაში მომეტებულად დარიბი მშობლების შვილები სწავლობენ. მეტად უხერხული ბინა, ერთი პატარა ნესტიანი ოთახი, რომელშიაც ხშირად 5—7 სულამდის ცხოვრობს, ხმელი პური და ისიც არა საკმარისად, აი როგორ სურათს წარმოადგენს მოწაფის შინაური ცხოვრება. რა გასაკვირველია, რომ ასეთს შინაურს პირობებში მყოფს მოწაფეს სწავლა ეძნელებოდეს და ერთსა და იმავე კლასში რამდენსამე წელს რჩებოდეს.

სასიამოვნოდ უნდა ადვნიშნოთ, რომ ერთი წრე ჩვენებურ პატიოვცემულ მანდილოსნებისა ენერგიულად შეუდგა ამას წინად უფასო სასადილოს მოწყობას თბილისის ქართულ გიმნაზიასთან. ეს აზრი უკვე განახორციელეს, სასადილო მშვენივრად მოაწყვეს და კიდეც გაიხსნა ამთვის ორში. სასადილო აკურთხა დეკანოზმა მამა კალ. ტინტაძემ ხსენებულ მანდილოსანთა წრის და გიმნაზიის გამგისა და მასწავლებლების თანადასწრებით. პარაკლისის წინ დეკანოზმა შემდეგი სიტყვით მიჭმართა ასამდის შეკრებილ მოწაფე ქალვაჟს.

ყმაწვილებო! ამ 20—30 წლის წინად სკოლაში სწავლა შეძლებულ მშობელთა შვილების უპირატესობას შეადგენდა, დღეს კი სულ სხვასა ვხედავთ: შეუძლებელ მშობელთა შვილებმა აავსეს სასწავლებლები ეს სასიამოვნო სანახაობა დაჩრდილა ერთმა გარემოებამ: სულიერის საზრდოს ძებნის დროს, ქონებრივად დაჩაგრულმა მშობლებმა ვეღარ შესძლეს ხორციელი საზრდოც მოეპოვებინათ თავიანთ შვილებისათვის, რამაც ფრიად შეაფერხა სწავლა-აღზრდის საქმე. ამ სამწუხარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენას მიაქცია ყურადღება ყველა ქართველთა მიერ ღრმად პატივცემულ დედათა კრებულმა და დაუღალავის შრომით მოგიპოვათ უზრუნველი პური არსებისა. ეს თქვენთვის თავდადებულნი დედანი იმედოვნებენ, რომ თქვენ კარგის სწავლით და უკეთესის ყოფა-ქცევით აუსრულებთ მათ მოლოდინს და შესძენთ დაბეჩავებულს სამშობლოს განათლებულ და სასარგებლო მუშაკთა.

სასადილოს გახსნის დროს თვალწინ გადაგვეშალა ორნაირი სურათი—ერთი მეტად სამწუხარო, მეორე დიდათ სასიამოვნო, მომსპობი და გამქარვებელი პირველი უსიამოვნო შთაბეჭდილებისა—ერთის მხრით ხედავ როგორ უდონდება გული მშიერ ბავშვს, ფეხზე ვერ დგება, სუსტდება და იქცევა. მეორე მხრით ეს მზრუნველი პატივცემული დედები თავს დასტრიალებენ ამ შიმშილით მაშვრალთ და აწვდიან კერძს მოსადონიერებლად. ბავშვებიც გრძნობენ ამ მზრუნველობას და გულში ისახვენ პატივისცემას იმ პირთადმი, ვინც მათზე ასე ენერგიულად ზრუნავს.

სიამოვნებით ადგნიშნავთ ამ კეთილ მოვლენას ქართულ გიმნაზიის ცხოვრებაში, ვუსურვებთ ქალთა წრეს, რომელმაც ეს კეთილი საქმე იკისრა, მხნეობას და იმედი გვაქვს ისე როგორც დღეს, მომავალშიაც ენერგიულად გაუძღვებიან ამ საკეთილო საქმეს, რომელსაც ერთის აზრითა და გრძნობით განმსჭვალული სიმპატიური წრე, ისეთს ბედს არ არგუნებს, რაც საბავშვო ბადს დაემართა.

უცხოელთა ამერიკული სკოლა

(რუსულით)

Ყველა,—ნამდვილი მეგობრები კაცობრიობისა, პატიოსანი ხელმძღვანელები ცხოვრებისა, დიდი ბრძენი და ნამდვილი სახელმწიფოებრივ ჭკუა-გონების მექონე ადამიანები,—ერთ-ხმად ამტკიცებენ, რომ საფუძველი ყოველივე კერძო, საზოგადოებრივ და ხალხური ბედნიერებისა არის, რაც შეიძლება, საუკეთესო განათლება და აღზრდა ხალხისა. ქვეყნის მთელს სიდიადეს ვერ გამოაჩენენ ვერც ძლიერი ჯარი, ვერც მრისხანე და მტკიცე ბრძანება, ვერც კანონმდებლობის ყოველ-გვარი შეცვლა და გაუმჯობესება,—თუ ხალხი არ მიიღებს ფართო და თავისუფალ განათლებას, გონივრულად და მტკიცედ დაყენებულ სკოლებით.

დიდი პედაგოგი, მამა ახალი სახალხო სკოლისა, ამოს კომენსკი თავის უკვდავ ნაწარმოებში „დიდი დიდაქტიკა“ ამბობს: „თუ წინააღმდეგ კაცობრიობის გაფუჭებულობისა შეიძლება პოვნა წამლობისა, ამას უნდა ვეძებდეთ უმთავრესად კაცობრიობის მოზართ თაობის გონივრულსა და ბეჯითს განათლებაში“.

თავის „დიდაქტიკის“ წინასიტყვაობაში იმასვე მოჰყავს სხვა შესანიშნავი ადამიანების აზრები: „რანაირი დიდი და საუკეთესო სამსახური შეგვიძლიან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუწიოთ ჩვენ სახელმწიფოს, თუ ახალთაობის სწავლა-განათლებას შევუდგებით, განსაკუთრებით თანამედროვე გარემოებაში, როდესაც იგი ისე დაეცა, რომ საჭიროა საერთო ძალით მისი ალაგმვა და თავის დაჭერა"—ამას ამბობს ციცერონი. ხოლო ფილიპე მელანხტონი სწერს: „ნამდვილი განათლება ახალთაობისა ნიშნავს მეტს, მინამ დაპყრობა ტროისა".

ამას კომენსკი დასძენს, რომ განათლება უნდა შეადგენდეს მთელი ხალხის საკუთრებას.

— რანი არიან უჭკუო მდიდრები, თუ არა ღორები, ქატოთი გასუქებულები?— კითხულობს და უპასუხებს თვით კომენსკი.—რანი არიან უსწავლელნი ღარიბნი, თუ არა ვირები, ტვირთის საზიდავად განმზადებულნი?

— ამიტომ მტკიცედ უნდა გვრწამდესო,—დაასკვნის კომენსკი,—რომ **ყოველი** ადამიანი საჭიროებს განათლებას, რადგანაც ღმერთმა **ყველას** ერთნაირად მიანიჭა თავისი სახე, და **ყველანი** უნდა იყვნენ ადამიანებად, და არა ველურ მხეცებად, უგნურ ცხოველებად, ან უბრალო კუნძებად.

ასეთ განათლების საშუალებად კომენსკი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ასახელებს სკოლას, რომლის გავლაც, იმის აზრით, სავალდებულოა ყველასათვის ბავშვობაში.

აქედგან მთელი მზრუნველობა კომენსკისა იყო მიმართული იქითკენ, რომ ჩაეგონებინა იმ ქვეყნის მთავრობისათვის, რაც შეიძლება მეტი სკოლები გაეხსნათ, ვიდრე მთელი მხარე არ მოიფინებოდა სკოლებით.

— მზრუნველი მებაღე არ დასტოვებს ბაღში არც ერთ ნაყოფიერ ხეს, არც ერთ ხილის ბუჩქს შემოუბარავად და მოურწყველად; არ დააჭკნობს უნაყოფოდ არც ერთს ცოცხალს პაწაწა ტოტს. ეგრეევე უნდა მოქცევა ხალხსაც ბავშვობაში,—მოუწოდდა კომენსკი,—არავისში არ უნდა დაახშო არც ერთი ნიჭი. ცხოვრების ბაღის მებაღეების მოვალეობაა მორწყვა და შემობარვა ყოველი ცხოველი სულისა.

ამ სიტყვებისთვის, რომლებიც ნათქვამია ამ თითქმის ოთხასის წლის წინად, ძნელია რისმე მიმატება; და განა საჭირო-კი არის მიმატება? ამ დროში ვინ-ღა იქნება ისეთი, გარდა მხოლოდ გონებრივად და ზნეობრავად გაველურებული ადამიანებისა, რომელიც უარ-ჰყოფდეს ხალხის განათლების და სკოლების გამრავლების საჭიროებას? ახლა უნდა ილაპარაკონ არა მხოლოდ სკოლების გამრავლებაზე, არამედ იმათ გაუმჯობესობაზე.

იმავე „დიდ დიდაქტიკაში" ხშირად არინ ნახსენები კომენსკის-მიერ განმარტება სკოლისა.

— სკოლა არის სახელოსნო ადამიანობისა,—ამბობს იგი.

ასეთ განმარტებას დაფიქრება სჭირია. სკოლა მართლაც სახელოსნოა ადამიანობისა: აქ დამუშავდება ადამიანის სული. შესაძლებელი სინამდვილედ ხდება: ძალები გონებისა, სინიდისისა და სიკეთისა იშლებიან მთელის თავის სიმშვენიერით.

რომ ასეთ სახელოსნოში მუშაობა იყვეს ნაყოფიერი, ამისთვის საჭიროა არამც თუ დიდი ბეჯითობა და სიყვარული საქმისა, არამედ დიდი ცოდნაც, თავისებური დიდი ხელოვნება. ერთმა ძველი დროის დიდმა პედაგოგმა სთქვა: „განსწავლა ადამიანისა არის უმაღლესი ხელოვნება,—ხელოვნება ხელოვნებათა".

ამიტომ ჯერ კიდევ საკმარისი არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი „სახელოსნოების“ ქონება. საჭიროა, რომ „სახელოსნოებში“ იყვნენ დახელოვნებული „ხელოსნები“, რომელთაც შეეძლოთ ხელოვნურად საქმის წარმოება.

ჩვენში, სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი მხარე საქმისა როგორღაც მიჩრდილულია. ჩვენ ისე ღარიბები ვართ უბრალო სკოლებითაც-კი, თორემ კარგ სკოლას ვინ-ღა იტყვის, რომ ძალიანაც აღარ ვფიქრობთ სკოლის ვითარებაზე; ოღონც-კი მომეტებული იყვეს რაოდენობა სკოლისა; თუნდაც როგორმე იყვეს, თუნდაც ცუდი იყვეს, ოღონც-კი სკოლა იყვეს.

ახლა, როდესაც საზოგადოება ესე მწვავედ გრძნობს განათლების საჭიროებას, და როდესაც ყველგან ესე ცხარედ ლაპარაკობენ სახალხო სკოლაზე,—უნდა ვიფიქროთ არამც თუ სკოლების რაოდენობაზე, არამედ იმათ ვითარებაზედაც.

მოწინავე კულტურულმა ქვეყნებმა სახალხო განათლების საქმეში წინ გაგვისწრეს ჩვენ ორივე მხრით: სახალხო სკოლების რიცხვითაც და მათი მოწყობა გაუმჯობესობითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა თანამედროვე მდგომარეობა სახალხო სკოლისა ამერიკაში.

საინტერესო წიგნი ეკატირინე იანჟულისა—„ამერიკული სკოლა“—გვაძლევს ნათელ წარმოდგენას იმისას, თუ რანაირის სიყვარულით და გონივრულის მზრუნველობით ექცევიან სახალხო სკოლას შეერთებულ შტატებში. უკვე ერთი გარეგნული სახე პირველ-დასაწყისი სასწავლებლისა მჭერმეტყველურად მოწმობს, რომ სახალხო სკოლა ამერიკაში არის საყვარელი შვილი ხალხისა. მას რთავენ, ეალერსებიან, ყოველნაირად ამშვენიერებენ.

სახალხო სკოლის შენობები ფართოა, მაღალია, დიდია. მათში უსათუოდ სამყოფი ჰაერი და სინათლეა. იქ არ არის შექუჩვა და ვიწროობა მოწაფეებისა, და გაფუჭებული ჰაერი კლასებში. სკოლის თითოეულ ოთახში თვალსაჩინო ადგილს გამოკიდებულია ცნობა შესახებ ჰაერის მოცულობისა და მოწაფეების რაოდენობისა. განსაზღვრულ რიცხვზე მეტის მოწაფეების მიღება სასტიკად აკრძალულია.

ეს უარი მოწაფეების მიღებისა, რა თქმა უნდა, ჩვენშიაც არის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც სკოლა მთლად გავსებულია. ამერიკაში ასე არ არის. აქ ბავშვი, ერთ სკოლაში არ მიღებული, მიღებულ იქმნება მეორეში. იმან შეიძლება ერთი ვერსი მეტი გაიაროს, მაგრამ ის ადგილს იპოვნის სკოლაში.

თუ სხვა სკოლა არ იქნება მახლობლად, არ მიღებულებისთვინ გახსნიან ახალ კლასს ძველ სკოლაში. სკოლის გარედ ბავშვი არას გზით არ დარჩება; და როცა-კი შევა სკოლაში, იმას არ დასვამენ ბნელს, შეხუთულს, ნოტიო, ცივს ოთახში.

— სკოლა არის კარი სინათლის სამეუფოში,—ამბობენ ამერიკელები.—იგი მოწოდებულია გაუხსნას ბავშვს და გაუნათოს ფართო ჰორიზონტები ქვეყნიერებისა და ადამიანის ცხოვრებისა; ამიტომ იგი თვითონაც უნდა იყვეს ნათელი და ფართო.

მაღალ და განიერ ფანჯრებზე სდგას ყვავილები, ზოგჯერ ჩამოკიდებულია გალიები ფრინველებით. ეს აძლევს კლასს მყუდროებას, ოჯახურ ხასიათს.

ბავშვებს თავი უჭირავთ თავისუფლად. ასე ეტყობა არავითარი ძალდატანება. თვითოეული ბავშვი ზის ცალკე მომარჯვებულ მაგიდასთან და სრულიად თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისუფალი მიმოხვრა აქვს. ის კიდეც დაეყრდნობა სტოლს, კიდეც მიეყუდება უკან ზურგით, და თუ უნდა, კიდევაც ადგება გაკვეთილის დროს; ცოტა ხანს იდგება და ისევ დაჯდება, ოღონც ხმაურობას და უწესოებას ნუ მოახდენს, ოღონც თითონ იმეცადინოს, და სხვებსაც არ დაუშალოს მეცადინობა.

საზოგადოთ, მთელი ღონისძიება ნახმარებია იმაზედ, რომ ბავშვმა იგრძნოს თავისი თავი როგორც შრომის, მაგრამ თავისუფალ ოჯახურ გარემოებაში.

წესიერება სკოლისა აქედგან სრულიადაც არ ირღვევა. პირიქით, უცხო ქვეყნის ადამიანები, რომლებიც ნახულობენ ამერიკულ სახალხო სკოლას, განცვიფრებაში მოდიან სკოლის მოწაფეების წესიერის ყოფა-ქცევით. „წესიერება ამერიკის სკოლებისა მით უფრო სასიამოვნოა,—სწერს ერთი ინგლისელი,—რომ იგი არის რაღაც ბუნებრივი, და თითქოს უნებლიეთი. ეს ის ბავშვების წყებები-კი არ არის, დაჭიმულები რომ სხედან, ხელები უკან უწყვიათ, ფეხის ქუსლები ერთად, თვალები წინ, მოწყენილის გამომეტყველებით,—არამედ ბედნიერი და კმაყოფილი ოჯახია სკოლელებისა, რომლებიც ზრდილად და თავაზიანად მიმართულები არიან მასწავლებლისაკენ, და ძალა-დაუტანებლივ წესიერებას იცავენ სკოლაში“.

ეს შინაგანი წესიერება მოწაფეებს შორის მით უფრო საქებურად უნდა ჩაითვალოს ამერიკული სახალხო სკოლისათვის, რომ მასში არ არის არავითარი გარეგნული საშუალებანი მოქმედებისა მოწაფეებზე. ამერიკულმა სახალხო სკოლამ არ იცის არც საჩუქრები, არც, მით უფრო, სასჯელი. განსაკუთრებით,—არავითარ სასჯელს არ ხმაროობენ.

ამერიკული სახალხო სკოლების მასწავლებლების წესდებაში ნათლად და გადაწყვეტით არის ნათქვამი: არავითარი სხეულის დასჯა, რა სახისაც უნდა იყვეს იგი, არ უნდა იხმარებოდეს არც ერთ სახალხო სკოლაში. ამ წესის დარღვევისათვის დადებულია პირველად ჯამაგირიდგან გამოკლება, ხოლო შემდეგ—მოსპობა სამასწავლებლო მოქმედებისა.

მეორე კანონი ამბობს: „მასწავლებელმა არასოდეს არ უნდა მიჰმართოს ძალდატანებით საშუალებებს, როგორც, მაგალითად, ხელის ,ვრა, დაბანჯღალება ბავშვისა იმ მიზნით, რომ მისი ყურადღება მიიქციოს. აღკრძალულია აგრეთვე დაჩოქება, კლასიდგან კარში გამოგდება. ყოველივე ეს ნიშნავს ფიზიკური ძალისადმი მიმართვას, ნაცვლად ზნეობრივის ზეგავლენისა, და ყოველივე ეს სრულებითაც არ ავითარებს ბავშვში გრძნობას მოვალეობისას“.

შემდეგ, აღკრძალულია დაცინვა მოწაფეებისა და საზოგადოდ მკვახეთ მოქცევა მათთან. „მოერიდეთ ბავშვების დაცინვას,—ამბობს კანონი;—ეს საშიში საშუალება: იგი უკარგავს ბავშვს პატივის-ცემას თავის მიმართ და უღვიძებს მასწავლებლისადმი სიბოროტეს“.

მოერიდეთ აგრეთვე გინებას. სასტიკი კილო არ არის საჭირო, და მავნებელია. სკოლა უნდა იყვეს მეგობრული და მოსიყვარულე ოჯახი; ხოლო ასეთ ოჯახშიკი არ აქვს ადგილი სიმკაცრეს.

ამიტომ იმ კითხვების რიცხვში, რომლებიც ეძლევა ამერიკაში მასწავლებელს, მანამდის ის დაიჭერდეს ადგილს სახალხო სკოლაში, სხვათა შორის, ეძლევა კითხვა: „შეუძლიან, თუ არა იმას ჰმართოს კლასი, რომ სასჯელები არ იხმაროს“?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასჯელებს ხმარობენ მხოლოდ გამოუცდელი მასწავლებლები, რომლებმაც არ იციან თავისი საქმე,—დასძენენ სკოლის კანონები.

მაშ როგორღა იცავენ წესს ამერიკელი მასწავლებლები კლასში, ან რა წარმატება უნდა ჰქონდეთ სწავლებაში? ან, შეიძლება, ამერიკული ბავშვები—განსაკუთრებითი ბავშვებია? იქნება არა აქვთ იმათ არც სიზარმაცე, არც სიცელქე, ან ბავშვური გაუზრდელობა?

არა,—ყოველივე ეს აქვსთ. აქვსთ, რასაკვირველია, სიზარმაცეც, სიცელქეც, ხან ცუდი საქციელიც. ზოგჯერ ჩვენს ბავშვებზე კიდევაც უარესი.

მაშ როგორღა სწვდებიან იქ მშვენიერს მიზანს?—სასკოლო საქმის ხელოვნურად წაყვანით: მეცადინეობის კარგად დაყენებით და საუკეთესო ხალხური მასწავლებლების საშუალებით.

ამერიკული კანონები ამბობენ: „საიდუმლო კარგის სასკოლო წესიერებისა მდგომარეობს უწესოების ალაგმვის ცოდნაში იმდენად არა, რამდენად იმაში, რომ აცდენილ იქმნას თვით დასაწყისი უწესოებისა, წაყვანილ იქმნას მეცადინეობა იმნაირათ, რომ მოწაფეებს სწავლის გამო ავიწყდებოდეთ თავიანთ სიცელქე, და არა პირიქით, როდესაც მოწაფეები სიცელქისა გამო ივიწყებენ მეცადინეობას. მასწავლებელმა სასკოლო მეცადინეობა მოწაფეებისთვის მომეტებულად სახალისოდ უნდა გახადოს, იმათ ბავშურ სიგიჟეზე“.

აქ საინტერესოა ის საქციელი, რომლის საშუალებითაც ამერიკული სახალხო სკოლა მიისწრაფვის კეთილად იმოქმედოს მოწაფეებზე, წაახალისოს ისინი სწავლაში, თვინიერ რაიმე გარეგანი საშუალებისა.

ამერიკული სკოლა არა ღლის თავის მოწაფეებს. არა ღლის არც გაჭიანურებულის საქმით, არც მოსაწყენი უსაქმობით. ამერიკულ სახალხო სკოლებში არსებობს სრულიად განსაკუთრებითი, ჩვენთვის უცნობი, განაწილება სასწავლო დროისა. იქ გაკვეთილი არა გძელდება საათს, ან კიდევ ცოტა—45, 50 წუთს, რომლის განმავლობაშიაც ერთი და იგივე მასწავლებლისა და მოწაფეების მიერ განმეორდება ათჯერ, ასე რომ მეტისმეტად სწყინდებათ იმასაც და იმათაც. იქ გაკვეთილი გძელდება 15, 10, ბევრი-ბევრი 25 წუთი. აი, მაგალითად, სია თუნდაც ერთის დილისა ამერიკულ სახალხო სკოლაში. ცხრა საათიდგან $9^1/_4$-მდის არის კითხვა ბიბლიისა (სავალდებულოა ყველა სკოლებში ყოველ დღე, თუმცა ზოგჯერ ბიბლიის კითხვის მაგივრად არის საერთო გალობა ფსალმუნებისა როიალის ბანის შეწყობით). ცხრა საათიდგან და 15 წუთიდგან 9 საათამდის და 35 წუთამდის მიდის ანგარიში; ცხრა საათიდგან და 35 წუთიდგან—კითხვა. შემდეგ ათი წუთი დასვენებაა; 25 წუთი ხელ-საქმე, 20 წუთი—გრამმატიკა და ათი წუთი კიდევ დასვენება. და ამნაირად არის მთელი სამოსწავლო დღე: არა საათებით, არამედ ათი წუთებით. ყურადღება მოწაფეებისა არ იღლება, ინტერესი არ სუსტდება; ხოლო სკოლის თავისუფალ დროს მასწავლებელი ხმარობს დამოუკიდებლად.

ესეც ცოტაა. სასწავლო დროის განაწილებაში ამერიკელებმა გადადგეს ახალი, უფრო კიდევ თავისებური, ნაბიჯი წინ. იმათ მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ მოსწავლეები სკოლაში როგორც ტანით, ისე ნიჭით, სრულებითაც თანასწორები არ არიან. ერთი უფ-

რო ადვილად და სწრაფად იჭერს, იხსომებს გადაცემულს; მეორე-კი—ნელა და დიდის შრომით. ამას ესაჭიროება ხშირი და მუდმივი განმეორება, ხოლო პირველისთვის ეს მეტია, მოსაწყენი და დამღლელია. მთელი წლები ერთად დატოვება მათი—ეს დააკარგვინებდა ნიჭიერებს სწავლის ხალისს, ხოლო სუსტებს აიძულებდა ემეცადინათ როგორმე, რასაც მოასწრობდნენ. ამიტომ ამერიკელები ამბობენ: „სკოლას უნდა ჰქონდეს მხედველობაში სხვა და სხვაობა ბავშვების განვითარებისა, და ამისდა მიხედვით, ხშირად უნდა ხდებოდეს გადაყვან-გადმოყვანა მოწაფეებისა, თორემ სკოლა გადაიქცევა უსულო მანქანად. უნდა გვახსოვდეს, რომ ნიჭიერი მოწაფეები, როდესაც ისინი უნიჭოებთან სხედან, ამითი ირყვნებიან, ზარმაცდებიან სწავლაში. მეორე მხრივ, უნიჭო მოწაფეები, როდესაც ხედავენ რომ ვერ მისდევენ ნიჭიერებს, იჩაგრებიან და მუშაობენ უსიცოცხლოდ“.

მოწაფეების ნიჭიერების ასეთი განსხვავების მიხედვით, ამერიკულმა სკოლამ შემოიღო დაყოფვა ნაწილად კლასებისაც და სამოსწავლო წლისაც. საქმე ამნაირად მიდის. შედიან მოწაფეები სკოლაში ერთად, ერთ კლასში. გაღის რამდენიმე თვე, და ბავშვებს ეტყობა თანდათან განსხვავება ნიჭიერებაში. ჩნდება, რომ მოწაფეებს სხვა და სხვა „ნაბიჯი“ აქვთ: ერთი ბავშვი სკოლის ბოლომდის გავლას მოუნდება რვა წელიწადს, ხოლო მეორეს უნდა ექვსი წელიწადი. რათ უნდა იარონ იმათ ერთად? აი აქ იყოფებიან. უფრო ნიჭიერები წინ მიდიან; უძლურებს ეძლევათ განსაკუთრებითი ყურადღება. ერთი და იგივე კლასი იყოფება ნაწილებად, და თვითეულს ახალს, გაყოფილ კლასს ეძლევა თავისი მასწავლებელი; ამასთან სუსტ კლასში ინიშნება უფრო ნიჭიერი მასწავლებელი.

თუ შემდეგ გაყოფისა გამოჩნდება, რომ სუსტ მოწაფეებში რომელიმე გამაგრდა ახალ მასწავლებლის ხელმძღვანელობის ქვეშ და ჩქარა წავიდა წინ,—ის გადაჰყავთ ნიჭიერებთან. თუ მოხდა, რომ რომელიმე ნიჭიერთაგანი დასუსტდა, იმას დაეწევიან უკანელები და ერთად წავლენ.

განსხვავება ჩვენს სკოლებში მეორე წლით დატოვებულებისაგან ერთსა და იმავე კლასში მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენში ბავშვი ჰკარგავს წელიწადს, ჰკარგავს ამხანაგებს, იღებს რაღაცა დაღს დარჩენილისას. ამერიკულ სკოლაში ამისი მზგავსი არა არის რა. იქ არ ელიან წლის ბოლოს. რა წამს მოწაფე დასუსტდა,—შესაფერ განყოფილებაში, თუ გამაგრდა,—გადაჰყავთ უფრო ძლიერებთან.

„ჩვენს სკოლებში,—ამბობს დამფუძნებელი ამ წესდებისა,—კლასები მისდევენ ერთი მეორეს ექვსი კვირის მანძილით. გადაყვან-გადმოყვანა მოწაფეებისა ხდება, ყოველ შემთხვევაში, წელიწადში ოთხჯელ ნაკლებ არა, და ყოველთვის არის შესაფერი კლასები, სადაც შეიძლება მოთავსება წინ წასული მოწაფეებისა, ან უკან-დარჩენილებისა“.

ამნაირად კლასი ყოველთვის მოგვაგონებს მუდმივს, მაგრამ ყველგან არა ერთნაირს წყლის მიმდინარეობას; ერთ ადგილს მდინარეს ჩქარა, მეორე ადგილს ნელა მიაქვთ თავისი წყალი. წყლის ზედა პირზედ სცურავენ ნაფოტები: მოხვდა ნაფოტი ერთს ტალღაში,—გაექანა წინ; მოხვდა მეორეს,—მოუნელა მსვლელობა. მაგრამ აი ეს უკანა ტალღა გაჩქარდა, და ნაფოტიც დაეწია წინ წასულს; შეიძლება წინაც გაუსწროს. ჩვენში ესე

არ იქნება: რაკი ერთხელ ჩამორჩა უკან, ყოველთვის უკან იქნება. ამერიკული სკოლა ამ მხრივ უფრო მოძრავია, რბილია, „საინტერესოა“ მოწაფეებისთვის.

მაგრამ რაც უნდა გაუმჯობესდეს კლასები, მდგომარეობა, სასწავლო ნივთები, ყოველივე ეს არის მხოლოდ ნახევარი საქმე, და უფრო უბრალო ნახევარი. უმთავრესი სკოლაში, მაინც, მასწავლებელია; და აი აქ ამერიკული სახალხო სკოლა ღირსია სრული ყურადღებისა და მიბაძვისა.

„პირველი სასწავლო წლები სკოლაში ყველაზე უპირატესია მთელი სამოსწავლო ხნის განმავლობაში,—ამნაირად სრულიად სწორედ სჯიან ამერიკული სკოლის ხელმძღვანელები. — პირველ-დაწყებითი სწავლის შეცდომეებით და აღზრდის უსწორო საშუალებეებით ბავშვი შეიძლება სამუდამოდ გაფუჭდეს. ამიტომ ჩვენ ვამწესებთ ჩვენი სკოლების პირველ-დაწყებით კლასებში ყველაზე საუკეთესო და გამოცდილ მასწავლებლებს იმ რწმენით, რომ კარგად ჩაყრილ საძირკველზე აშენდება მაგარი შენობა; მაგრამ, შემდეგი სწავლების დროს, რაც უნდა საუკეთესო იყვეს, აღარაფრით შეიძლება გასწორება იმ შეცდომებისა, რომლებიც დაშვებულ იქმნენ პირველშივე გამოუცდელის—ან უნიჭო მასწავლებლის-მიერ“.

საუკეთესო მასწავლებლების მოსაწვევად პირველ-დასაწყის კლასებში, ამერიკელები ბევრ ადგილს ნიშნავენ მასწავლებლებისთვის ამ კლასებში დიდ ჯამაგირს, ვიდრე სხვა კლასებში.

ერთი სიტყვით, ყოველნაირათ სცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი „სახელოსნოები ადამიანობისა“. არ ზოგვენ ფულს „სახელოსნოების“ კედლებისთვის, დაუცხრომელად აუმჯობესებენ იარაღებს „სახელოსნოსას“,—და რაც უფრო უმთავრესია,—მზრუნველობითი სიყვარულით ირჩევენ მასწავლებლობის დიდი საქმისათვის დახელოვნებულ და მცოდნე „ხელოსნებს“.

გასაკვირველი აღარ არის, თუ ასეთი „სახელოსნოები“ ხელოვნურად აკეთებენ თავიანთ საქმეს, სასწაულებს შვრებიან, ზღაპრულის სისწრაფით ყოველის მხრით მიაქანებენ ამერიკას წინ.

ამიტომ ჩვენც უნდა მოვინდომოთ ჩვენის ქვეყნისთვის მომეტებული სკოლებიც, და უფრო ძლიერ,—საუკეთესო, დახელოვნებული, მშვენივრად მომზადებული და კარგად უზრუნველ-ყოფილი მასწავლებლებიც.

ვანათში ნამყოფი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დ-რი ბეგგოლდი

მედიცინა

სამეცნიერო მიმოხილვა

ზღვის წყალი, როგორც სამკურნალო საშუალება

სნეულებათა გამაღიზიანებლების გაცნობით ზოგიერთ შემთხვევებში მიაღწიეს შრატის შეშხაპუნებით განკურნვას. როგორც ვიცით, სნეულთა შხამის ან ტოკსინის გაჩენასთან ერთად ბუნება საშუალებას აძლევს სხეულს ებრძოლოს სნეულების შხამის საბრძოლველის ანუ ანტიტოკსინის გაჩენით. რომ ხელოვნურად შეიმუშაონ ასეთი შხამის საწინააღმდეგო სითხე და შეუშხაპუნონ ავადმყოფს კანს ქვეშ, შესაძლებელია დაწყებული ავადმყოფობისაგან განკურნება, ან სხეულის დაფარვა სნეულებისაგან. დღემდის დიდებული შედეგი მოჰყვა ხუნაგის 'შრატს, რომლის ხმარებით ბავშვების ხშირი ავადმყოფობა მეტად შემცირდა. შემდეგ უნდა მოვიხსენოთ მუცლის სახადის საწინააღმდეგო შრატიც.

ყველა ეს შრატი და სპეციფიკურად მომქმედი სითხე იხმარება მხოლოდ იმ სნეულებისაგან, რომლის ტოკსინიდან არის მიღებული. ახლა ფრანგი ექიმი, დოქტორი რენე კენტენი ჰფიქრობს, რომ აღმოაჩინა ისეთი სითხე, რომელსაც საზოგადო სამკურნალო მნიშვნელობა აქვს. ამ სითხეს შრატის მსგავსად შეუშხაპუნებენ ადამიანს კანში. ამ აღმოჩენამდის კენტონი ასე სჯიდა: როგორც ვიცით, თავდაპირველად სიცოცხლე ზღვის წყალში აღორძინდა, რომელიც დღესაც საცხოვრებელია მცენარეთა და ცხოველთა მარტივ ორგანიზმებისა. საკვირველია, რომ ყველა ცხოველ ორგანიზმს და ადამიანსაც დღესაც ისეთი წვენი აქვს, რომლის შედგენილობა შესამჩნევად ემსგავსება ზღვის გახსნილ წყალს. ორგანიზმის ყველა უჯრედებს გარს ახვევია ეს სითხე და სხეულის წონის მესამედს შეადგენს ისეთი წვენი, რომელიც ზღვის წყალსა ჰგავს და საცხოვრებელია ამ უჯრედებისა.

ყველა ცხოველთა ორგანიზმი და ადამიანისაც, კენტონის აზრით, „ზღვის აქვარიუმია", რომელშიაც უჯრედები პირველ ყოფილს ზღვაში არსებობის პირობებში ცხოვრობენ: მეტად საინტერესო ცდა, ცხოველთა სიცოცხლეში ზღვის წყლის მნიშვნელობის დამამტკიცებელი, იყო შემდეგი: კენტონმა ცხოველების სხეულიდან იმდენი სისხლი გამოუშვა, რომ ისინი უსიცოცხლოდ იწვნენ მაგიდაზე. როცა დაკარგული სისხლი შეუცვალა ზღვის გახსნილი წყლით, ცხოველები მოსულიერდნენ და ხუთი დღის შემდეგ საღად გახდნენ. დიდი ხანია ცნობილია, რომ ბლომად სისხლის გამოშვების შემდეგ მარილიან შენაზავის შეშხაპუნება გულის მუშაობას აღადგენს. ზღვის წყლის მოქმედება კი, რომელიც თავის შემადგენლობით უფრო ახლოა სხეულის ბუნებრივს წვენთან, უძლიერესია.

კენტონი ჰფიქრობს, რომ ზღვის წყლის შეშხაპუნებით, სნეულთა განკურნვაში საუკეთესო შედეგს მიაღწია. იმის აზრით ზღვის წყალი მხოლოდ მაშინ იჩენს თავისს მოქმედებას, როცა აღებულია არა ნაპირებიდან, არამედ გაშლილ ზღვიდან. წყალს, რომელიც უნდა იხმარონ ამოღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან სამი კვირის შემდეგ, ხმარების წინ სტერილიზაციას უშვრებიან, რომლის საშუალებითაც ხოცვენ შიგ არსებულს მიკრო-ორგანიზმებს და შემდეგ შეუშხაპუნებენ კანში 20—200 კუბიკურ სანტიმეტრს. შეშხაპუნების შუა ორი სამი დღე გაივლის. ცდა, რომელიც მოახდინეს კენტონმა და მისმა თანამშრომლებმა, ეხება უმთავრესად ორს ჯგუფს ავადმყოფობისას. მისი გავლენა ჭლექიან ავადმყოფებზე შესწავლილი იქმნა 19 ავადმყოფზე, რომელთაც კანს ქვეშ უშხაპუნებდნენ ზღვის გახსნილ წყალს. ამ ცდის დროს ავადმყოფები სხვა საშუალებას არ ხმარობდნენ.

ავადმყოფობის გაჯდომის მიხედვით წამლობა გრძელდებოდა 25—319 დღემდის. რადგანაც წამლობა იმდენად დიდხანს არის საჭირო, რამდენადაც სნეულება ძლიერ გამჯდარია, ამიტომ 35 დღის განმავლობაში განვითარების მესამე საფეხურზე მყოფ სნეულზე წამლობას მტკიცე შედეგი ვერ მოჰყვებოდა, ამ შემთხვევაში წამლის მოქმედება არა ხანგრძლივი იყო, სხვა ავადმყოფთათვის წამლობის შედეგი სრულიად მოულოდნელი ხდებოდა.

ზღვის წყალის შეშხაპუნებას თავდაპირველად შედეგად მადის გაძლიერება მოჰყვებოდა. ზოგ შემთხვევებში მადა ჩვეულებრივზე ძლიერი იყო, ამას ავადმყოფის გაძლიერებული საზრდოობა მოჰყვებოდა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ავადმყოფის ღონე და გუნება უმჯობესდებოდა და ასეთივე რჩებოდა შეშხაპუნების შეწყვეტის შემდეგაც. სნეული სახე საღი ხდებოდა. აგრეთვე ცოტა ხნის წამლობის შემდეგ ჰქრებოდა მრავალი მოვლენა, რაც ავადმყოფობის თანამგზავრია.

თუმცაღა ჯერ კიდევ ისეთის სნეულების შესახებ, როგორც ჭლექია, ძნელია გადაჭრით ითქვას რაიმე მის სრულიად განკურნებაზე; მით უფრო რომ კენტონის წამლობის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ უკანასკნელი დასკვნა შეადგინოს კაცმა ამის შესახებ; მაინც მიღებული შედეგები შემოწმების ღირსია, მით უფრო რომ ზღვის წყალს არავითარი ზიანის მოტანა არ შეუძლია.

მეორე ჯგუფი სნეულებისა, რომელიც კენტონმა და მისმა თანამშრომლებმა გამოიკვლიეს კუჭის მოშლას შეეხება, რაც ბავშვებში ხშირი მოვლენაა და რომელიც ხშირად ხოცავს მათ. აქ მიღწეული შედეგები უფრო საიმედოა. ყველა სნეულებს, რომლებიც ზღვის წყლის შეშხაპუნებით წამლობდნენ, შესამჩნევი უკეთესობა ეტყობოდათ. ეს უკეთესობა ხანგრძლივიც იყო და ავადმყოფობის ნიშანიც შეშხაპუნების შემდეგ 48 საათის განმავლობაში ჰქრებოდა. წონაშიაც შესამჩნევი სიმეტე ეტყობოდათ, თითქმის უნუგეშო შემთხვევებშიაც კი სრული განკურნება ხდებოდა. მეტად საგულისხმოა კენტონის მიერ აღნიშნული მრუდე ხაზები, რომელიც უჩვენებს წონაში თან და თან დაკლებას ზღვის წყალის შეშხაპუნების წინ და გაბევრებას ზღვის წყლით წამლობის დაწყების შემდეგ.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პარიზში გამართეს რამდენიმე კლინიკა, სადაც ავადმყოფებს უფასოდ არჩენენ ზღვის წყლით. როგორც კენტონი, აგრეთვე მისი თანამშრომლებიც ცდილობენ ზღვის წყლით წამლობა გაავრცელონ. უფრო კარგი შედეგი, როგორც სჩანს, ამას წინად მიულიათ სირსველისა გან განკურნებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი

სახალხო სკოლის მასწავლებელთა საპენსიო კასსა

(დასასრული)

პენსია იქნება ჩვეულებრივი და გაძლიერებული. ჩვეულებრივი პენსიის უფლება ყველას აქვს, ვისაც 15 წელი უმსახურნია და შემდეგ არ სურს სამსახური, თუნდა ჯანსაღადაც იყოს (30 მუხ. საპ. წეს.)

გაძლიერებული პენსიის უფლება აქვსთ მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც დაავადმყოფდებიან და ექიმების აზრით არ შეეძლებათ სამსახურის განგრძობა და უმსახურნიათ არა ნაკლებ 5 წლისა. გაძლიერებული პენსია უფრო მეტია ჩვეულებრივზე.

თავისთავად გამოანგარიშება პენსიის რაოდენობისა ყველასთვის ადვილი არ არის. ამის გამოანგარიშება ადვილია დამზადებულს ტაბულებზე, რაც დაბეჭდილი იყო 1911 წლის „განათლების“ № 7-ში (იხ. გვ. 42). ცოტათ უფრო საძნელოა ტაბულების შედგენა გაძლიერებული პენსიისა, როცა კასის მონაწილეს შვილები ჰყავს. დაახლოვებითი რაოდენობა პენსიისა 360 მანეთიან ჯამაგირზე ასეთია (აქ ჩართულია მამის გაძლიერებული პენსიაც):

	5 წ.	10 წ.	15 წ.	20 წ.	25 წ.	30 წ.	35 წ.
1. ბავშვი —	58 მ.	90 მ.	150 მ.	235 მ.	275 მ.	420 მ.	580 მ.
2. ბავშვი —	70 —	115 —	180 —	280 —	300 —	480 —	640 —
3. — —	85	135 —	210 —	315 —	350 —	540 —	700 —
4. — —	95 —	145 —	230 —	345 —	435 —	585 —	750 —

საობლო პენსია სამინისტროს კასიდან პირველი წლის სამსახურიდანვე ეძლევა კასის მონაწილეს გარდაცვალებულის ობლებს. (§ 36 სამინისტ. ახალი წესდებისა).

აქ მოვიყვანთ მაგალითს ასეთი პენსიის გამოსაანგარიშებლიდ. ვსთქვათ ვინმე მასწავლებელმა იმსახურა 30 წელიწადი. როგორი იქნება მისი პენსია? ჩვეულებრივი პენსია 30 წლისა არის 266 მ. 61 კ. გაძლიერებული 329 მ. 57 კ. კიდევ დამატებითი შვიდი შვილისა. მისი წლიური ჯამაგირი იყო 610 მან. ერთი ოკლადი ერთი ბავშვისა იქნება: $610 \times {}^{3}/_{4} = 4$ მ. 57,5 კაპ. გამრავლებული 30 იქნება 137 მ. 25 კ. შვიდს ბავშვზე მოდის იმდენი, რამდენიც ოთხზე ე. ი. სამი ოკლადი. ერთი ოკლადი იქნება 137 მ. 25 კ. სამი 411 მ. 75 კ. ($610 \times {}^{3}/_{4} \times 30 \times 4 =$ 411 მ. 75 კ.) მაშასადამე ამ მასწავლებლის გაძლიერებულს პენსიას 329 მ. 57 კ. უნდა მიუმატოთ დამატებითი ბავშვებისა 411 მ. 75 კ. მივიღებთ 741 მ. 32 კ. წლიურად: მაგრამ თუ მას 30 წელი კი არ უმსახურნია, არამედ 26. იგი კასის მონაწილეა, (სულ ერთია ნებაყოფლობითია თუ ვალდებული) ჰყავს შვიდი შვილი. თუ მას უნდა ჩვეულებრივი პენსია მიიღოს, სამსახურს თავი უნდა დაანებოს. 26 წლის სამსახურის მისი ჩვეულებრივი პენსია 360 მანეთიდან უნდა იანგარიშონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(თუმცა იგი 610 მ. ღებულობს) შეადგენს წლიურად მარტო 180 მან. ეს ჩვეულებრივია.

მაგრამ ვსთქვათ, იგი დაავადმყოფებულია და ექიმებიც ამტკიცებენ, რომ მას სამსახურის განგრძობა არ შეუძლიან; მაშინ მას უნიშნავენ გაძლიერებულს პენსიას. როგორ ანგარიშობენ ამას? ტაბულის მიხედვით მარტო მას 26 წლის სამსახურისათვის მიეცემა გაძლიერებული პენსია 360 მან. ოკლადიდან (თუმცა იგი 610 მან. ღებულობს) 230 მან. თანახმად წესდების 39 მუხლისა; მისმა შვილებმაც უნდა მიიღონ დამატებითი სამი ოკლადი, ვინაიდან ყველა შვიდი სული ითვლება ოთხად. ეხლა შეიძლება გამოანგარიშება და პენსიის განსაზღვრა. ერთი ოკლადი ბავშვისა იქნება მისი ჯამაგირის სარგებლის სამი მეოთხედი, აღებული (წელიწადების რიცხვზე) 26 ჯერ: 610 მანეთის სამი მეოთხედი აღებული 26 ჯერ მოგვცემს 118 მან. 95 კ. (610×$^3/_4$×26=118 მ. 95). ამ მასწავლებელს შვიდი შვილი ჰყავს, იმათ ერგებათ ერთი ბავშვის სამი ოკლადი, მაშასადამე 118 მ. 95 კ.×3=356 მ. 85 კ.

ახლა შევადგინოთ საერთო ჯამი ყველა მისი გაძლიერებული პენსიისა 26 წლის განმავლობაში 610 მან. ჯამაგირთან. მისი გაძლიერებული პენსია 230 მ. დამატებით ბავშვებისა 356 მ. 85 კ., სულ 586 მ. 85 კ.

მაგრამ დამატებითი პენსია წლოვანების მიხედვით შემცირდება, რადგანაც ბავშვები წამოიზრდებიან. თუ ბავშვები არსად სწავლობენ, პენსია 18 წლამდის ეძლევათ, ან გათხოვებამდის, თუ ქალი ამ წლოვანებაზე ადრე გათხოვდა. თუ სწავლობენ, მაშინ პენსიას 21 წლამდის მიიღებენ. გამონაკლისი იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ეს ბავშვები ფიზიკურად ისე დაავადმყოფებულნი არიან, რომ საკუთარის ძალღონით თავის რჩენა არ შეეძლებათ მაგ: კუტები, მუნჯები, ბრმები, მძიმედ ავადმყოფები და სხ. ამ შემთხვევაში ისინი პენსიას მთელს სიცოცხლეში მიიღებენ.

პირადი გაძლიერებული პენსია შეიძლება შეცვლილი იქმნას ჩვეულებრივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი მასწავლებელი იმდენად გამოკეთდება, რომ ისევ შეიძლებს მუშაობას, როგორც წინად ჯანსაღობის დროს მუშაობდა.

სამსახურში 25 წლის პენსიას მიიღებენ მხოლოდ ის მასწავლებლები, რომელთაც ამ ხნის განმავლობაში შექონდათ კასაში ხვედრი გადასახადი, მაგრამ მათთვის ხელსაყრელი არ არის ასეთი პენსია: რამდენსაც მეტს იმსახურებენ, იმდენად მეტს პენსიას მიიღებენ. მასწავლებელი 21 წლისა შეუდგა სამსახურს. ჯამაგირი აქვს 360 მან. 25 წლის შემდეგ, მისი ჩვეულებრივი პენსია იქნება 170 მან. 35 კ. თუ იგი აიღებს ამ პენსიას 25 წლის სამსახურის შემდეგ, პენსია არ გაბევრდება. მას ჯამაგირიდან კიდევ გამოურიცხავენ 6%, მაგრამ ამას ისე ჩათვლიან, თითქოს თავიდან დაეწყოს სამსახური. ვსთქვათ მან იმსახურა კიდევ 5 წელიწადი. 30 წლის ნამსახური იქნება და პენსია კი იგივე 25 წლისა 170 მან. და 35 კ. ექნება. მაგრამ თუ მას არ მიუღია 25 წლის სამსახურის ხვედრი პენსია, მაშინ მას 30 წლის ნამსახურობის პენსიას დაუნიშნავენ, რაც შეადგენს 266 მან. 61 კ. და ამას მიიღებს მთელს თავის სიცოცხლეში: იგი 96 მ. და 26 კაპ. მეტია წელიწადში. მხოლოდ გაჭირვება აიძულებს მასწავლებელს აიღოს ამ პირობებში 25 წლის ნამსახურობის პენსია.

როგორ უნდა იზრუნონ პენსიის მიღებაზე?

ჩვეულებრივი პენსიის მისაღებად კასის მონაწილე თხოვნას აძლევს სახალხო სკოლების დირექტორს, ან იმსპექტორს, ან პირდაპირ მიჰმართავს თხოვნით საპენსიო კასის გამგეობას. პენსიის მიღების თხოვნას თან უნდა გააყოლონ შემდეგი საბუთების ქაღალდები: ა) უცოლშვილომ ან გაუთხოვარმა უნდა წარადგინოს დაბადება-ნათლობის მოწმობა, მასწავლებლობის მოწმობა და შემოწმება სახალხო სკოლების ინსპექტორისა სამსახურის წლებისა. ამ მოწმობაში ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა სკოლები, სადაც მასწავლებელს უმსახურნია და რამდენ ხანს ყოფილა თვითოეულ მათგანში. თუ ეს სამსახურის დრო ერთ მაზრაში გაუტარებია, საქმე ადვილია, მაგრამ თუ რამდენსამე მაზრაში ან გუბერნიაში უმსახურნია, ან სხვა და სხვა უწყების სკოლებში, მაშინ საქმე უფრო გართულდება. ყოველ მაზრიდან უნდა აიღონ ინსპექტორისაგან ცალკე მოწმობა. უნდა სჩხრიკონ არხივებში ძველი ქაღალდები. ეს მალე არ იქნება.

ბ) ცოლშვილიანმა უნდა წარადგინოს დაბადება-ნათლობის მოწმობა თავისი და ცოლშვილისა, ქორწინებისა და მასწავლებლობის მოწმობა და აგრეთვე მოწმობა სახალხო სკოლების ინსპექტორისა სამსახურის შემდეგ.

როცა ყველა ეს საბუთის ქაღალდი მზად იქნება, ინსპექტორი გზავნის მათ თავის შუამდგომლობასთან ერთად ან პირდაპირ საპენსიო კასის სამმართველოში (რაც უფრო ადვილია) ან უგზავნის სახალხო სკოლების დირექტორს (სამსახურის წესის მიხედვით). ამ საბუთების მიხედვით მასწავლებელს დაენიშნება პენსია, რომელსაც იგი მიიღებს სამსახურის მიტოვების შემდეგ, თუნდაც ცნობა პენსიის დანიშვნის შესახებ გვიანაც მოუვიდეს. მხოლოდ არ უნდა დაივიწყონ უჩვენონ რომელ ხაზინიდან ჰსურთ პენსიის მიღება და თავისი ადრესი.

ახლა გამოვარკვევთ თუ რაა საჭირო გაძლიერებული პენსიის მისაღებად.

ავადმყოფი მასწავლებელი, რომელსაც არ შეუძლია სამსახური, თხოვნას აძლევს სახალხო სკოლების ინსპექტორს ექიმების მიერ შემოწმებაზე წესდების 31 მუხლის ძალით გაძლიერებული პენსიის დანიშვნის შესახებ. ამ გვარი თხოვნის მიღების შემდეგ ინსპექტორი დანიშნავს კომისიას ექიმებისა და კასის მონაწილეთაგან. იგი მოიწვევს ექსპერტებად ერთიდან სამ ექიმამდის და კასის მონაწილეთაგან არა ნაკლებ ორი კაცისა. დაინიშნება გაშინჯვის დღე. თუ მასწავლებელს შეუძლია ქალაქში ჩასვლა, ან სხვა დანიშნულს ადგილს მისვლა, ყველანი იქ შეიკრიბებიან, და თუ ისეთი ავადმყოფია, რომ წასვლა არსად შეუძლია, მაშინ ყველანი მასთან მივლენ. ექიმები გაშინჯვენ და შეადგენენ „საექიმო შემოწმების აქტს შრომის უნარის დაკარგვაზე". ექიმ ექსპერტებს სახელმძღვანელოდ შემდეგს კითხვებს აძლევენ:

ა) დაწვრილებით განმარტება სნეულების თვისებათა და მისი განსაზღვრა.

ბ) როდის გამოაჩნდა ავადმყოფობა.

გ) რა მიზეზით არის გამოწვეული.

დ) დასკვნა ექსპერტ-ექიმებისა: შეუძლიან თუ არა სამსახურის განგრძობა?

ე) შეუძლიან თუ არა შესამოწმებელს თავისის შრომით თავი შეინახოს?

ვ) შეიძლება განკურნება? თუ შეიძლება, დაახლოებით რამდენი ხნის განმავლობაში?

ამ საექიმო აქტს ყველანი ხელს მოაწერენ და სახალხო სკოლების ინსპექტო-

რი გზავნის მას საპენსიო კასის სამმართველოში. ამის ძალით დაენიშნება გაძლიერებული პენსია.

მოვიყვანთ მაგალითს ერთი მასწავლებლის შემოწმებისას, რომელიც მსახურებდა 1874 წლის 1 იანვრიდან 1911 წლის 1 ენკენისთვემდის.

მასწავლებელი მ. ნ. ს—ვი სამოსწავლო სემინარიაში კურსის დასრულების შემდეგ დაინიშნა მასწავლებლად პრონის მაზრაში 1874 წლის იანვრის 10-ში, სადაც მსახურებდა 1900 წლის აგვისტოს 15-მდის, შემდეგ გადავიდა ქ. ეგორევსკში, ქალაქის სამრევლო სკოლაში, სადაც მსახურებდა უკანასკნელ დროამდის. ჯანმა უღალატა, სამსახური არ შეეძლო. ექიმების შემოწმებამ შემდეგი აღმოაჩინა:

1) დაწვრილებითი განმარტება სნეულების თვისებათა და მისი განსაზღვრა:

„სრულიად დაბრმავება მარცხენა თვალისა, შემცირება მხედველობის სიმახვილისა მარჯვენა თვალში ნორმაზე ერთი მეოთხედით, კატარაკტის გამო. მარჯვენა მხარეს თიაქარი. გარდაქმნა სისხლის მატარებელ ძარღვებისა (არტერიოსკლეროზი), გულის მარჯვენა უბის სიგანივრე ორის თითის დადებით. გულის ტონი ყრუა, აქცენტი ერთ ტონზე. ფილტვებში იწყება ემფიზემა. სხეულის მოყვანილობა სწორია, მადა კარგი“.

2) როდის გამოაჩნდა ავადმყოფობა?

„ყველა ეს ავადმყოფობა თან და თან გაჩნდა და გაძლიერდა უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში“.

3) მიზეზი რამაც ავადმყოფობა გამოიწვია?

„გაძლიერებული შრომა მასწავლებლობისა და ჰიგიენიური პირობების დარღვევა“.

4 და 5) შეუძლია განაგრძოს სამსახური და ირჩინოს თავი საკუთარის შრომით?—„არა“.

6) შეიძლება განკურნება? „არ შეიძლება“. შემოწმებას ესწრებიან სახალხო სკოლების ინსპექტორი, ორი ექიმი და ექვსი მასწავლებელი ოთხის სასწავლებლიდან. ს—ევი ქვრივია, ორი ქალი ჰყავს: ერთი გათხოვილია, მეორე მასწავლებლობს. დაიბადა 8/XI 1852 წ. ჯამაგირს იღებდა 750 მანეთს.

სამსახურში შევიდა 21 წლისა და 2 თვისა, იმსახურა 36 წელი და ათი თვე. ტაბულის მიხედვით *) მას დაენიშნება პენსია (გაძლიერებული) 500 მანეთზე მეტი.

როცა პენსია დაენიშნება, სახაზინო პალატა პოლიციის საშუალებით პენსიის გადასატანად ადვილობრივ ხაზინაში მოითხოვს შემდეგს საბუთებს: პასპორტს, სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდს, მოწმობას, რომ სამართალში არ ყოფილა მიცემული; მოწმობას იმის შესახებ, თუ მთხოვნელს შვილები ჰყავს და სწავლობენ, სახელმწიფო ხარჯით არ იზრდებიან. ამის შემდეგ ფულს გადაგზავნიან ხაზინაში და მთხოვნელსაც აცნობებენ.

ერთი მთავარი ნაკლი პენსიის მიღებისა ის არის, რომ დიდხანს მოუნდებათ ლოდინი:

ვინც სამსახურს თავს დაანებებს, არ ექნება ცხოვრების საშუალება: იგი მხოლოდ თავის ჯამაგირით ცხოვრობდა. სამსახურის თავის დანებების შემდეგ და ისიც ჯან მოშლილი, ერთბაშად ცუდს გარემოებაში ვარდება. რით უნდა იცხოვროს?

საკითხი პენსიის შესახებ გრძელდება ხშირად ექვსი თვე და მეტიც.

---

*) ეს ტაბულა იხილეთ 1911 წლის „განათლება“-ში № 1 გვ. 42.

მაგრამ შეიძლება ეს უხერხულობა ადვილად აიცდინონ თავიდან. ვისაც უფლება აქვს პენსიის მიღებისა, შეუძლია ითხოვოს დაენიშნოს პენსია და ვიდრე მიიღებდეს დასტოვონ სამსახურში. თხოვნა შეუძლიათ მისცენ ან თავის უფროსს ან პირდაპირ გაუგზავნონ საპენსიო კასის სამმართველოს, მხოლოდ ორსავე შემთხვევაში საჭიროა დაიცვან შემდეგი პირობები: საჭიროა თხოვნასთან სათანადო საბუთები (წესდების 72 მუხლის მიხედვით), უჩვენონ გადაჭრით დრო, როცა სამსახურს თავს დაანებებენ, თავის ადრესი და აგრეთვე მახლობელი ხაზინა.

ამ წესით კასა თავის დროზე მოახდენს საჭირო ოპერაციებს და პენსიაც მთხოვნელს მიუსწრებს სამსახურისათვის თავის დანებების დროს.

ფიზიკური ვარჯიშობის სარგებლობა

ერთხელ ჩემი ეოფილი სასწავლებელი შემსვდა და რომ ჯანსაღათ მნახა (მოწაფეობის დროს ძლიერ სუსტი ვიყავი) გაუკვირდა; როცა მე აუხსენი, რომ ფიზიკური ვარჯიშობას ეურადღებას ვაქცევ და ამის შედეგია მეთქი, მან ჩაიცინა და მიპასუხა: „ეს კარგია, მაგრამ ვაი თუ სულიერათ დავსუსტდეთ“-ო. ე. ი. მისი აზრით მეცადინეობას ხელს ავადებ. ბევრია ამნაირი შეხედულების, თუ ფიზიკურად გავარჯიშდი, ჭკუით მეცადინეობა გაეიჭირდება; და რასაკვირველია, მასწავლებელთა სიტყვას ახალგაზდაზე დიდი გავლენა აქვს.

მაგრამ ახლა, როცა თვითონ ბედაგოგები ამ საქმეს სათავეში ჩაუდგენ და როცა ოდქის მზრუნველი სოკოლოვსკი „მეცნიერების საუდარში“ ვარჯიშობისკენ მოგვიწოდებს, ასეთ ჩამორჩენილ ბედაგოგების აზრს კავლენა არ უნდა ჰქონდეს და უნდა გვახსოვდეს **ლაკომბის** სიტყვა: „In corpore sano—voluntas sana!“.

* * *

ბევრი ხანი არ არის, რაც ანოხინის ახალი წიგნი „ღონე და ჯანმრთელობა ყველასათვის“ გამოვიდა. აქ ის ყველა ფიზიკური ვარჯიშობების სისტემას არჩევს და სხვათა შორის აი რას ამბობს **მილლერის „ჩემი სისტემა“**-ზე: „მე სპორტსმენი უხელოდ ვერ წარმოვიდგენია. ქების დირსია მიდლერი, რომ მან თავის სისტემაში წყალს დიდი მნიშვნელობა მისცა. ძლიერ საინტერესოა, რომ ბანაობა ვარჯიშობის შუაშია მოთავსებული. აგრეთვე ვარჯიშობა „თვით მასაჟით“ დიდათ სასარგებლოა. უკეთესია ზაფხულიდან დაწყება და მერე მთელი წლის განმავლობაში გაგრძელება. დილის ვანა, დუში ან დაზელვა ჩვეულებად უნდა გადაიქცეს, ისე როგორც ხირის დაბანვა და კბილის გამოწმენდა. თუ კი ზამთარში დაიწყებ მაშინ გახსოვდეს: ა) წყალი 22° რეომიური უნდა იყოს, ბ) მერე ეოველ $^1/_2$° მოაკლი და 16° R გაჩერდი. გ) ოთახი თბილი და მოხერხებული უნდა უნდა იყოს, დ) უკეთესია ხირველად ტილოთი ან დრუბლით ტანი დაისველო, მერე რამდენიმე დღის შემდეგ კი დუბზე გადახვიდე. მსუქანი და ღონიერი დუშს კარგათ იტანს: მწყლე და სუსტი კი—დასვველებას და დაზელვას. ამიტომ თითოეულს უფლება აქვს თავის სულვისამებრ იმოქმედოს. აგრეთვე საჭიროა გულის ნორმალურათ მუშაობა, მაჯა გაისინჯეთ.*) თუ სუხთქვაც წუნარია შეგიძლიათ დუში გაიკე-

*) წუთში 72 მაჯის ცემაა ნორმალური.

თოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სანამ ორგანიზმი ჩვეულებრივ მდგომარეობას არ მიიღებს უნდა მოიცადოთ“.

აგრეთვე საინტერესოა მისი შესავალი და მსურს აქ სავსებით მოვიყვანო. „ახლანდელ დროში ფიზიკური განვითარების საკითხმა უკვე თავისი უფლება მოიპოვა. ზოგიერთი მკითხველი შეიძლება გაოცდეს, როგორ თუ ავტორს **ასეთ** დროში **ამნაირი** საქმე აინტერესებს...

მაგრამ ავტორი დარწმუნებულია, რომ ეს ვაუბატონები ამ შესავალს წაიკითხავენ, თავიანთი გიწრო შეხედულებას ტოტათი მაინც შეცვლიან, იმ ფაქტების მიხედვით, რასაც მკითხველს აქ მივაწვდი. ბევრმა შეიძლება ახლაც სთქვას: რათ გვინდა ფიზიკური განვითარება? რისთვისაა საჭირო ეს კუთები, გირები, ათასნაირი მოწყობილება, ეს სპორტი უსაშველო შეჯიბრებით, სირბილი და სხ. ამნაირად განაგრძეთ: რა საჭიროა ჯანმთელობა, ლამაზი და ფონიერი სხეული? რათ გვინდა ენერგია და ხასიათის სიმტკიცე? ჯერ კიდევ რაციონალური ფიზიკური ვარჯიშობები ძლიერ ნაკლებათაა გავრცელებული და ახლაც ხშირათ გვესმის ასეთი სიტუაციები: „ჩვენ მეოცე საუკუნის კულტუროსანი ხალხნი ვართ, რა ჩვენი საქმეა სისულელეზე დროს დაკარგვა“,— „ჩვენ გვინდა ჭკვის სიძლიერე (და არა ნების?) და არა კუთის ფონე და სხ. ნუ თუ მკითხველო, ასეთი კითხვები სწორეთ მე-XX საუკ. ანახრონიზმათ არ მოგეჩვენება. მე ამ საგნის ისტორიით თავს არ მოგაბეზრებთ, რადგან ვისაც სურვილი აქვს, მიმართოს ბრ. ლესგაფტის [1]), კრიკანოვსკის, იგნატიევის და ჩემს ნაწარმოებებს [2]). აქ კი ვეცდები მკითხველს მხოლოდ დამახასიათებელი ფაქტები გავაცნო. ჩვენში აქამდი საშუალო სასწავლებელში კმაყოფილი იყვნენ ეგრეთ წოდებული მოწაფეთათვის „გიმნასტიკით კვირაში 1/2—1 საათ. კარგათ ვიცით თუ რა იყო (და საბუნებრივ ახლაც რა არის) ეს „გიმნასტიკა“ უმცროს და უფროს კლასებში ბავშვებს უსისტემოთ, უბრინციპოთ ავარჯიშებენ ისე, როგორც მოესურვებათ; გარდა ამისა თვით საგარჯიშო ოთახი მტვრიანი და ბინძური. უმაღლეს სასწავლებელში ასეთი „გიმნასტიკაც არ არის. და სწორეთ ამ დავაკვაცების დროსაა საჭირო რიგიანი ფიზიკური ვარჯიშობა. ახლა კი ტოტ-ტოტათი ზოგიერთის ენერგიის შემწეობით ჩნდება ფიზიკური ვარჯიშობების წრეები უმაღლეს სასწავლებელში. მაგრამ... მხოლოდ 3—4 (ბეტერ. მოსკოვ. და კიევი) ჩვენ გვკითხავენ, რატომ „სპორტიულ საზოგადოებებს“ მხედველობაში არ დებულობთო. მაგრამ ეს ხომ მთელ რუსეთში მხოლოდ ოცია 130 მილიონ მცხოვრებზე. ასე მხოლოდ ჩვენშია, თორემ დასავლეთ ევროპაში საქმე სულ სხვანაირათაა. იქ ყოველ ქალაქში თითქმის ყოველ დაბაში არის თავისი „Surverein“, კლუბი და საზოგადოება.

რომ მკითხველის ყურადღება არ დავალო, საზოგადოების მხოლოდ მთელ კავშირს დავასახელებ.

გერმანული გიმნასტიკური კავშირი— 9,101 საზოგ. 946,115 წევრი, მათ შორის 246,100 ქალებია. **ფრანგული გიმნასტიკური კავშ.** 670 საზ. 94,000 წევ. ჩეხური შავარდენები (ბრაგა) 892 საზოგ. 80,000 წევრი. მაშასადამე მხოლოდ ამ სახელმწიფოში საერთო ციფერია 10,663 საზ. 1,120,115 წევრი.

ახლა მიუმატეთ შვეიცარია, ინგლისი, შვეცია, იტალია; აგრეთვე ამერიკაც, ათასნაირი ატლეტიკური, გიმნასტიკური და სხ. საზოგად.

განსხვავება თვალსაჩინოა! ამასთანავე შეუძლებელია იმისი თქმა, რომ დასავლეთის მეზობლები ჩვენზე დაბლა იდგეს ჭკუისა და კულტურის მხრით!.. ქვემოდ მოყვანილი ორი

[1]) ფიზიკ. აღზრდა ტ. I. გვ. 2—254.
[2]) „ვესტნ. ზნან.“ № 6. 1904 წ.

სტატისტიკური ტაბულა თვალსაჩინოთ გვისურათებს ფიზიკური ვარჯიშობის მოქმედებას ცხოვრებასა, ჯანმრთელობასა და საერთოდ ადამიანის კეთილდღეობაზე: **პირველი** გვიჩვენებს ყოველ წლიურათ სიკვდილის რიცხვს 1000 მცხოვრებზე, ხოლო **მეორე** რუსეთს ეხება და სავსებით ახასიათებს ახალგაზდობის ფიზიკურათ თანდათანობითი დაუძლურებას.

ინგლისში 1000 მცხოვ. ყოველ წელს კვდება 16,7 კ. ნორვეგიასა და შვეიცარიაში 16,9 კ. დანიასა და გოლანდიაში 17,5 – 18,5 კ. ფილიანდიასა და შვეიცარიაში 19,1—20,6 კ. საფრანგეთსა და გერმანიაში 21,3 —22,3 კ. ავსტრიაში 27,8 კ. და რუსეთში 35,5 კ.

ახსნა ზედმეტია: თითქმის საფრანგეთში $1^1/_2$ ჯერ ნაკლები კვდება, ვიდრე ჩვენში. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის, რომ ნაკლები სიკვდილია იქაც კი, სადაც ჭაერი ბევრათ უარესია, ვიდრე ჩვენში. (ინგლისი, ნორვეგია, დანი და სხ.).

გამოჩენილი მოდგაწე ექიმი—ჰიგიენისტი უმანკოვი ამბობს: „ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება ახალგაზდებისა მთელ რუსეთში განუწყვეტლივ შესამჩნევად კლებულობს“. 50 გუბერნიის სტასტიკა ასეთი გულშემზარავ სურათს იძლევა:

1873—1883 წ. განმავლობაში დაწუნებულია 830,000 კ. 1884—1894 წ. განმ. 1,209,200 კ. და 1894—1901 წ. განმავ. 1,321,800 კაცი.

ზემო აღნიშნულ ციფერებში სიტყვამ უკეთ უნდა დაარწმუნოს ყოველი ჭკვიანი მქონე ადამიანი იმაში, რომ ფიზიკური ვარჯიშობისა და სპორტის უკუგდება სამშობლოზე ცუდათ მოქმედობს. არ შემიძლია არ დავასახელო მედიცინაში ავტორიტეტული სახელები, რომლებიც გამოჩენილნი არიან, როგორც ფიზიკური ვარჯიშობის დამცველნი და მისი სარგებლობის დამამტკიცებელნი: რუდოლფი, ვირხოვი, დიუბუა-რეიმონის, გიუბეს, ლანგრანჟუსი, ლესგაფტი, მოსო, რუბნერი, თარხანიშვილი, ტისსო, ფონსაგრივ, ფიუერბერიგერ, ცანდერი, მრებელი და სხ.

აგრეთვე ბევრგან კომისიებმაც გამოსთქვეს აზრი ფიზიკურ ვარჯიშობის სარგებლობაზე: ბერლინში 1862 წ. ვირხოვის თავმჯდომარეობით, ჰარიეში 1892 წ. ყიულ-სიმონის თავმჯდომარეობით. ფილოსოფოსები სოკრატსა და ჰიპოკრატენიდან დაწყებული სპენსერსა და ლ. ტოლსტოიმდი, მოქანდაკენი, მხატვრები და მწერლები არა ერთხელ ამასვე ამტკიცებენ. ამნაირად ფიზიკური ვარჯიშობით მეცადინეობა „სირცხვილია“, „სასაცილო“ უსაფუძლო სიტყვების რახარუხათ უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე გაგახსენებთ„ რომ ფიზიკური ვარჯიშობა და ამის შედეგი: ლონე, სიმამაცე და სიმარდე ყველა ხალხის ჰოეტებს უქია. მაგ. რუსული ლეგენდა უძველეულ გმირებ სიყვარულით იხსენიებს.

დასასრულ, საზოგადოებრივი თვალსაზრისით ფიზიკური ვარჯიშობა საზოგადოებაში და სპორტი დიდ სარგებლობას იძლევა. სპორტი თავის წევრებს აერთებს და ეს კი ჩვენთვის ძლიერ საჭიროა. ამ სპორტის ქვეშ სხვა და სხვა მიმართულებისა და რწმენის ხალხი მშვიდობიანათ სცხოვრობს. აქ ერთმანეთის დახმარება ძლიერ განვითარებულა. აქ მარტო ჰირადი სარგებლობის ჰრინციპი არ არის, არამედ აქ გამეფებულია—„ყველა ერთისთვის, თითეული ყველასთვის“, ამნაირ შეხედულებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

ზემო თქმულიდან სჩანს, რომ ფიზიკური ვარჯიშობა არა თუ მარგებელია, არამედ აუცილებელია და რაც ადრე იქნება მით უკეთესია. ჩემს შესავალს დღენ სტიერტი ბლეკკის დიდებულ სიტყვებით დავათავებ:

„ჩვენ საუკუნეში, როცა ყველაფერი განუწყვეტლივ მოძრაობს, კაბინეტის მუშაკი, წიგნებთან უძრავად მჯდომი, ჩამორჩენილი ტუტუცია, თავის ჯანმთელობის დამდუშველი და და სიცოცხლის მოშსეობი“.

ბარდლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი წერილი*)

ბ. მიხაილ ყიფიანს.

ჟურნალს „განათლება“-ში მოთავსებულს თქვენს წერილში, იხ. № VII, გვ. 513, ბუნება, სვეტი 1-დი, სხვათა ამოვიკითხე შემდეგი სტრიქონები:

„მეცნიერებაში და კერძოდ გრამმატიკაში პირად ძალადობას აზრი არა აქვს, როგორც მოგვსენებათ; ბუნებრივს კანონს იურიდიული მნებელობა(?!) ვერ ეკარება, ვინც უნდა იყოს ამისდა(?) მსურველი იქანები „უჩიტელი“, თუ აქანეი იუსტინე აბულაძე. ქართული ენა, შე დალოცვილის შვილო, არა მეცნიერებმა, არამედ ჩვენმა წინაპრების „დილეტანტობამ“ შეჭმნა, რადგან შთამომავლობით განიცდიდენ მას და ჭკუას ძალას არ ატანდენ. ან რად უნდა აჯავრებდეს ერის დილეტანტობა თქვენს მეცნიერობას? არ გვესმის, ჭეშმარიტად“.

თუმცა ეს ამოწერილი სიტყვები ჩემთვის (სხვების კი რა მოგახსენოთ) ძნელი გასაგებია, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მათი წარმოთქმელის მიზანი ჩემი შეურაცხყოფაა, რაც ჩემთვის სრულიად მოუდონელი იყო.

ჯერ ერთი—თქვენ სრულიად სხვა პირს ეკამათებით სიტყვის „მორჭმული“-ს შესახებ, და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან თქვენ მიერ მოტანილი სიტყვის „მორჭმული“-ს დინგვისტური განმარტება მე არ მეკუთნის, მეორე—მეც არ მესმის, ჭეშმარიტად, სად ნასეთ თქვენ, ბ. მიხო, ჩემ მიერ ხელმოწერილი დილეტანტების და მათ შორის თქვენი, ან ჩვენის წინაპრების შეურაცხმოფელი სიტყვები?! თუ არა და—რად დაგჭირდათ ეს თქვენის პირადენების დამამტირებელი სუბუქი ქტეგა?!

შეიძლება, ბ. მიხო, კარგად ვერ გიცნობდეთ, მაგრამ მე თქვენ, როგორც ჩვეულებრივ ნაცნობ ქართველს, უოველთვის პატივისცემით გექცეოდით, თქვენი საგრამატიკო მოღვაწეობაც რომ არ უოფილიყო, და ამიტომაც ვერ წარმომიდგენია, რას უნდა მიეცა თქვენთვის ჩემდა მომართ ამგვარის სიტყვების ხმარების საბუთი?!.. ამიტომ გთხოვთ უფრო გასაგებად და მარტივად სთქვათ, რა გაქვთ, ან გქონდათ სათქმელი ზემორე მოტანილი სტრიქონებით, რომ ამით საშვალება მოგცეთ თავი ვიმართლო, თუ რამე დანაშაულობა მიმიძღვის თქვენს, ან სხვა ვისმე წინაშე.

პატივისცემით **იუსტინე აბულაძე**.

15 სექტემბერი 1912 წ.

ქ. ტფილისი.

ბ. იუსტინე აბულაძეს.

ინებეთ, ბატონო, ჩემი პასუხი.

უოველთვის და სავსებით მე საქმის ვითარება მაქვს აზრად და არას დრო არა პირადობა ვისიმე.

როგორც მოგვსენებათ, ორჯერ გავჭბედე და პრეფ. ნ. მარრის განმარტება ორის ქართულის სიტყვისა, სახელდობ „**გოგმანისა**“ და „**მო-რჭ-მულისა**“ ვერა ვსცან სამეცნიერო ცნებად და გაკვრით ჩემს მცირე ნაწერებში ვაჭმტკიცებდი, რომ სიტყვა **გოგმანი** არის ზოგად ინდოევროპიულ აზრის მატარებელი (gog, gang, geh, ging, gn) „სიარულისა“ და არა მონათესავე ერთ-ჩამომავალი სომხურ „gugwang-ისა, ხოდო სიტყვა **მო-**

*) ეს წერილები ბ-ნის იუსტინე აბულაძისა და მიხ. ყიფიანისა მართლწერის მხრით უცვლელად იბეჭდება. რედ.

რჭ-მული (რჭ-ვა, რჭ-მა, რჭ-ე, რჭ-ო, რჭ-ული, რჭ-მული და სხვა) აგრეთვე არასგზით არაფერით ეთანხმება სომხურს „hrtmunq"-ს, რადგან ქართულ სიტყვის **„მორჭ-მულის"** აზრს ატარებს ძირი მისი „**რჭ**" და არა ბრფ. ნ. მარრის შეუსაბამო „რჭმ", რომელიც ნებსითია და არა ეტიმოლოგიური და იმ სიტყვის ძირად სტკივარად არის ამორჭობილი. ეს ერთი.

მეორე სათქმელი ის არის, რომ „სახალხო გაზეთის" № 639-ში ამ წლის ივლისის 3-ს დასტამბული იყო ბრფ. ნ. მარრისაგან წერილი **„ერთი დიდი საკითხის შესახებ"**, რომლისაც,—ჩემი საგრამატიკო ნაწერებისა და ერთი ცნობილი ექიმისა არ იყოს,—ვერც თავი გავიჭეგ და ვერც ბოლო; ბევრს შევეჭკითხე და ვეძებე, ვინ გაიგო, და ბოლოს-ბოლოს შევიტყე, რომ მხოლოდ ბ. ე. თაყაიშვილს გაეგო ის წერილი და პასუხიც გაეგცა. ეს პასუხი ვსცან და აზრს მიეგებდი. მადლი ჩემს გამჩენს მართლა, რომ სულ უნუგეშოდ არა გვსტოვებს!

ბრფ. ნ. მარრის იმ წერილიდან მე ჩემა სუბედურად მხოლოდ ის შეამჩნიეს და დამრჩა, რომ მეცნიერს ჩვენა „სახიფათოდ" მიაჩნია რომელიღაც „დილეტანტების" მუშაობა, და ეს „აშფოთებს" მას, რომ ჩვენმა ცნობილმა საისტორიო საზოგადოებამ თქვენი, იუსტინე აბულაძის, რადაც აზრი, შგონი ლექსიკონის შესახებ, უარჭყო.

რამდენჯერმე წავიჭკითხე იგი წერილი,—ვიდრე ბ. ე. თაყაიშვილის პასუხს ვნახავდი მეოქი ვერა გავიჭეგ რა, მაგრამ უცებ წარმოვიდგინე ახირებული „მწუხარება, გაკვირვება და შფოთვა" მეცნიერისა ანისის ნანგრევთა შორის ერთის მხრით და მეორეს მხრით თქვენი, იუსტინე აბულაძის, სამართლიანობის დაჩაგვრა ტფილისში და—წარმოიდგინეთ—ჩემა უნებურად ერთმა მოდიმარე ტეფქმა ფიქრმა გამიბრწყინა თავში, შემაცდინა, თითქოს მოხუცი, და მათქმევინა: „იქანეი უჩიტელიო და „აქანეი" იუსტინე აბულაძეო". ასე იყო; და რად უნდა გეწყინოთ ასეთი უბრალო შემთხვევა—არ მესმის, მით უმეტეს, რომ თითონ ბრფ. ნ. მარრი თავის სხვა ნაწერში, როგორც მაგალითად, ნამდვილად ამბობს—ჩვენი მოწაფეიო, იუსტინე აბულაძეიო. ძალიან კარგი და პატიოსანი; კიდევ მით უმეტეს, რომ სრულებით უანგარად, შემთხვევით მიგზავნიებიხართ „აქანეითად".

ბოლოს მეც უნდა მოგაგზავნოთ, რომ, თუმცა ჩემს დღეში არა მგრძემევია „**მიხო**", როგორც თქვენ წერილში ნებსით და არა ჩემსავით უნებლიედ მომნათლეთ, მაგრამ მაინც ნათლი-ჯანი, ამ გვარად თქვენ-მიერ ჩემს ხსენებას... არ ჩაგიგთვლით დღეს **საამიკოშონო** საქციელად. გავთავე.

მარად პატივისცემითვე

მ. ქ. ყიფიანი.

23/IX—1912 წ.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „**განათლება**“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამად „**განათლება**“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სამი მანეთი** და **ათი შაური** (3 მან. 10 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** 2 მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ორ მანეთად** და **ათ შაურად** (2 მ. 50 კ.); საზღვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნების და გაზეთ ების კანტორა „იმერეთი“ ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ქუთაისში გამოდის ყოველ-დღიურ გაზეთი

„იმერეთი“

(წელიწადი პირველი)

გაზეთის ფასი: ერთი წლით **7** მან. ნახევარი წლით **4** მან. ერთი თვით **4** აბაზი.
წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირად შეუძლიათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს **3** მან. პირველ მაისს **2** მან. პირველ ენკენისთვეს **2** მან.

თითო ნომერი ერთი შაური

მისამართის გამოცვლა **ათი შაური.**

რედაქციის ადრესი: Въ гор. Кутаисъ, редакція газеты „Имерети“.
Антону Михаиловичу Хеладзе.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

„კ ლ დ ე“

(წელიწადი პირველი)

ჟურნალ ღირს წლიურად **5** მან. ამა წლის დამლევამდე—**1** მან., 50 კაპ.
სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ **4** მან.

ცალკე ნომერი ყველგან—ორი შაური

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3. რედაქცია „კლდე“.
დეპეშისა: თბილისი კლდე.

ქ. გორში გამოდის ყოველდღიური სალიტერატურო, სავაჭრო სამეურნეო **საგლეხო** გაზეთი

„ქ ა რ თ ლ ი“

ყოველ-კვირეულ სურათებიანი დამატებით

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ		**უ დ ა მ ა ტ ე ბ ო თ**	
გაზეთი წლიურად ღირება	5 მ.	„ „ „	— 4 მ.
„ ნახევარი წლით	— 2 მ. 60 კ.	„ „ „	— — 2 მ. 30 კ.
„ სამი თვით	— — 1 მ. 50 კ.	„ „ „	— — 1 მ. 20 კ.
„ ერთი თვით	— — — 55 კ.	„ „ „	— — — 45 კ.
ცალკე ნომერი 5 **კაპ.**			3 **კაპ.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე ბეტიტის სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე—ერთი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენიშვნა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ ბატარა ზომისა და **უდამატებოდ**. შემოდგომიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველ-დღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ეკალაძე-ცინცაძე.

მისამართი: ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს. ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 5.